Geocase

„ჯეოქეისის“

რეკომენდაციათა 4 ნაწილიანი პაკეტი:

ჯანდაცვა

ეკონომიკა

განათლება

ეროვნული თავდაცვა
და უსაფრთხოება

www.geocase.ge

2021

Geocase

„ჯეოქეისის“

რეკომენდაციათა 4 ნაწილიანი პაკეტი:

ჯანდაცვა

ეკონომიკა

განათლება

ეროვნული თავდაცვა
და უსაფრთხოება

www.geocase.ge

2021

სარჩევი

წინასიტყვაობა 4

ჯანმრთელობის უსაფრთხოება

შესავალი: ჯანმრთელობის უსაფრთხოება - კონცეფცია და მიდგომები - ზვიად კირტავა 6

საქართველოს ეპიდემიოლოგიური სამსახურის მზადყოფნა - პანდემიის გამოცდილება და შემდგომი ამოცანები - ზვიად კირტავა. 9

პანდემიის პერიოდში საკანონმდებლო რეგულირების საკითხი - ოლეგ (ბაჩო) თორთლაძე 10

პანდემიის მართვის სამომავლო გამოწვევები და შესაძლო პასუხები - ზვიად კირტავა 11

საქართველოს ჯანდაცვის სისტემა - მზადყოფნის და მედეგობის გაძლიერება - ზვიად კირტავა 13

ფარმაცევტული პროდუქტები - ხარჯები და ხელმისაწვდომობა - ზვიად კირტავა 21

ელექტრონული ჯანდაცვა, ტელემედიცინა - შესაძლებლობები და გამოწვევები - ზვიად კირტავა 25

რეკომენდაციები - ზვიად კირტავა 31

ეკონომიკური უსაფრთხოება (თანაავტორები - ვახტანგ ჭარაია, შოთა გულბანი, ოთარ ანგურიძე, ლევან კოკაია, ბაქარ ფალავანდიშვილი)

შესავალი 36

საფინანსო სექტორის გაძლიერება 37

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა 41

კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობა 44

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება 47

განათლება

დისტანციური განათლების პანდემიური და პოსტპანდემიური ტენდენციები - ხათუნა ბურკაძე 50

შესავალი - ხათუნა ბურკაძე 50

პანდემიის პერიოდში დისტანციური განათლების დანერგვის საერთაშორისო პრაქტიკა - ხათუნა ბურკაძე 51

პანდემიის პერიოდში საქართველოში დისტანციური განათლების დანერგვის გამოცდილება - ხათუნა ბურკაძე 55

საქართველოში დისტანციური განათლების განვითარების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები - ხათუნა ბურკაძე 57

პერსონალური მონაცემების დაცვა დისტანციური სწავლებისას - ოლეგ (ბაჩო) თორთლაძე 60

ეროვნული თავდაცვა და უსაფრთხოება

რეკომენდაციები თავდაცვის სისტემის განვითრების შესახებ - გიორგი ანთაძე 63

ჰიბრიდული საფრთხეები - ხათუნა ბურკაძე 64

ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის მიმართულებით შემუშავებული რეკომენდაციები - ხათუნა ბურკაძე 66

ავტორთა ბიოგრაფიები 70

წინასიტყვაობა

პატივცემულო საზოგადოებავ,

ჩვენ, ანალიტიკური ორგანიაზაცია „ჯეოქეისი“, მოხარული ვართ თქვენს საყურადღებოდ და განსახილველად გამოვიტანოთ დოკუმენტი სახელწოდებით: „ჯეოქეისის“ რეკომენდაციათა 4 ნაწილიანი პაკეტი: ჯანდაცვა, ეკონომიკა, განათლება, ეროვნული თავდაცვა და უსაფრთხოება“.

აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნება, პრაქტიკულად, "ჯეოქეისის" დაარსებიდან წლისთავს დაემთხვა. მიუხედავად განვლილი დროის სიმცირისა, იმედია, ჩვენმა ორგანიზაციამ თავი დაიმკვიდრა როგორც პასუხისმგებლობის მქონე, კვალიფიციურმა და ობიექტურმა სარეკომენდაციო და კვლევითმა წყარომ – ქვეყნის შიგნით და მის გარეთ დაინტერესებული აუდიტორიისათვის. ვფიქრობ, "ჯეოქეისის" მკვლევართა გუნდის სახელით, სხვადასხვა ფორმატით შექმნილმა ნაშრომებმა თუ საჯაროდ გაკეთებულმა შეფასებებმა, მკითხველს და მსმენელს, საკმარისი წარმოდგენა შეუქმნა ორგანიზაციის მუშაობის ძირითად მიმართულებებსა და პრინციპებზე. "ჯეოქეისის" გუნდის თითეული წევრის უპირველესი მიზანია საკუთარი ქვეყნის სამსახურში ყოფნა, ჯანსაღი პრიორიტეტების ერთგულება და ეროვნული ინტერესების ადვოკატირება რეგიონალურ და საერთაშორისო ასპარეზზე, ისევე როგორც იმ ცივილიზაციური ერთობისაკენ საქართველოს სწრაფვისათვის ხელშეწყობა, რომელსაც ჩვენი ერი ისტორიულად და კულტურულად ეკუთვნის.

ინტელექტუალურ და კვლევით ნაშრომთა ფონზე წარმოდგენილი პუბლიკაცია მაინც გამორჩეულია. ეს ბუნებრივია, ვინაიდან, მისი მიზანია ქართული სახელმწიფოს, მისი განვითარების საქმისადმი სიტყვითა და საქმით დაინტერესებულ და დაკავშირებულ ადამიანთა ერთობას, ჩვენი, ანალიტიკური ორგანიზაცია "ჯეოქეისის" ხმა შევუერთოთ. ამავდროულად, ეს მეტად გაბედული განზრახვაა მაშინ, როდესაც ჯერ პანდემიამდე, ხოლო მერე უკვე მის შედეგად აღმოცენებული გლობალური, რეგიონული და ეროვნული გამოწვევები ძირეულ გადახედვას დაექვემდებარნენ. თანმდევი რისკების ასალაგმად, დღემდე არსებული სისტემები და სტანდარტები მეტწილად მოძველდა, ხოლო ახალი გამოწვევების ეფექტიანი მართვის სადავეები ჯერ კიდევ განიხილება და არსებითად არ არის დანერგილი.

ამ ქარტეხილში, ცხადია, ქართული საზოგადოების უპირველესი ამოცანა და საზრუნავი საკუთარი ქვეყნის ბედია, მისი პოლიტიკური, ეკონომიკურ-სოციალური და უსაფრთხოების საფუძვლების სრულყოფა და თანამედროვე საფუძვლებზე გადაწყობა, საქართველოს სახელმწიფოს სიმტკიცისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება. უდავოა, რომ, ყოველივე ეს, მხოლოდ ეროვნული რესურის გაერთიანების

პირობით გახდება შესაძლებელი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის მეგობრებისა და პარტნიორების აქტიური მხარდაჭერის ფონზე.

იმედი გვაქვს, რომ შემუშავებული რეკომენდაციები პრაქტიკული დანიშნულებისაა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტებისათვის. მზაობა გვაქვს, ამ რეკომენდაციათა საფუძველზე მჭიდრო კომუნიკაცია ვაწარმოოთ გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან. სახელმწიფოს ვთავაზობთ ეს სარეკომენდაციო წინადადებების შემდგომში კიდევ უფრო გავშალოთ და მივუსადაგოთ ჩვენს თვალწინ მიმდინარე სისტემაშემქმნელ პროცესებსა და მომავლის პრიორიტეტებს. მივესალმებით ნებისმიერ კრიტიკას, ოპონირებას, თუ შენიშვნას, ოღონდ ერთი პირობით: ნებისმიერი დისკუსია თუ კამათი, შედეგზე ორიენტირებული და ჩვენი სამშობლოს ინტერესების ირგვლივ, საქმიანი და ინტელექტუალური კონსოლიდაციის ხელშემწყობად უნდა იქცეს.

ყველას მადლობა ყურადღებისა და დაინტერესებისათვის. წინასწარ ვუხდით მადლობას მათ, ვინც ამ ნაშრომს მომავალში გამოეხმაურება და საერთო საქმის ერთიანი ძალისხმევით კეთების მზაობას გამოავლენს.

თავმჯდომარე ვიქტორ ყიფიანი,
ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისი“

Geocase

ჯანმრთელობის უსაფრთხოება

ზვიად კირტავა

შესავალი: ჯანმრთელობის უსაფრთხოება - კონცეფცია და მიდგომები

უსაფრთხოება ყველაზე ხშირად განიმარტება, როგორც პოტენციური ზიანისგან დაცულობა ან მის მიმართ არსებული მედეგობა. იგი მოდის ლათინური სიტყვიდან - Securus, რაც შფოთვისგან გათავისუფლებას ნიშნავს. როდესაც სახელმწიფოთა ან გლობალურ უსაფრთხოებაზე საუბრობენ, ყველაზე ხშირად მტრული, აგრესიული, საშიში ძალებისგან დაცულობას გულისხმობენ - ანუ, პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ უსაფრთხოებას.

თუმცა, უკანასკნელ წლებში, წინა პლანზე გამოვიდა გლობალური უსაფრთხოების ორი მნიშვნელოვანი ასპექტი - ეკოლოგიური უსაფრთხოება და ჯანმრთელობის უსაფრთხოება. პირველი ემუქრება მთელ ჩვენს ეკოსისტემას, რომელშიც ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის არსებობა, შეიძლება, საფრთხის წინაშე დადგეს, ხოლო, მეორე - ადამიანებს, ხალხებს და, მთლიანად, - კაცობრიობას.

თუ უსაფრთხოების ტრადიციული გაგებისა და ჩამონათვალის მომხრეები ჯანმრთელობის უსაფრთხოებაში, ძირითადად, ომების ან ტერორიზმის შედეგად ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის მიმართ წარმოშობილ მასიურ საფრთხეს განიხილავდნენ, 21-ე საუკუნის დასაწყისში აღნიშნული მიდგომა აივ-ინფექცია/შიდსის გლობალური საფრთხის გაჩენამ შეცვალა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) განხილვის მთავარ თემად საერთაშორისო ჯანმრთელობის უსაფრთხოება იქცა 2001 წლიდან, როდესაც ჯანმო-ს 54-ე ასამბლეამ განიხილა სამდივნოს ანგარიში: „გლობალური ჯანმრთელობის უსაფრთხოება - ეპიდემიური სიფხიზლე და პასუხი“.

ბოლო ათწლეულების მანძილზე, მიკრობების რეზისტენტობის მანამდე არნახულმა ზრდამ და ახალი ტიპის ვირუსული ეპიდემიებისა და პანდემიების გახშირებამ თვალნათლივ დაგვანახა რომ, სწორედ, დაავადებების გავრცელებისა და ჯანმრთელობის პირველადი საფრთხე შეიძლება გახდეს გლობალური ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, პოლიტიკური თუ სულაც - სამხედრო სტაბილურობის პირველადი და ძირითადი საფრთხე. ახალი კორონავირუსის გავრცელება და COVID-19-ის პანდემიის შედეგები ამ კონკრეტული სცენარის ყველაზე მძაფრი და თვალნათელი დადასტურებაა. შეგვიძლია, გადაჭარბების გარეშე ვთქვათ, რომ მესამე მსოფლიო ომი, სწორედ, ვირუსთან გაჩაღდა.

რა შეიძლება ჩაითვალოს გლობალური ჯანმრთელობის უსაფრთხოების გამოწვევად? ამ ჩამონათვალში პრობლემა ხვდება, თუ იგი:

- აზიანებს არა იმდენად და არა მარტო ცალკეულ ადამიანებს, არამედ, უფრო მეტად - მთლიანად საზოგადოების ჯანმრთელობას,
- გააჩნია მაღალი ავადობის / სიკვდილიანობის მაჩვენებელი,
- წარმოადგენს პოპულაციის ჯანმრთელობისთვის მწვავე, მკაფიო და არსებულ საფრთხეს და არა - ხანგრძლივ/ქრონიკულ პრობლემას,

- აქვს საზღვრებს შორის გავრცელების რისკი და მისი შედეგი სახეზეა სხვადასხვა ქვეყნებში და არა მხოლოდ ერთ ქვეყანაში.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებული მიდგომების გათვალისწინებით, გლობალური ჯანმრთელობის უსაფრთხოება ეხება მსოფლიო მასშტაბით სწრაფად და ფართოდ გავრცელებად დაავადებებს (როგორიცაა პანდემიები, გლობალური კატასტროფები და ტერორიზმი მასობრივი დაზიანების იარაღების გამოყენებით, განსაკუთრებით, - ბიოტერორიზმი).

მსოფლიოში ჯანმრთელობის უსაფრთხოების შეფასების ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ სისტემად ითვლება Global Health Security Index (www.GHSIndex.org), რომელიც 2018 წელს შეიქმნა Johns Hopkins Center for Health Security (JHU)–ის, the Nuclear Threat Initiative (NTI)–ისა და Economist Intelligence Unit (EIU)–ის მიერ, ღია ფილანტროპიის ფონდის, ბილ და მელინდა გეითსების ფონდის და რობერტსონის ფონდის დაფინანსებით. ინდექსი აერთიანებს 195 ქვეყნის ღიად გამოქვეყნებულ მონაცემებს - 140 კითხვას, რომელიც დაყოფილია 6 კატეგორიად, 34 ინდიკატორად და 85 ქვეინდიკატორად. ამ ექვს კატეგორიაში შედის:

1. **პრევენცია:** რამდენად კარგად არის მოგვარებული პათოგენების აღმოცენება ან გავრცელების საფრთხის პრევენცია;
2. **გამოვლენა და ანგარიშგება:** საერთაშორისო გავრცელების პოტენციალის მქონე ეპიდემიების ადრეული გამოვლენა და ანგარიშგება (სხვა ქვეყნების და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების გაფრთხილება);
3. **სწრაფი პასუხი:** ეპიდემიის გავრცელების მიმართ სწრაფი პასუხი და ამ გავრცელების შენელება/შემოფარგვლა;
4. **ჯანდაცვის სისტემა:** ჯანდაცვის სისტემა, რომელსაც ავადმყოფთა მკურნალობისა და ჯანდაცვის პერსონალის დაცვის საკმარისი და მყარი შესაძლებლობები გააჩნია;
5. **საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობა:** ეროვნული სიმძლავრეების გაუმჯობესების, არსებული გამოწვევების სათანადოდ დაფინანსებისა და გლობალურ ნორმებთან შესაბამისობის მიღწევისკენ მისწრაფება;
6. **რისკის გარემო:** ზოგადად, რისკების შემცველი გარემო და ქვეყნის მოწყვლადობა ბიოლოგიური საფრთხეების მიმართ.

საქართველოს მონაცემები 2019 წელს: 195 ქვეყანას შორის ჩვენი მაჩვენებლის - 52.0 (ყველა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი - 40.2) თანახმად, საქართველო 42-ე ადგილს იკავებს და უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: საუდის არაბეთი, ჩინეთი, სლოვაკეთი, ისრაელი, ისლანდია, რუმინეთი, ბულგარეთი, რუსეთი, ბოსნია-პერცოგოვინა, მალტა. აქვე, აღსანიშნავია, რომ ინდექსის სათავეში მყოფი ქვეყნების (#1 - აშშ, #2 - დიდი ბრიტანეთი, #7 - შვედეთი, #11 - საფრანგეთი, #15 - ესპანეთი) პასუხი კორონავირუსის პანდემიაზე ნამდვილად არ აღმოჩნდა სამაგალითო, რითაც დადასტურდა, რომ ობიექტური რესურსების გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს გადაუდებელი მდგომარეობის აღმოცენების მოულოდნელობას, პოლიტიკური ხელმძღვანელობის მზადყოფნას ექსპერტული მოსაზრების მყარად გასათვალისწინებლად და, განსაკუთრებით, სწორ და გამართულ კომუნიკაციას მოსახლეობასთან, ხოლო, ამ უკანასკნელის მხრიდან, რეკომენდაციების თანმიმდევრულად დაცვას.

6 ივლისს ჯანმო-მ გამოაქვეყნა დოკუმენტი - „კოვიდ-19 პანდემიის პირობებში ჯანმრთელობის გადაუდებელი მზადყოფნის უფრო გრძელვადიან სისტემაში ინვესტირება და განვითარება“ (Investing in and building longer-term health emergency preparedness during the COVID-19 pandemic), რომელიც ასახავს კოვიდ-19-ისთვის მზადყოფნას და პასუხს, ეყრდნობა საერთაშორისო ჯანმრთელობის რეგულაციებს, მონიშნავს ჯანმო-ს იმ რესურსებს, რომელიც არაა მხოლოდ პანდემიისთვის სპეციფიკური და მხარს უჭერს კოვიდ-19-ის ფონდების ისეთ გააზრებულ და ეფექტიან გამოყენებას, რომელიც ქვეყნების უფრო გრძელვადიან მიზნებსაც მოემსახურება.

ამ გეგმის მიხედვით, შესაძლებელია, კოვიდ-19–ის სპეციფიკური მზადყოფნის და პასუხის გეგმაზე ქვეყნის ჯანმრთელობის თვალსაზრისით არსებული საფრთხეების და რესურსების დეფიციტის გათვალისწინებით, ისეთი ღონისძიებების დამატება, რაც საკმარისი ფინანსებისა და მდგრადი განვითარების პირობებში, ჯანდაცვის გრძელვადიანი უსაფრთხოების ჩარჩოსა და მრავალი ტიპის კრიტიკული გამოწვევებისთვის მზადყოფნის სისტემამდე მიგვიყვანს. ღონისძიებათა ნაწილი, (შეიძლება მათ ტაქტიკურიც ვუწოდოთ), პანდემიის პერიოდისთვის უნდა განისაზღვროს, მაგრამ, ასევე მნიშვნელოვანია პოსტპანდემიური (სტრატეგიული) ღონისძიებების დასახვაც და, საჭიროების შემთხვევაში, ამ ეტაპზევე რეალიზების დაწყება.

ამავდროულად, კონკრეტული ქვეყნის ჯანმრთელობის უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, უშუალოდ, მისი ჯანდაცვის სისტემისთვის არსებული მედეგობის საფრთხეები და გამოწვევები. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ გაუმკლავდა საქართველოს ჯანდაცვის სისტემა პანდემიის პირველ ეტაპს, ვფიქრობთ, რომ ეპიდემიოლოგიური სამსახურის მზადყოფნა და პასუხი შესაშური იყო, ხოლო, თავად ჯანდაცვის სისტემის ინფრასტრუქტურას, პირველ ეტაპზე, სერიოზული გამოცდის გავლა არ მოუწია, ამიტომ პოსტპანდემიური ეტაპისთვის შედარებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქვეყნის ჯანდაცვის უსაფრთხოების გამოწვევების შემდეგი ჩამონათვალი:

- ჯანდაცვის სისტემის ინფრასტრუქტურული მედეგობა;
- ფარმაცევტული პროდუქტების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

- ელექტრონული ჯანდაცვის და ტელემედიცინის შესაძლებლობები და გამოწვევები.

ჯანდაცვის სისტემა უაღრესად კომპლექსური, მრავალშრიანი და მრავალკომპონენტიანი მექანიზმია, და მხოლოდ რამდენიმე მათგანის რეფორმირებით სისტემის წარმატების გარანტირება წარმოუდგენელია. ზემოთჩამოთვლილ საკითხებზე აქცენტირება განპირობებულია მათი სტრატეგიული მნიშვნელობით, მოსახლეობის უფრო მოწყვლადი ფენებისკენ რესურსების უპირატესი მიმართვის პრიორიტეტით და ევროკავშირთან ასოცირების პროცესში პოტენციურად მეტი რეგულირების საჭიროებით. ამავდროულად, ელექტრონული ჯანდაცვის/ტელემედიცინის განვითარება მრავალი მიმართულებით (სერვისების ხელმისაწვდომობა, ინტეგრირებული ჯანდაცვა, პერსონალის დისტანციური განათლება, ხარისხის მართვა, ქრონიკული დაავადებების ტელემონიტორინგი) არსებული გამოწვევების სწრაფი და ხარჯ-ეფექტური გამკლავების, ევროკავშირთან ინტეროპერაბილობისა და ერთიან ციფრულ ბაზარზე გასვლის მიღწევით მეტი და სწრაფი ინტეგრირების მიღწევის საშუალებად გვესახება.

საქართველოს ეპიდემიოლოგიური სამსახურის მზადყოფნა - პანდემიის გამოცდილება და შემდგომი ამოცანები

საქართველოს მიღწევები, ამ ეტაპზე[1], მსოფლიოში დადებითად არის შეფასებული, როგორც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, ასევე ევროკავშირის და რიგი ცნობილი ექსპერტების, (მათ შორის, აშშ თეთრი სახლის კორონავირუსის საკითხებზე სამუშაო ჯგუფის წამყვანი სპეციალისტის - ენტონი ფაუჩის) მიერ. ხელისუფლებამ დროულად შექმნა პანდემიური კრიზისის საკოორდინაციო საბჭო, რომელიც დაეყრდნო ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ განსაზღვრულ სტრატეგიას საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრიორიტეტად აღიარებისა და პანდემიის გავრცელების ეფექტური შეზღუდვების კუთხით. ქვეყანამ საზღვრებისა და მგზავრთა ნაკადის დროული და კარგი ეპიდემიოლოგიური კონტროლის, საეჭვო ინფიცირებულთა ტესტირებისა და იზოლირება/მკურნალობის, კონტაქტების სწრაფი მოკვლევის, კლასტერების დაუყონებლივ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით განახორციელა სასაზღვრო და კლასტერული კარანტინი, ჰიგიენური ზომებისა და ფიზიკური და სოციალური დისტანცირების დაცვის საყოველთაო პროპაგანდის, მასობრივი შეკრებების შეზღუდვა/აკრძალვის, უნივერსიტეტების და სკოლების ონლაინ და ტელესწავლებაზე, ხოლო სამსახურების - მაქსიმალურად დისტანციურ რეჟიმში გადაყვანის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციონირების დროებით შეჩერების, რიგი წარმოებების, სერვისებისა და ვაჭრობის ობიექტების დროებით დახურვის ღონისძიებები. და, რაც მთავარია, ინტერსექტორული თანამშრომლობისა და მოსახლეობასთან სწორი და ეფექტიანი კომუნიკაციის მეშვეობით, აღნიშნული ღონისძიებების კარგი კოორდინაცია და მოსახლეობის მხრიდან მხარდაჭერის მიღება მოახერხა, რითაც მიიღწა ინფიცირების მრუდის მაქსიმალურად სწრაფი დაბრტყელება და როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ასევე ევროკავშირის

1 ანგარიშში მოყვანილი მონაცემები ასახავს მდგომარეობას 29 აგვისტოს - 10 სექტემბრის მდგომარეობით.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, იმ ეტაპზე, პანდემიის კონტროლის საუკეთესო შედეგების დემონსტრირება - პირველი რეგისტრირებული შემთხვევიდან (26 თებერვალი) 6 თვის შემდეგ შემთხვევების საერთო რაოდენობა 1462 იყო, ხოლო გარდაცვლილთა - 19. ერთ მილიონ მოსახლეზე გადათვლით: შემთხვევების რაოდენობა - 360 (55-ე ადგილი მსოფლიოში 195-დან, 1 მილიონზე მეტი მოსახლეობის ქვეყნებში - 42-ე ადგილი), ხოლო გარდაცვალების - 5 (56-ე ადგილი, 1 მილიონზე მეტ მოსახლეობის ქვეყნებიდან - 33-ე ადგილი). ქვეყანაში სულ ჩატარდა 350,000-ზე მეტი ტესტი, ანუ 1 მილიონ მოსახლეზე - 88,000 (რაც აღემატება ნიდერლანდების, ჩეხეთის, თურქეთის, სლოვენიის, მონტენეგროს, სლოვაკეთის, პოლონეთის, სომხეთის, ბრაზილიის, ბულგარეთის, სამხრეთ კორეის, ბოსნია-ჰერცოგოვინის, უკრაინის, მალაიზიის, ხორვატიის, ტაივანის, იაპონიის ანალოგიურ მონაცემებს). პანდემიის ეფექტიანად მართვაში საქართველოს წარმატების დადასტურება იყო ევროკავშირის მიერ საზღვრების გახსნის რეჟიმის მინიჭების პირველ 15 ქვეყანას შორის ჩვენი დასახელება და იმავე სიის განახლებულ ვერსიაში 31 ივლისს დატოვება. ქვეყანამ დროულად მოახერხა შეზღუდული ეკონომიკური და ფინანსური რესურსების ფონზე ბიზნესის სტიმულირების და მოსახლეობის სოციალური დაცვის პაკეტების შემუშავება, ხოლო ევროკავშირის ეკონომიკის გახსნის გზამკვლევის მიღებიდან 10 დღეში (24 აპრილს) მიიღო როგორც საკუთარი ანტიკრიზისული გეგმა, ასევე - შეზღუდვების მოხსნის და ეკონომიკის ამოქმედების ექვსეტაპიანი გეგმაც, რომელსაც შეზღუდვების დროზე ადრე მოხსნა მოჰყვა თან. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ევროგაერთიანებამ 8 აპრილს ჩვენს ქვეყანას 183 მილიონი ევრო გამოუყო (გადაუდებელი დახმარების პაკეტი) კორონავირუსის საწინააღმდეგო გადაუდებელ და მოკლევადიან სამუშაოებში დახმარების მიზნით. ხოლო 22 აპრილს - 150 მილიონი ევრო - პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის ასანაზღაურებლად, მაკროფინანსური დახმარების მიზნით. სულ კი საქართველოსთვის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან დახმარების სახით, წლის ბოლომდე, 3 მილიარდი დოლარის გამოყოფა დაანონსდა. გარდა ამისა, ურთულეს პერიოდში ქვეყანამ მოახერხა, მძიმე პოლიტიკური გამოწვევების მიუხედავად, საარჩევნო რეფორმის წარმატებით დასრულება, უმნიშვნელოვანესი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება და პროპორციულთან მიახლოებული სისტემით არჩევნებისთვის მზადება დაიწყო.

ოლეგ (ბაჩო) თორთლაძე

პანდემიის პერიოდში საკანონმდებლო რეგულირების საკითხი

საგანგებო სიტუაციების მართვა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ისეთი გამოწვევის დროს, როგორიც პანდემიაა ექვემდებარება საკანონმდებლო რეგულირებას. **„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“** საქართველოს კანონი და **„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“** საქართველოს კანონი პანდემიით შექმნილი საგანგებო სიტუაციის მომწესრიგებელი ძირითადი ნორმატიული ბაზაა. თუმცა, საგულისხმოა, რომ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით პანდემიის მართვის სამართლებრივი ინსტრუმენტია, მხოლოდ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს გამოიყენება. აღნიშნული დანაწესის საფუძველზე, პანდემიის

დროს, საგანგებო სიტუაციის სამართავად, ადამიანის უფლებათა შემზღუდველი ზომების (მათ შორის, იძულების მექანიზმების) გამოყენება, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარეშე, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას. კოვიდ 19-თან ეფექტიანი ბრძოლა გარკვეული რეგულაციების დაწესებას მოითხოვს, მეორე მხრივ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, გრძელვადიანი პერიოდით, მნიშვნელოვნად აფერხებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობებსა და ეკონომიკის განვითარებას (განურჩევლად მიღებული ზომებისა). ვინაიდან, კოვიდ-19-ით შექმნილი მდგომარეობა სრულიად უნიკალურია მსოფლიოში და, შესაძლებელია, ამ გამოწვევასთან სრულად გამკლავებას ერთ წელზე მეტი დაჭირდეს, ასევე, მომავალში, მსგავს პანდემიებთან ბრძოლისას სამართლებრივი სტანდარტების დაცვის მიზნით, მიზანშეწონილი იქნება მოქნილი, ეკონომიკურ და პოლიტიკურ აქტივობებზე ნაკლები ზიანის მიმყენებელი, მექანიზმის შემუშავება. (იხ. რეკომენდაცია 3).

ზვიად კირტავა

პანდემიის მართვის სამომავლო გამოწვევები და შესაძლო პასუხები

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მკვლევარები, ეპიდემიოლოგები და ვირუსოლოგები თანხმდებიან იმაში, რომ:

- COVID-19 პანდემიის დასრულება შესაძლებელი იქნება მოსახლეობის დიდ ნაწილში შედარებით მყარი და, მეტნაკლებად, ხანგრძლივი იმუნიტეტის მიღწევისა და ეფექტიანი სამკურნალო საშუალების აღმოჩენისა და ხელმისაწვდომობის პირობებში;

- იმუნიტეტის ჩამოყალიბების საფუძველი შეიძლება იყოს ეფექტიანი ვაქცინის შექმნა, თან, იმ პირობით, რომ ვაქცინას ექნება, მინიმუმ, 1-წლიანი მყარი იმუნიტეტის განვითარების შესაძლებლობა. პოპულაციური იმუნიტეტის განვითარება დამოკიდებულია ვაქცინის ეფექტურობის მაჩვენებელზე და აცრების მეშვეობით მოსახლეობის საკმარისი ნაწილის მოცვაზე. არცერთი ამ მოცემულობის გარანტირებული მოლოდინი ჯერჯერობით არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ვაქცინის (მაგ. Pfizer – Biontech ვაქცინის) მესამე ფაზის შედეგები შეიძლება 2020 წლის ბოლომდეც იყოს, მნიშვნელოვანი დრო დაჭირდება, მსოფლიო მასშტაბით, ვაქცინების საკმარისი რაოდენობის დამზადებას, დისტრიბუციას და თავად ვაქცინაციის პროცესს, რომელიც ყველაზე მოწყვლადი ფენებიდან უნდა დაიწყოს;

- ფართო ვაქცინაციამდე (რაც, სავარაუდოდ, 2021 წლის ბოლომდე ნაკლებ მოსალოდნელია), კორონავირუსის გავრცელების დინამიკა სხვადასხვა ქვეყნებში - განმეორებადი პიკების, ან ახალი ტალღების სახით შეიძლება ვარირებდეს, რომელთა სიხშირე და სიმძლავრე დამოკიდებული იქნება ეპიდემიოლოგიური კონტროლის და შეზღუდვების სიზუსტეზე, დროულობაზე და ხარისხზე, მობილობის ზრდის ფონზე მოსახლეობის მიერ რეკომენდაციების სწორად დაცვაზე. სავარაუდოდ, ყოველ შემდგომ ტალღაზე სულ უფრო გართულდება

მოსახლეობის მიერ რეგულაციების ჯეროვნად დაცვა (ეკონომიკური კრიზისის, ფსიქოლოგიური გადაღლის ფენომენის თუ წინა ფაზაში მიღწეული კარგი შედეგით თვითდამშვიდების გამო);

- 2020 წლის შემოდგომაზე გრიპის, სხვა რესპირატორული სეზონური ინფექციების დამთხვევა კორონავირუსის მატების შესაძლო პიკთან ჩრდილოეთ ნახევარსფეროს დიდ ნაწილში, სავარაუდოდ, გაზრდის პრობლემებს მაღალი მიმართვიანობისა და ინფექციების დიფერენცირების კუთხით. მიზანშეწონილი იქნება მოსახლეობის სწორი ინფორმირება, გრიპის დროული და უფრო გაფართოებული ვაქცინაცია, და კომბინირებული (გრიპი+ახალი კორონავირუსი) ტესტების შეძენა მაქსიმალურად სწრაფი და ეფექტიანი დიფერენცირებისთვის.

- პანდემიის ორი მთავარი დამაზიანებელი მექანიზმი - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ეკონომიკის კრიზისი - ერთი პრობლემის ორი მკაცრად დაკავშირებული მხარეა, რომელთა მართვა უხშირესად ურთიერთსაწინააღმდეგო სტრატეგიებს ეყრდნობა: საზოგადოებრივი ჯანდაცვის პერსპექტივიდან გამომდინარე, ინფექციის გავრცელების, ჯანდაცვის სისტემის კოლაფსისა და მასობრივი სიკვდილიანობის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია მთელი რიგი შეზღუდვების დროული შემოღება და განხორციელება, რაც, სამწუხაროდ, ეკონომიკის მკვეთრ რეცესიას იწვევს, რომელიც შეზღუდვების სიმკაცრისა და ხანგრძლივობის პროპორციულია და საბიუჯეტო შემოსავლების კლებისა და ხარჯების ზრდის კვალობაზე, საბოლოო ჯამში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მოსახლეობის სოციალური დაცვისთვის საჭირო სახსრების თანდათანობით გამოფიტვამდე შეიძლება მიგვიყვანოს. ამიტომ, პანდემიის მართვის პოზიტიური შედეგების მიღების პარალელურად, მთავრობები იძულებულნი და ვალდებულნი არიან, დაიწყონ ზრუნვა ეკონომიკის გამოცოცხლებაზე: შეზღუდვების შესუსტება, საზღვრების გახსნა, წარმოებების და სასწავლო პროცესების აღდგენა, ადამიანების მობილურობის გაზრდა და ტურიზმის წახალისება. აღნიშნული ქმედებები კი ზრდის ინიფიცირების ტემპების და აქტიური შემთხვევების ხელახალი მატების შანსს. როგორც მოსალოდნელი იყო, ზაფხულში ტურიზმის და თავშეყრების მკვეთრი მატების ფონზე სოციალური დისტანცირების, ნიღბების ტარების და სხვა რეკომენდაციების მიმართ მოსახლეობის სიფხიზლის მოდუნება სხვადასხვა ქვეყნებში ან ინფიცირების ახალი პიკების საფუძველი გახდა (აშშ, ესპანეთი, საფრანგეთი, ისრაელი, ბრიტანეთი), ან იქაც კი გამოიწვია შემთხვევების მატება, სადაც ადრე პანდემიასთან გამკლავებას კარგად ახერხებდნენ (ავსტრალია, ახალი ზელანდია, იაპონია, ჩეხეთი, ნიდერლანდები, საქართველო).

- გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში, მოგვიწევს, ინფექციის მართვაში შეზღუდვების შერბილების, მობილობის ზრდის, ეკონომიკისა და სასაწავლო პროცესების გახსნისა და ინფიცირების ობიექტურ ინდიკატორებზე დაკვირვების მიხედვით - გარკვეული დროის განმავლობაში და კონკრეტული კლასტერების გათვალისწინებით, ლოკალური/წერტილოვანი და ხანმოკლე შეზღუდვების კვლავ აღდგენის მოქნილი ტაქტიკის, შესაძლოა, მრავალჯერადი გამოყენება, - ნაბიჯების წინ და უკან გადადგმა. განმეორებითი შეზღუდვები, გამოცდილების ზრდის კვალობაზე, სასურველია, უფრო ნაკლები მასშტაბის და ხანგრძლივობის იყოს, ვიდრე პირველად - როგორც პანდემიის და შემთხვევების მართვაში დაგროვილი გამოცდილების წყალობით, ასევე - იმ სამწუხარო რეალობის

გათვალისწინებით, რომ ყოველი შემდეგი ლოქდაუნი, სულ უფრო მეტად დააზარალებს ეკონომიკას და გამოფიტავს უკვე ისედაც უკვე შემცირებულ ფინანსურ რესურსებს. ლოკალური შეზღუდვების სწრაფად დაწესების (ხოლო, შესაძლებლობის შემთხვევაში, შესუსტების/მოხსნის) მიზნით გამართლებულია სიფხიზლის 3-4-დონიანი კონტროლირებადი სისტემური ეფექტური კრიტერიუმის შექმნა, რომელიც დაემყარება ობიექტურ თვლად (და სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებად) ინდიკატორებს. მაგალითად: ახალი ყოველდღიური შემთხვევების დინამიკა, დაუდგენელი კონტაქტების % რაოდენობა, ინფექციის ბაზისური რეპროდუქციის მაჩვენებელი (R_0), აქტიური შემთხვევების დინამიკა და გეოგრაფიული განაწილება, ბოლო 7/14 დღის შემთხვევების ზრდის/დაქვეითების ტენდენცია 100,000 მოსახლეზე, ბოლო 14 დღის/1 თვის სიკვდილობის შემთხვევები (Infection fatality rate) 100,000 მოსახლეზე, პოზიტიური ტესტების %-ის მაჩვენებელი დინამიკაში, დაინფიცირებული სამედიცინო პერსონალის რაოდენობა. დასახელებული სისტემა, უმჯობესია, შესაბამისობაში იყოს და/ან კოორდინირებულ იქნას ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, დაავადებათა კონტროლის აშშ ცენტრების ან ევროპული ცენტრის, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის, ევროკავშირის, და სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების მიმდინარე რეკომენდაციებთან და ანალოგიურ სისტემებთან.

- კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობასთან გამართულ და დამაჯერებელ კომუნიკაციას, მოსახლეობის მხრიდან ეპიდემიოლოგიური სიფხიზლის შენარჩუნებას და მარტივი ეფექტიანი რეკომენდაციების (ნიღბის ტარება, სოციალური დისტანცირება, დახურულ სივრცეში შეხვედრების მონაწილეთა რაოდენობის შეზღუდვა, პირადი ჰიგიენა) დაცვის პასუხისმგებლობის განუხრელად შენარჩუნებას.

- ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე, როდესაც ვსაუბრობთ ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე, კონკრეტულად - საქართველოს მაგალითზე, გასათვალისწინებელია, რომ ღონისძიებათა ნაწილი, (შეიძლება, მათ ტაქტიკურიც ვუწოდოთ), პანდემიის პერიოდისთვის უნდა განისაზღვროს, მაგრამ, ამავდროულად, მნიშვნელოვანია პოსტპანდემიური (სტრატეგიული) ღონისძიებების დასახვაც და ჯანმოს რეკომენდაციების თანახმად, უკვე, ამ ეტაპზევე, სწორად დაგეგმვაც და რეალიზების დაწყებაც.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემა - მზადყოფნის და მედეგობის გაძლიერება

სისტემის მოკლე მიმოხილვა

საქართველოში ჯანდაცვის დაფინანსების წამყვანი მოდელი 2013 წლიდან არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რასაც ემატება მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევის პროგრამები. დაავადებათა კონტროლი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგიური კვლევები ხორციელდება სახელმწიფო ორგანიზაციის - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის და მისი რეგიონული

განყოფილებების მიერ. სტაციონარული და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა უდიდესი ნაწილი (90%-მდე) 2007-12 წლებში პრივატიზებულია და, განსხვავებით ევროპული გამოცდილებისაგან, კერძო მომგებიანი ტიპის დაწესებულებებია. სამედიცინო დაწესებულებათა ლიცენზირება-აკრედიტაცია დანერგილია, თუმცა სრულყოფილი ხარისხის კონტროლის დანერგვა, ისევე როგორც მედპერსონალის ქმედითი უწყვეტი პროფესიული განათლების სისტემისა, ჯერაც ვერ მოხერხდა, რაც მიუხედავად ექიმებით უზრუნველყოფის ევროკავშირთან შედარებით გაცილებით მაღალი მაჩვენებლისა (100,00 მოსახლეზე - 705, ნაცვლად 370-სა, 2018 წ.), დღის წესრიგში აყენებს კვალიფიციური კადრების ნაკლებობის პრობლემას. ამას თან ერთვის ჯანდაცვის სექტორში ექთნებით უზრუნველყოფის ევროპაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (ექიმების და ექთნების ფარდობა 1:0.7), რაც უარყოფითად მოქმედებს მიწოდებული სერვისის ხარჯ-ეფექტურობაზეც და ხარისხზეც.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ სერიოზულად გააუმჯობესა მოსახლეობის მიერ ჯანდაცვის სერვისების უტილიზაცია და მოსახლეობის კმაყოფილება. გაიზარდა როგორც პირველადი ჯანდაცვისადმი მიმართვიანობა (2.3-დან 2012 წელს 4-მდე 2015 წელს), ასევე სტაციონარული სერვისებით სარგებლობაც (1000 მოსახლეზე 8.0-დან 2012 წ. – 13.3-მდე 2015 წ.). ერთი შემსყიდველის - სოციალური მომსახურების სააგენტოს პირობებში, მნიშვნელოვნად შემცირდა პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები. თუმცა, დიდი მოცულობის სერვისების მიწოდების ფონზე გამოიკვეთა კერძო პროვაიდერების მიერ გაწეული სერვისების მოცულობის, მიზნობრიობისა და ხარისხის აუდიტის მიზნით სოციალური მომსახურების სააგენტოს, სავარაუდოდ, არასაკმარისი ადამიანური რესურსებით განპირობებული კონტროლის ხარვეზები და რიგ შემთხვევებში (განსაკუთრებით, მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული ოპერაციების, მათ შორის გადაუდებელი ჩარევების) ჭარბი მოხმარების ტენდენციები. ამის დასაძლევად 2017 წლიდან დაიწყო სამედიცინო დაწესებულებათა სელექტიური კონტრაქტირების პროგრამა, რაც მიმართულია არაეფექტური, დაბალი დატვირთვის მქონე პროვაიდერების შემცირებისა და უფრო გამოცდილი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროფესიული, სრული სპექტრის სერვისების მომწოდებელი პროვაიდერების მიმართ დატვირთვის გადანაწილებისკენ, რაც ასევე ხელს შეუწყობს მრავალ სხვადასხვა დაწესებულებაში ზეგანაკვეთურ და, ხშირად, შრომის კანონმდებლობის დარღვევით მომუშავე პერსონალის კონცენტრირებას და უკეთესი სამუშაო პირობების დაცვას, საბოლო ჯამში კი, პაციენტებისთვის უფრო მაღალი ხარისხის და დაცული სერვისების გარანტირებულ მიწოდებას. მეორე მხრივ, მოხდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლეთა დივერსიფიცირება შემოსავლების მიხედვით - 40,000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე პირები პროგრამით აღარ სარგებლობენ, ხოლო 1000 ლარზე მეტი თვიური შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის ფასიანი გახდა სპეციალისტების კონსულტაციები და გამოკვლევები, რამაც პროგრამის რესურსი, უპირატესად, მცირეშემოსავლიანი ოჯახებისკენ მიმართა.

საქართველოს პარლამენტმა 2017 წელს პოლიტიკური ძალების მანამდე არნახულ კონსენსუსზე დაყრდნობით მიიღო მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტი - „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისათვის“, რომელშიც ასახულია ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარ პრობლემები და მიზნები.

ჯანდაცვის სისტემის ინფრასტრუქტურა

ჯანდაცვის სისტემა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ადამიანისა და საზოგადოების ჯანმრთელობის შენარჩუნების თვალსაზრისით და ჯანმრთელობის უსაფრთხოების ქვაკუთხედს წარმოადგენს. იმისათვის, რომ საზოგადოების ჯანმრთელობა დაცული იყოს, ჯანდაცვის სისტემა უნდა იყოს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი. მიხედავად იმისა, რომ მსგავსად სხვა სფეროებისა, ჯანდაცვაც წარმოადგენს გარკვეულ ბიზნეს-სექტორს (ბაზარს), სადაც სუბიექტების ქმედება, გარკვეულწილად, ბიზნესის კანონებს და სტიმულებს ემორჩილება და ეს, თავისთავად, ხარისხის განვითარების მოტივატორია, იგი მაინც განსხვავდება სხვა ეკონომიკური ბაზრებისგან. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის განსაზღვრებით, ეს განსხვავება შემდეგი ფაქტორებითაა განპირობებული:[2]

- ჯანდაცვა ისეთ „საზოგადოებრივ სიკეთეებს“ მოიცავს, რომლიც, შეიძლება, ადვილად გახდეს პრობლემური, თუ მხოლოდ ბაზრის იმედად დავტოვეთ;
- ჯანდაცვის ზოგიერთი სიკეთე, მაგალითად, იმუნიზაცია, აშკარა სარგებელს წარმოადგენს არა მარტო ინდივიდუალური მომხმარებლისთვის, არამედ - მთელი საზოგადოებისთვის;
- მხოლოდ საბაზრო მექანიზმის გამოყენებამ, შეიძლება, ჯანმრთელობის ყველაზე დიდი ხარჯების მიმართ რისკების დაუზღვევლობამდე მიგვიყვანოს (ნაკლები მოგების შანსის გამო იქ ნაკლები მოთამაშე ისურვებს ჩართვას);
- ბაზარი ვერ აკომპენსირებს ჯანმრთელობის რესურსებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უთანაბრობას (პირიქით, შეიძლება გაამწვავოს ეს უთანაბრობა);
- ბაზარს თან სდევს ინფორმაციის ასიმეტრიულობა - მომწოდებელს მომხმარებელზე მეტი ინფორმაცია აქვს ჯანმრთელობაზე, რითაც, შეუძლია, მოგების გაზრდის მიზნითაც ისარგებლოს.

ამავდროულად, კერძო სექტორი, რომელიც ზოგიერთი ქვეყნის ჯანდაცვის სერვისებში მნიშვნელოვანი მომწოდებელი შეიძლება იყოს, ძალიან განსხვავებულია - პირველ რიგში, შეიძლება იყოს მოგებაზე ორიენტირებული, ან - არამომგებიანი, ოფიციალური ან არაოფიციალური, ადგილობრივი ან უცხოური. ყოველ მათგანს განსხვავებული მახასიათებლები და მიზნები შეიძლება ჰქონდეს.

კერძო მომგებიანი სექტორი თავს წარმოაჩენს ინოვაციის მამოძრავებლად და უფრო მაღალი ხარისხის სერვისის სწრაფ და ეფექტურ მიმწოდებლად. კერძო სექტორის კრიტიკოსები კი ამტკიცებენ, რომ მოგებაზე ორიენტირება გარკვეული საფრთხეა პირველადი ჯანდაცვის ჯანსაღად ფუნქციონირების თვალსაზრისით, რადგან ჯანმრთელობის ბაზრები მიდრეკილია შეფერხებებისა და რყევებისკენ, რის დაფარვასაც მოგებაზე ორიენტირებული კერძო სექტორი თავისი სახსრების ხარჯზე არ ისურვებს. ჯანმო-ს რეკომენდაციის თანახმად, საყოველთაო ჯანდაცვის მიმართულებით მდგრადი წინსვლის მისაღწევად აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება. თანხები ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ და უფრო

2 WHO – The private sector, universal health coverage and primary healthcare. 2018 https://www.who.int/docs/default-source/primary-health-care-conference/private-sector.pdf?sfvrsn=36e53c69_2&ua=1

მოწყვლადი ფენებისა და აუცილებელი სერვისებისკენ მივმართოთ. ამისათვის, კერძო სექტორის სერვისები შეიძლება გადამწყვეტი რესურსი იყოს, მაგრამ მისი ჩართულობა შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების საფუძველზე უნდა მოხდეს, სადაც კერძო სექტორთან წარმატებული პარტნიორობის ფორმებიც იქნება გათვალისწინებული და, ამავდროულად, ეფექტური სტანდარტები, მარეგულირებელი ჩარჩოები და ფინანსური მექანიზმებიც, რომელიც აგვარიდებს მოგებაზე ორიენტირებული კერძო სექტორის პოტენციურ, ნეგატიურ ქცევას და ჯანდაცვის ბაზრის რყევების რისკს.

ჯანდაცვის სისტემის ინფრასტრუქტურაში არ არსებობს ერთიანი და სამაგალითო „სტანდარტი" გარკვეული ტიპის პროვაიდერების არსებობაზე. თუმცა, ნებისმიერი სისტემის მედეგობა, ზოგადად, უკეთესია დივერსიფიცირების და სხვადასხვა სექტორის თანაარსებობის პირობებში. საქართველოს ჯანდაცვის სექტორში როგორც ჰოსპიტლების, ასევე პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციების დიდი უმეტესობა (90%-ზე მეტი), 2009-2011 წლებში განხორციელებული მასობრივი პრივატიზაციის შედეგად კერძო მფლობელობაში მყოფი დაწესებულებებია და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, - მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები, რომელთა დიდი ნაწილი ვერტიკალურად ინტეგრირებულია კერძო სადაზღვევო კომპანიებში და/ან ფარმაცევტულ კომპანიებში. ფარმაცევტული კომპანიების, კერძო სადაზღვევო კომპანიების და სამედიცინო სერვისების პროვაიდერების (როგორც ჰოსპიტლების, ასევე ამბულატორიების) ვერტიკალური ინტეგრაციის ასეთი ნიმუში უჩვეულოა ევროკავშირისთვის, რომელთანაც ასოცირება ჩვენი პოლიტიკის მთავარი ვექტორი და უკვე მიმდინარე პროცესია.

საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორში საწოლების რაოდენობა 2019 წ. მონაცემების მიხედვით, 17,471 იყო (470.1 საწოლი 100,000 მოსახლეზე, ევროკავშირი - 500.5). თუმცა, საქართველოსგან განსხვავებით, ევროკავშირის ქვეყნებში (EU28) 2014 წელს ჰოსპიტლების საწოლების ფონდის, საშუალოდ, მხოლოდ 34% იყო კერძო სექტორში და, მხოლოდ გერმანიაში აღემატებოდა ნახევარს (59.3%), ხოლო ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში (EU13) კერძო საწოლების საშუალო მაჩვენებელი, სულაც, 15% იყო[3]. თანაც, დასავლეთში „კერძო სექტორი" არ ნიშნავს, რომ ეს საავადმყოფოები მოგებაზე ორიენტირებული არიან. მოგებაზე ორიენტირებული კერძო საავადმყოფოების საწოლების რაოდენობა (128 საწოლი/100,000, 2014 წ.)[4] ევროკავშირში საშუალოდ 1/3-ს არ აღემატება. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, საავადმყოფოთა უდიდესი ნაწილი არამომგებიანი (non-profit) ორგანიზაციებია და მათი წილი, ბოლო 20 წლის განმავლობაში (1999-2018), უმნიშვნელოდ შეიცვალა 62%-დან - 57%-მდე. ამავდროულად, შედარებით გაიზარდა მოგებაზე ორიენტირებული საავადმყოფოები (15%-დან - 25%-მდე) და შემცირდა სახელმწიფო/ადგილობრივ დაქვემდებარებაში მყოფი საავადმყოფოების წილი (25%-დან 18%-მდე)[5]. ევროპული გამოცდილების ჩარჩო მიმოხილვის (scoping review - 24 სტატიაში მოცემული 5500 ჰოსპიტლის ინდიკატორების ანალიზის შეჯამება) მონაცემთა ნაწილი არ იძლეოდა ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას, თუმცა, დანარჩენებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ

3 Hospitals in Europe. https://hospitalhealthcare.com/latest-issue-2018/hospitals-in-europe-healthcare-data-9/
4 https://gateway.euro.who.int/en/indicators/hlthres_19-beds-in-for-profit-privately-owned-hospitals-per-100-000/
5 Kaiser Family Foundation – Hospitals by ownership type. https://www.kff.org/other/state-indicator/hospitals-by-ownership

საჯარო ჰოსპიტლების ეკონომიურობის მაჩვენებლები (economic performance) სჯობდა არამომგებიანი კერძო ჰოსპიტლების ინდიკატორებს, ხოლო ამ უკანასკნელთა მაჩვენებლები - მცირედ - მოგებაზე-ორიენტირებული კერძო ჰოსპიტლებისას. ხარისხის მიხედვით განსხვავება არ დაფიქსირებულა.[6]

საქართველოში კერძო მომგებიანი და სახელმწიფო სექტორის მფლობელობაში მყოფი დაწესებულებების მნიშვნელოვანი დისონანსი ევროპულ და ამერიკულ მოდელთან ნაკლებ საგრძნობი იყო კერძო დაზღვევაზე ორიენტირებულ ჯანდაცვის სისტემაში, მაგრამ უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც 2013 წლიდან ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში სახელმწიფოს კურსი მკვეთრად შეიცვალა: მიზნობრივი ჯგუფების ჯანდაცვის სერვისებით უზრუნველყოფა ჩანაცვლდა სერვისების საყოველთაო მოცვით, რის შედეგადაც ქვეყანაში სახელმწიფოს მხრიდან სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა 29.5%-დან (2010 წ.) 99,9%-მდე (2014) გაიზარდა, ხოლო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოცულობა - 10-ჯერ.

მაღალმთიან - შედარებით მცირედდასახლებულ რეგიონებში, სადაც გეოგრაფიული და დროში ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ჯანდაცვის სერვისების განსაკუთრებული გამოწვევა არსებობს, სადაზღვევო კომპანიების მიერ მნიშვნელოვანი ინვესტიციები არ ხორციელდებოდა. 2014-15 წლებში საქართველოს ხელისუფლებამ გამოისყიდა სადაზღვევო კომპანიების მფლობელობაში არსებული მაღალმთიან რაიონებში მოქმედი სამედიცინო ცენტრები და, მუნიციპალურ დონეზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სხვა სტაციონარულ დაწესებულებებთან ერთად, რეგიონული ჯანდაცვის ცენტრს დაუქვემდებარა (ამჟამად, სულ 18 საავადმყოფო საქართველოს 9 რეგიონში). ზოგიერთ ამ რაიონში - დედოფლისწყარო, ხარაგაული, ლენტეხი, - ახალი საავადმყოფოები გაიხსნა. 2020 წელს კიდევ 4 საავადმყოფო (მათ შორის, კოვიდ-კლინიკებად გამოყენებული აკად. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური საუნივერსიტეტო კლინიკა, თბილისის ბავშვთა ინფექციური ჰოსპიტალი და რუხის მულტიპროფილური საავადმყოფო) გაერთიანდა სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგში. სავარაუდოდ, მოსალოდნელია ამ ორი სახელმწიფო კონგლომერატის ერთიანი მმართველობის ქვეშ გაერთიანება და სახელმწიფო სექტორის სტაციონარულ და ამბულატორიულ დაწესებულებათა ერთიანი ქსელის შექმნა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სამედიცინო სერვისების ბაზარზე უფრო აქტიური მონაწილეობის მიზნით და სამომავლოდ კრიზისული სიტუაციებისთვის მზადყოფნის და მედეგობის ორგანიზაციული და ფუნქციონალური მოქნილობის გასაუმჯობესებლადაც.

სახელმწიფო სექტორის მრავალპროფილური და სპეციალიზებული ჰოსპიტლების არსებობა ასევე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს იქნება სამედიცინო განათლებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, რისთვისაც კრიტიკულია კლინიკურ გარემოში მედიკოსი და ექთანი სტუდენტების პრაქტიკა და რეზიდენტურის სისტემის სრულყოფა. განახლებული რესპუბლიკური საავადმყოფო, თავისი მდებარეობითა და განვითარების პოტენციალით, ისევე როგორც ბათუმის, რუხის და სხვა სახელმწიფო სექტორის კლინიკები, თუ მათ ფუნქციონალურ დატვირთვაში საუნივერსიტეტო და პოსტდიპლომური განათლება

6 Tynkkynen, L., Vrangbæk, K. Comparing public and private providers: a scoping review of hospital services in Europe. BMC Health Serv Res 18, 141 (2018).

სერიოზულ მიმართულებად ჩაიდება, მნიშვნელოვანი მოთამაშეები შეიძლება გახდნენ, როგორც მაღალი ხარისხის პრაქტიკული სერვისების და გადაუდებელი გამოწვევების პასუხის კუთხით, ასევე სამედიცინო კადრების გაზრდისა და დახელოვნების თვალსაზრისით, რაც ადამიანური რესურსების სწორ დაგეგმვასა და პერსპექტიული განვითარების გეგმებში სერიოზული წანამძღვარი იქნებოდა. თავის მხრივ, საგანმანათლებლო საუნივერსიტეტო რესურსის კონცენტრაცია გაზრდიდა დასახელებულ ჰოსპიტლებში კლინიკური, საკონსილიუმო, სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის და გამოცდილების დონეს და ამ ჰოსპიტლების რეპუტაციულ მიმზიდველობასაც, რაც ასე მნიშვნელოვანია დასავლურ მედიცინაშიც, სადაც მედიკოსი სტუდენტები და რეზიდენტები პრაქტიკის გავლას ხშირად საჯარო/მუნიციპალური სექტორის მაღალი დატვირთვის კლინიკებში ამჯობინებენ, და არა იმდენად - ელიტარულ კერძო ჰოსპიტლებში.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო დაქვემდებარების ამ 22 დაწესებულების ინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური აღჭურვის დონე საკმაოდ განსხვავებულია და ზოგიერთ მათგანში, პირველ რიგში, სერიოზული ფინანსირება იქნება საჭირო, როგორც ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ასევე პერსონალის გადამზადების კუთხით.

ჯანდაცვის სექტორში ინსტიტუციური მრავალფეროვნების შემოტანის სხვა შესაძლო ვარიანტებია: საჯარო-კერძო თანამშრომლობის (PPP) აქტიურად გამოყენება, როგორც შიდა რესურსების, ასევე - უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და ჯანდაცვის სერვისების განმახორციელებელი არამომგებიანი დაწესებულებების წახალისება - განსაკუთრებით პირველადი ჯანდაცვის სექტორში (მეტი საგადასახადო პრეფერენციების სახით).

გარდა ქვეყნის მასშტაბით საავადმყოფოების/საწოლების მაჩვენებლებისა, აუცილებლად გასათვალისწინებელია რეგიონებში მათი მდებარეობა/განაწილება, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და ისეთი კომპონენტები, როგორიცაა გადაუდებელი დახმარების განყოფილებების სტრუქტურა, მოცულობა, და მათი სათანადო დაკომპლექტება მაღალტექნოლოგიური და სპეციალიზირებული აპარატურით და კვალიფიციური კადრებით (კოვიდ-ის შემთხვევაში: ინფექციონისტები, კრიტიკული მედიცინის სპეციალისტი ექიმები და ექთნები, რადიოლოგები). ასევე - ამ უკანასკნელთა დატვირთვის გათვალისწინებაც (მით უფრო - შეთავსებით მუშაობის პირობებში), ხოლო დეფიციტის შემთხვევაში - მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში სათანადო რეზერვის მომზადება/გადამზადება ადგილზე თუ დისტანციური სწავლების პროგრამებით..

კოვიდ-19–ის პანდემიის პირველ ეტაპზე სახელმწიფომ და საქართველოს რეგიონებში არსებულმა კერძო სტრუქტურებმა თანამშრომლობის და კოორდინაციის მაღალი დონე გამოამჟღავნეს, როდესაც ქვეყნის საკოორდინაციო შტაბის გადაწყვეტილების თანახმად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით, პანდემიის მართვა განხორციელდა სამი ტიპის დაწესებულებებში: პირველადი ჯანდაცვის ცენტრები - კორონავირუსზე საეჭვო შემთხვევების პირველადი ტრიაჟისთვის ცხელი ხაზის გამოყენებით და ბინაზე კონსულტირებით, ცხელების ცენტრები - სიმპტომების შემთხვევებში ლაბორატორიული ტესტირების და ცენტრში მოკლევადიანი დაკვირვებით სკრინინგისთვის, და კოვიდ-კლინიკები -

დადასტურებული შემთხვევების სტაციონარული მართვის მიზნით. აღნიშნული ტიპის დაწესებულებები მოიცავდა როგორც სახელმწიფო, ისე - კერძო დაწესებულებებს და მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი გამოცდილება გადაუდებელი მდგომარეობების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთიანი ამოცანებისთვის რესურსების მობილიზაციისა და დახვეწილი კოორდინაციის კუთხით. ამას დაემატა საკარანტინო ზონებად გამოყოფილი 300-მდე სასტუმრო. აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირველ ფაზაში სანიმუშო ეპიდემიოლოგიური კონტროლის, შეზღუდვებისა და მოსახლეობის მიერ სავალდებულო რეკომენდაციების დაცვის წყალობით, ჯანდაცვის სისტემას არ მოუწია სერიოზული დატვირთვის მიღება (აქტიური შემთხვევების რაოდენობა 400-ზე ნაკლები იყო) და, პრაქტიკულად, ყველა ინფიცირებულის მართვა კოვიდ-ცენტრებში და ცხელების ცენტრებში განხორციელდა. ევროპული გამოცდილების (გერმანია, დანია, ნორვეგია, შვედეთი) გათვალისწინებით კი შესაძლებელია ინფიცირებულთა დიდი ნაწილის (70-80%-მდე - უსიმპტომო, მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ავადმყოფები) ბინაზე და/ან საკარანტინო სივრცეებში (სასტუმროებში, სადაც კარანტინში გამოვლენილ ინფიცირებულთა მართვის გამოცდილება მიიღეს) იზოლირება და პირველადი ჯანდაცვის მიერ დისტანციური მონიტორინგის წარმართვა. მსგავსი ტაქტიკა საქართველოში პანდემიისთვის გამოყოფილი 3500 ჰოსპიტალური საწოლის პირობებში 12,000-17,000 ინფიცირებულის ერთდროული მართვის საშუალებას მოგვცემს. მნიშვნელოვანია საწოლფონდის ცვლილების/ რეზერვირების წინასწარ შეთანხმება კერძო სექტორთან, ადგილებზე სერვისების სათანადო რესტრუქტურიზაციისა და პერსონალის მობილობის დაგეგმვით.

რამდენადაც პანდემიის სრული დასასრული, სავარაუდოდ, 2021 წლის ბოლომდე არაა მოსალოდნელი, აუცილებელია საჯარო და კერძო დაწესებულებების კოორდინაციის შემდგომ ეტაპზე დაგეგმვაც. განსაკუთრებით, იმ პირობებში, როცა შემთხვევების პიკებისა და შემცირების პარალელურად კოვიდ-ცენტრებად გამოყოფილი დაწესებულებების ოპერირების მოდელის, სერვისების, პაციენტთა ნაკადებისა და რეზერვების მრავალჯერადი გადაწყობისა და ფლუქტუაციის რთული პერიოდებია მოსალოდნელი. ამავდროულად, პანდემიურმა პერიოდმა, შეიძლება, გარკვეული შესაძლებლობაც კი შექმნას სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის საჯარო-კერძო თანამშრომლობის ინიცირების თვალსაზრისით. უმჯობესი იქნება ერთწლიანი კონტრაქტირებით (ან - ახალი პარტნიორის კუთვნილი შედარებით დაბალი წილით) დაწყება, რაც თანდათან გამოკვეთს როგორც პოტენციურ სარგებელს, ასევე ორგანიზაციული, ფინანსური და მმართველობის კუთხით შესაძლო პრობლემებს, რომლის გამოსწორება და კორექტივების შეტანა მომდევნო წლების კონტრაქტებში შეიძლება დაიხვეწოს.

აღსანიშნავია, რომ 2020 წ. აგვისტოში გამოქვეყნებული ახალი სამეწარმეო კანონის განხილვა და მიღება მეტ შესაძლებლობებს იძლევა ჯანდაცვის სექტორში სხვადასხვა ტიპის დაწესებულებების დივერსიფიცირებული არსებობის, შესაბამისი ნიშების დაკავების, ჯანსაღი კონკურენციისა და მრავალმხრივი თანამშრომლობისათვის.

ჯანმო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ინტეგრირებულ ჯანდაცვას, ხოლო მის ორგანიზაციულ მოწყობასა და ეფექტურ ფუნქციონირებაში სტრატეგიული როლი ენიჭება პირველად ჯანდაცვას (პჯდ), რომელიც ჯანდაცვის სისტემაში პაციენტის მოსახვედრად კარიბჭის როლს უნდა ასრულებდეს. ქვეყნები, სადაც პჯდ არის ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემის მთავარი და საწყისი რგოლი, უფრო ხარჯ-

ეფექტურ და ეფექტიან სერვისებს განახორციელებენ. დადასტურებულია ისიც, რომ პჯდ-ზე ორიენტირებულ ქვეყნებში არა მარტო ავადობის, სიკვდილობის და ხარჯ-ეფექტურობის მაჩვენებლებია უკეთესი, არამედ ჯანდაცვაზე უფრო თანაბარი ხელმისაწვდომობაც და მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის სოციალური თანასწორობაც უკეთ მიიღწევა, ვიდრე სპეციალიზირებულ და ჰოსპიტალურ დახმარებაზე ორიენტირებულ ქვეყნებში.

საქართველოში პჯდ მიმართ სხვადასხვა ხელისუფლების დროს რეფორმის სხვადასხვა მოდელის განხორციელებამ (ან სწორედ იმან, რომ რეფორმების ამ მოდელებში არ იყო თანმიმდევრულობა), განაპირობა, რომ სადღეისოდ პჯდ ჯერ კიდევ ვერ იქცა ჯანდაცვის სისტემაში პაციენტის მოსახვედრ კარიბჭედ, ოჯახისა და თემის დონეზე დაავადებათა პრევენციაზე აქცენტირებით ხარჯების ეფექტური გამოყენების გარანტიად, რაც ხელს შეუწყობდა ვიწრო სპეციალისტებთან ხშირად კონსულტირებასა და სტაციონარულ დახმარებაზე ორიენტირებული მოდელის და პაციენტის/საზოგადოების ფსიქოლოგიის პარადიგმის ცვლილებას. ამის ინდიკატორია ისიც, რომ მიუხედავად პჯდ სისტემაში პაციენტის მიმართვიანობის 2.1-დან (2012 წ.) 3.6-მდე (2019 წ.) მატებისა, ამჟამინდელი მაჩვენებელი მაინც 2-ჯერ ნაკლებია ევროპულ მაჩვენებლებზე. ამავდროულად, მსოფლიო ბანკის 2017 წ. მონაცემების თანახმად, საქართველოში სტაციონარული პროცედურების რაოდენობა გაცილებით აღემატება ევროპულ მაჩვენებლებს.

არსებული პრობლემები, ნაწილობრივ მაინც, აიხსნება იმით, რომ ამ სექტორის დიდი ნაწილი (გარდა ჯარის და პენიტენციარული სისტემის პჯდ დაწესებულებებისა, რომლებიც სახელმწიფო სექტორშია) კერძო მომგებიანი ბიზნესის წესით ფუნქციონირებს და/ან ჩართულია ვერტიკალურ სისტემებში, სადაც ზოგჯერ ინტეგრირებულია ჰოსპიტალურ დაწესებულებასთან და შეიძლება ამ უკანასკნელის, იმდენად არა ხარჯ-ეფექტურ კონკურენტად, რამდენადაც, უმცროს თანაშემწედ გამოდიოდეს. ან, შეიძლება, არ იყოს ორგანიზაციულად ასოცირებული, მაგრამ შედარებით მწირი რესურსების და არასათანადო დაფინანსების გამო თავადაც არ არის დაინტერესებული/შემძლებელი აქტიური კონკურენციისა, რადგან ფარმაცევტული და სადაზღვევო კომპანიების წნეხს ვერ უძლებს.

მართალია, პჯდ დაფინანსების წილმა 2015 წ. ჯანდაცვის საერთო ხარჯების 26.3%-ს მიაღწია და სახელმწიფო სექტორიდან ამ დაფინანსების 1/3 მოდის, მაგრამ დაბალი ანაზღაურების, ძირითადად, კაპიტაციური/ფიქსირებული დაფინანსების მქონე პჯდ სისტემა, განსაკუთრებით გლობალურ ბიუჯეტზე და სერვისებზე მინიმალური განაკვეთის მქონე სოფლის ექიმების პროგრამა, სადაც პერსონალის შესრულებაზე დამყარებული (შედეგზე-ორიენტირებული) ანაზღაურების წამახალისებელი ფორმები თითქმის არაა დანერგილი, და - საყოველთაო ჯანდაცვის ხარჯებში სტაციონარული (განსაკუთრებით, გადაუდებელი ქირურგიული დახმარების) პრევალირება ამყარებს იმ „ტრადიციას“, რომ ქვეყნის მოსახლეობა კვლავაც ორიენტირებულია მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული სტაციონარული დახმარების მიღებაზე. ხოლო პჯდ სისტემისთვის მიმართვის ნაცვლად, ხშირად, უფასო სასწრაფო დახმარების გამოძახების ხარჯზე ცდილობს საკონსულტაციო და რეფერალური მომსახურების მიღებას.

როგორც ჯანმო-ს ჯანმრთელობის ობსერვატორიის ნაშრომის, Health in Transition:

Georgia Health System review, 2017[7] ავტორები აღნიშნავენ, სერიოზული პრობლემაა როგორც ჰოსპიტლებში, ასევე – პჯდ სისტემაში სერვისების ხარისხის კონტროლის ეფექტიანი სისტემის არარსებობა. მაგალითად, არ გამოიყენება ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა თავიდან აცილებადი ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი. გაურკვეველია, პაციენტის მხრიდან სოციალური დახმარების სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტაცია ოპერაციის საჭიროების შესახებ რამდენად დასაბუთებულია, ან რამდენად ზუსტად და სკურპულოზურად კონტროლდება. ნაკლებად ხდება პოსტოპერაციული გართულებების მონიტორინგი და ანგარიშგება. ამ მხრივ პოზიტიური გამოცდილების მაგალითია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფერო, სადაც გაიდლაინების და ხარისხის ინდიკატორების დანერგვითა და უფრო აქტიური აუდიტის გამოყენებით წარმატებით განხორციელდა სელექტიური კონტრაქტირება და გაუმჯობესდა ჯანმრთელობის და ფინანსური მაჩვენებლები. 2020 წელს მოხდა საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაში ერთიანი ტარიფების შემოტანა. თუმცა, ამ ტარიფების კონკრეტული დაანგარიშების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული კითხვები არსებობს და აჯობებდა DRG (დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების მიხედვით დაფინანსების) მოდელის მიხედვით განხორციელდეს, რომელზეც მუშაობა ჯანმოსთან თანამშრომლობით საქართველოში 2019 წლიდან გააქტიურდა.

პანდემიის გაკვეთილებმა, ცხელ ხაზთან და სასწრაფო დახმარების სამსახურთან აქტიური კოორდინაციის გამოცდილებამ, ეპიდემიოლოგიური და ინფექციური კონტროლის ტრენინგის პროგრამებმა, ცხელების კლინიკებთან და კოვიდ-კლინიკებთან თანამშრომლობამ გაზარდა პირველადი ჯანდაცვის რგოლის მზადყოფნა, როგორც ინფიცირების დისტანციური სკრინინგის, ასევე - შემთხვევების დისტანციური მართვის კუთხით, და გააუმჯობესა გართულებების პრევენციის მონიტორინგის უნარ-ჩვევები, ისევე როგორც - კოორდინაცია ჰოსპიტალურ სექტორთანაც. საჭიროა რიგი ორგანიზაციული ცვლილებები, უწყვეტი და ონლაინ განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, ფინანსური სტიმულირების გაუმჯობესება, და ინფრასტრუქტურული დივერსიფიცირების წახალისება, რომ პანდემიის პერიოდში მიღებული პოზიტიური გამოცდილება პოსტპანდემიურ პერიოდში ინტეგრირებული ჯანდაცვის განვითარების მკაფიო და ეფექტიანი ცვლილებების საწყისად იქცეს.

ფარმაცევტული პროდუქტები - ხარჯები და ხელმისაწვდომობა

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაწყებიდან მასში აკუმულირებული სახსრები 70 მილიონი ლარიდან (2013 წ.) 760 მილიონამდე (2017 წ.) გაიზარდა, ხოლო მთლიანად ჯანდაცვაზე სახელმწიფოს მიერ გახორციელებული პროგრამების მოცულობა, იმავე პერიოდში, 435 მილიონი ლარიდან - 1,031 მილიონამდე. სახელმწიფოს მიერ ასეთი მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე, ჯანდაცვის ხარჯებში მოსახლეობის ჯიბიდან გადახდების წილი 73%-დან (2012 წელს) შემცირდა 54.7%-მდე (2017 წელს). თუმცა ეს მაინც ძალიან მაღალი მაჩვენებელია, მით უფრო, რომ ჯიბიდან გადახდების 65%– (2014 წ.), ანუ ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების 38% – მოდის სამკურნალო პრეპარატების

7 Georgia: health system review. Richardson E, Berdzuli N. 2017 https://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0008/374615/hit-georgia-eng.pdf?ua=1

შეძენაზე. რაც ძალიან დიდი ტვირთია, თუ შევადარებთ ევროპის მაჩვენებელებს, სადაც დასავლეთ ევროპაში (დანია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, შვედეთი) წამლებზე ხარჯები ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების მხოლოდ 7%-9%-ია, ხოლო აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში (პოლონეთი, საბერძნეთი, ლატვია, სლოვაკეთი) 21%-დან 29%-მდე მერყეობს.

ამას ემატება ისიც, რომ საქართველოში, ძირითადად, გამოყენებული წამლების 90% იმპორტირებულია (მეტწილად - ბრენდული უცხოური წამლები) და, ამდენად, ფასების მატებას ხელს უწყობს იმპორტზე დამოკიდებულება და უცხოური ვალუტის კურსის ზრდა. ქვეყანაში არსებული ფარმაცევტული წარმოების პროდუქციაც არაა იაფი და, ძირითადად, ექსპორტზეა ორიენტირებული, თუმცა „კარგი წარმოების პრაქტიკის" (GMP) საერთაშორისო სერტიფიკატის არარსებობის გამო ექსპორტი უფრო ახლო სამეზობლოში (შუა აზია, სამხრეთ კავკასია) ხდება.

მედიკამენტების შესაძენად ჯიბიდან გადახდების მაღალი მაჩვენებლის გამო, 2017 წლის 1 ივლისიდან, ქრონიკული დაავადებების მქონე სოციალურად დაუცველ პირთათვის ამოქმედდა სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა, რომლის მიმართვასაც ოჯახის ექიმი გასცემს. თუმცა, მდგომარეობის რადიკალურად შესაცვლელად უფრო სისტემური ნაბიჯია გადასადგმელი.

ჯანმო რეკომენდაციას უწევს გენერიკული (არალიცენზირებული) წამლების უპირატეს გამოყენებას, რომლებიც მათ ლიცენზირებულ ანალოგებთან ექვივალენტური ხარისხის მიუხედავად, გაცილებით იაფიცაა და მსოფლიო ბაზრებზე წამლების დამზადებისა და მიწოდების ჯაჭვების რყევების პერიოდშიც კი (რაც პანდემიის დროს განსაკუთრებით გამძაფრდა) - უფრო ხელმისაწვდომია. ევროპული მთავრობები დიდი ხანია იყენებენ გენერიკული წამლების მიმართ სხვადასხვა მხარდამჭერ პოლიტიკას, როგორც მოწოდების მხარეს (ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სააფთიაქო ქსელში დაბალი ფასის შენარჩუნება, სუბსიდირება), ასევე მომხმარებლის მხარეს (სტიმულები ექიმების, ფარმაცევტების და პაციენტის მიმართ), რათა გენერიკული წამლების უფრო მეტად გამოყენების შედეგად მოხდეს მკურნალობის ხარჯების ოპტიმიზაცია იმავე ხარისხის შენარჩუნებით. აშშ-ში გამოწერილი რეცეპტების 84%, სწორედ, გენერიკულ წამლებზე მოდის, რომელთა ფასი ანალოგიურ ბრენდულ წამლებთან შედარებით 30-85%-ით ნაკლებია. გენერიკული წამლების გამოყენებით მხოლოდ 2017 წელს ამერიკელმა მომხმარებლებმა თავისი ჯიბიდან 17 მილიარდი დოლარი დაზოგეს, ხოლო ქვეყნის მასშტაბით დანაზოგი 265 მილიარდი დოლარი იყო, მათ შორის Medicare პროგრამებში - 82.7 მილიარდი დოლარი (ყოველ მონაწილეზე - $1,952), ხოლო Medicaid-ში - 40.6 მილიარდი (მონაწილეზე - $568)[8]. OECD ქვეყნებში გენერიკულ წამლებზე რეცეპტების 48% მოდის. დიდ ბრიტანეთში 2005 წლიდან 2017 წლამდე გენერიკების გამოყენების მხარდამჭერი პოლიტიკის წყალობით გამოწერილ რეცეპტებში მათი წილი 58%-დან 75%-მდე გაიზარდა. საქართველოც უნდა იყენებდეს იმ მიდგომას, რომელსაც იყენებს აშშ (გენერიკები - ბაზრის 84%), დიდი ბრიტანეთი (83%), გერმანია (80%), ნიდერლანდები (70%), კანადა (70%), ნორვეგია (45%),[9]. შვეიცარიაში კი, სადაც რეცეპტების, მხოლოდ, 17% მოდის გენერიკებზე, წამლებზე დანახარჯები საშუალოდ

8 2018 Generic Drug Access & Savings Report - https://accessiblemeds.org/2018-generic-drug-access-and-savings-report
9 OECD Health Statistics 2015, http://dx.doi.org/10.1787/health-data-en

2.5-ჯერ მეტია, ვიდრე გერმანიაში და 6-ჯერ მეტი, ვიდრე - ბრიტანეთში. მრავალი საერთაშორისო კვლევა აჩვენებს, რომ ექიმები, რომლებიც პაციენტებს უფრო ძვირ, ბრენდულ წამლებს უწერენ, ამას, ძირითადად, ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან სერიოზული საკომისიო თანხების ან სხვა სარგებლის მიღების სანაცვლოდ აკეთებენ, რაც პაციენტს, სადაზღვევო კომპანიას და/ან სახელმწიფოს ძალიან ძვირი უჯდება. მსგავსი პრაქტიკა მკაცრად რეგულირდება როგორც ევროპული (განსაკუთრებით, სკანდინავიური), ასევე ამერიკული კანონმდებლობით (ე.წ. Sunshine rules), რომელიც ასეთი დონაციების დეკლარირებას მოითხოვს და ხშირად კრძალავს.

საერთაშორისო ფონდ კურაციოს 2016 წლის კვლევის[10] თანახმად, გენერიკული წამლების მოხმარება საქართველოში დაბალია რამდენიმე მიზეზის გამო: აფთიაქებში ნაკლებია ხელმისაწვდომობა, რადგან სააფთიაქო ქსელი უფრო მაღალ მოგებას იღებს ბრენდული წამლების რეალიზაციიდან; პაციენტებშის მხრიდანაც გენერიკების მოთხოვნა დაბალია (კონკურენტული ბრენდული წამლების მწარმოებელი კომპანიების მხრიდან აგრესიული მარკეტინგის გამო); როგორც სპეციალისტი ექიმების, ასევე პჯდ ექიმების მხრიდან, სამწუხაროდ, არ ხდება რაციონალური ფარმაკოთერაპიის და გენერიკული წამლების აქტიურად დანიშვნა (ამის სტიმული მათ არ აქვთ). საქართველოს წამლების ბაზარზე ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2014 წლიდან სავალდებულო რეცეპტის აღდგენა, თუმცა, როგორც ზემოთდასახელებულმა კვლევამ დაადგინა, ფარმინდუსტრიის სატარიფო ცვლილებების გამო რეცეპტით გამოსაწერი როგორც ბრენდული, ასევე გენერიკული წამლები უფრო გაძვირდა ანალოგებთან შედარებით, თანაც ადგილობრივი წარმოების გენერიკული წამლები უფრო ძვირია, ვიდრე იმპორტირებული გენერიკული. რაც, ნაწილობრივ მაინც, იმ ფაქტს უნდა უკავშირდებოდეს, რომ აფთიაქების დიდი ქსელების მფლობელი კომპანიები, ძალიან ხშირად, ამავე დროს, ადგილობრივი მსხვილი მწარმოებლებიც არიან. ამას ემატება ისიც, რომ სოფლის მცხოვრებნი რეცეპტის გამოსაწერად ვალდებულნი არიან არა სოფლის ექიმს, არამედ რაიონის პოლიკლინიკას მიმართონ, რაც გეოგრაფიული და ფინანსური დაბრკოლებაა. ეს ყველაფერი ჯამში, გენერიკული წამლებით მომარაგებაზე საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებიდან მხოლოდ 0.5%–ის დახარჯვას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო წამლების ყველაზე მსხვილი იმპორტიორია (63% - 2015 წ.), ხარჯ-ეფექტური ფარმაკოთერაპიის და გენერიკების მოხმარების წახალისების სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობის ფონზე წამლებზე ფასების რეგულირება ძალიან რთულად მისაღწევია. წამლებზე მაღალი ხარჯებია იმის მთავარი მიზეზი, მაშინ, როცა სახელმწიფომ 2012 წლიდან სამჯერ გაზარდა ჯანდაცვის ხარჯები, მოსახლეობის მიერ გაწეული კერძო ხარჯების ოდენობა თითქმის უცვლელი დარჩა.

ჯანმო-ს რეკომენდაციების შესრულება და ფარმაცევტული სფეროს რაციონალური პოლიტიკის მეშვეობით ძირითად (გენერიკულ), ხარისხიან ფარმაცევტულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მით უფრო, რომ 2015 წლიდან ელექტრონული რეცეპტის რეალიზებული პროექტი გენერიკული თუ ბრენდული წამლების გამოწერის, ისევე როგორც მრავალი წამლის ერთდროულად დანიშვნის (პოლიპრაგმაზიის) კონტროლის კარგ საშუალებას იძლევა, ხელს შეუწყობს

10 http://curatiofoundation.org/ge/pharma-market/

სააფთიაქო ქსელში როგორც გენერიკებზე, ასევე - ბრენდულ წამლებზე ფასნამატის შემცირებას და დაზოგავს, როგორც მოსახლეობის, ასევე სახელმწიფოს მხრიდან წამლებზე დანახარჯებს. მსოფლიო გამოცდილება უჩვენებს, რომ სერიოზული დანაზოგის პირობებში გენერიკული წამლების გამოყენება (მათი ხარისხიანი ვარიანტების გამოყენებისას, რაც წამლის ხარისხის ლაბორატორიული კონტროლის ამოცანაა) მკურნალობის ხარისხზე არ აისახება.

ფარმაცევტული მოხმარების რეგულირება სახელმწიფოს საშუალებას მისცემს დაზოგილი რეზერვები გამოიყენოს, როგორც მოწყვლადი მოსახლეობის ამ თუ სხვა პროგრამებში ანაზღაურების გასაზრდელად, ასევე ადგილობრივი ფარმაცევტული წარმოების წასახალისებლად და/ან სამედიცინო პროდუქციის იმ სახეობებზე ადგილობრივი და საექსპორტო პოტენციალის გასაზრდელად, რომელიც პანდემიის შემდეგ მზარდი მოთხოვნით სარგებლობს და წარმოებისა და მიწოდების ჯაჭვების გადაწყობის პროცესში, გარდა მედეგობის გაზრდისა, ქვეყანაში დამატებითი საექსპორტო შემოსავლის პოტენციალს ზრდის: ბიოტექნოლოგიები, განსაკუთრებით, სხვადასხვა ინფექციური დაავადებების გამომწვევთა ლაბორატორიული ტესტები, პერსონალური დამცავი აღჭურვილობა, პერსპექტივაში კი, - ანტივირუსული მედიკამენტები, ბაქტერიოფაგები და ვაქცინები.

პანდემიის დასაწყისში სწრაფი და საუკეთესო შედეგების მიღება შეძლეს იმ ქვეყნებმა (სამხრეთ კორეა, ჩინეთი, გერმანია, ისლანდია), რომელთაც კორონავირუსის PCR ტესტების სწრაფად წარმოება, ხოლო ზოგიერთმა, მალევე - ექსპორტიც შეძლეს. იმისათვის, რომ მუდამ არ ვიყოთ დამოკიდებული ტესტ-სისტემების უცხოეთში შემუშავებასა და იმპორტზე და, მომავალში, რეგიონის მასშტაბით მაინც, საექსპორტო ნიშა განვავითაროთ, მიზანშეწონილია ბიოტექნოლოგიური წარმოების ელემენტარული სეგმენტების განვითარება, რისთვისაც კარგი პოტენციალი დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს და ლუგარის ლაბორატორიას გააჩნიათ. ვაქცინების წარმოება რთული ამოცანაა და მხოლოდ პოსტპანდემიური განვითარების სტრატეგიულ მრავალწლიან გეგმაში შეიძლება იქნას გაწერილი, მაგრამ PCR ტესტ-სისტემების წარმოება არ იქნება გადაუჭრელი პრობლემა სათანადო დაგეგმვის და სახელმწიფოს ან პარტნიორი ორგანიზაციების (მაგალითად, ლუგარის ცენტრის პროექტის კოორდინატორის - აშშ თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს - DTRA) მხრიდან სათანადო დაფინანსების მოპოვებისა და ტექნოლოგიური თანამშრომლობის ხელშეწყობის პირობებში. საქართველოში ბიზნესის კეთების სიმარტივის, დაბალი გადასახადების, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის და თავისუფალი ვაჭრობის მრავალმხრივი ხელშეკრულებების წყალობით, შეიძლება უცხოელი ტექნოლოგიური პარტნიორის მოძებნა და სათანადო ბიზნეს-გეგმის შემუშავება.

პანდემიის დასაწყისში, საქართველოში, ისევე როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში, ნიღბების მკვეთრი დეფიციტი შეიქმნა, მაგრამ, უკვე აპრილში, მომხმარებლისთვის მარლის მრავალშრიანი ქართული ნიღბების მიწოდება მოხერხდა, ხოლო, საბოლოო ჯამში, 5 მილიონზე მეტი ნიღაბი დამზადდა. ქართული კომპანია Dr. Goods ევროკავშირის ინიციატივის „ევროკავშირი ბიზნესისთვის“ და გერმანიის საერთაშორისო განვითარების ფონდის (GIZ) დახმარებით, კვირაში 40,000 სამედიცინო ხალათს აწარმოებდა და სამედიცინო პირბადეების წარმოებაც დაიწყო. მეორე ადგილობრივმა კომპანია „რესპირატორმა“, დღე-ღამეში 250 000-მდე

საერთაშორისო სტანდარტების, უმაღლესი ხარისხის, სამშრიანი სამედიცინო ნიღბის წარმოება, ხოლო, მალევე, ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტიც განახორციელა.

მნიშვნელოვანია, რომ თუ, საწყის ეტაპზე, იმპორტის ჩანაცვლების ამოცანის გადაჭრას ვცდილობთ, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში გეგმები უნდა იყოს ორიენტირებული საექსპორტო პოტენციალის რეალიზებაზე და გასაღების ჯაჭვებში სათანადო ადგილის მოძებნაზე. ამ მიზნით პერსპექტიული იქნება „აწარმოე საქართველოში“ დახმარების, საჯარო-კერძო თანამშრომლობის, ან უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გამოყენება.

ელექტრონული ჯანდაცვა, ტელემედიცინა - შესაძლებლობები და გამოწვევები

ელექტრონული ჯანდაცვა წარმოადგენს საინფორმაციო და კავშირგაბმულობის ტექნოლოგიების ხარჯ-ეფექტურ და უსაფრთხო გამოყენებას ჯანმრთელობის, და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სფეროების დასახმარებლად და მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: ელექტრონულ სამედიცინო ისტორიებსა და პაციენტთა ელექტრონულ რეგისტრებს, ტელემედიცინას - დიაგნოსტირებას და მკურნალობას მანძილზე, ჯანდაცვის პროფესიონალთა დისტანციურ სწავლებას, ჯანმრთელობის ვებ-პორტალებს, ელექტრონული რეცეპტურის სისტემას, მობილურ ჯანმრთელობას (მობილური ტელეფონებით განხორციელებულ სამედიცინო და პრევენციულ სერვისებს), დიდ მონაცემთა სისტემებს ჯანმრთელობაში. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის კავშირი (ITU) პასუხისმგებელნი არიან სერვისების და სტანდარტების განვითარებაზე. ხოლო ევროკომისია განსაზღვრავს ევროკავშირის პოლიტიკას და სტრატეგიას, ისევე როგორც, სამეცნიერო ჩარჩო პროგრამებით ახორციელებს სამეცნიერო და ინოვაციური კვლევების მრავალმილიარდიან დაფინანსებას „ელექტრონული ჯანდაცვა: ციფრული ჯანმრთელობა და მოვლა“ სხვადასხვა მიმართულებებით[11] - პერსონალური ჯანმრთელობის სისტემები, ელ-ჯანდაცვის ინტეროპერაბილობა, მობილური ჯანმრთელობა, ჯანმრთელობის და მოვლის ტრანსფორმაცია ერთიანი ციფრული ბაზრის პირობებში[12], საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ტელემედიცინისათვის დიდი მონაცემების გამოყენების სარგებელი[13], ჯანმრთელი სიბერე, აქტიური და ხელშეწყობილი ცხოვრება და სხვ.

ევროკავშირის პოლიტიკა ელექტრონული ჯანდაცვის მიმართ ეყრდნობა რამდენიმე მთავარ მომენტს - მთავრობები უზრუნველყოფენ რეგულირების და სივრცის შექმნას, რომელშიც ხდება ჯანმრთელობის დიდი მონაცემების მართვა, პაციენტს აქვს სრული წვდომა საკუთარ მონაცემებზე დაცული და უსაფრთხო აპლიკაციების მეშვეობით, ხოლო არსებულ სამედიცინო მონაცემებზე ახალი პროვაიდერების მიერ მონაცემების დამატება უზრუნველყოფს პერსონალიზებული, ინტეგრირებული და პაციენტზე-ფოკუსირებული ჯანდაცვის ეფექტურ განხორციელებას.[14]

---

11 https://ec.europa.eu/health/ehealth/home_en
12 https://ec.europa.eu/health/sites/health/files/ehealth/docs/com2018_233_en.pdf
13 https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/d504f34c-c104-11e6-a6db-01aa75ed71a1/language-en
14 Redesegning Health in Europe for 2020 – eHealth Task Force Report. file:///C:/Users/hp/Downloads/eHealthTaskForceReport.pdf

ელექტრონული ჯანდაცვა ზრდის პაციენტის ჩართულობას, ჯანმრთელობის ცოდნას, საკუთარი სამედიცინო მონაცემებისადმი დროით და მანძილით შეუზღუდავ ხელმისაწვდომობას, აუმჯობესებს მის ინფორმირებულ არჩევანს და ქრონიკული დაავადებების ხარისხიან და ხარჯ-ეფექტურ მართვას.

კორონავირუსის პანდემიამ ცხადი გახადა ციფრული ტრანსფორმაციის და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების აუცილებლობა - რაც ადრეც შესაძლო იყო, დღეს აუცილებლობად იქცა. ინფიცირების რისკების, დისტანცირების და შეზღუდვების პირობებში, ჯანდაცვის სერვისების განსახორციელებლად ელექტრონული და მობილური ჯანდაცვა ტრადიციული სერვისების წყვეტის ალტერნატიული მოდელის სახით გამოდის.

საქართველოსთვის ელექტრონული ჯანდაცვის და ტელემედიცინის განვითარების მნიშვნელობა პანდემიამდეც განისაზღვრებოდა შემდეგი ფაქტორებით: სამედიცინო მომსახურების და მაღალკვალიფიციური პერსონალის უთანაბრო განაწილება, რის გამოც დაშორებულ, მცირედ დასახლებულ და მთიან რეგიონებში ხშირად დგას კვალიფიციური მეორე მოსაზრების დროულად მიწოდების პრობლემა; მაღალმთიან რაიონებში, უხვთოვლიანი ზამთრის პერიოდში, პაციენტის სასწრაფოდ ტელეკონსულტირების საჭიროება; პირველადი ჯანდაცვის რგოლებსა და მესამე დონის ჰოსპიტლებს შორის რეფერალური სამსახურის გაუმჯობესება ინტეგრირებული ჯანდაცვის უნზრუნველსაყოფად, უწყვეტი პროფესიული განათლების საჭიროებებისთვის ფართოზოლოვანი ინტერნეტის დახმარებით საგანმანათლებლო ქსელის და პროგრამების ეფექტიანი ოპერირება, პერსონალური ჯანმრთელობის მონაცემებზე ხელმისაწვდომის უზრუნველყოფა, ასაკოვანი ქრონიკული პაციენტების დისტანციური დიაგნოსტიკა და გართულებების ტელემონიტორინგი; მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ჯამრთელობის განათლების, ცხოვრების ჯანსაღის წესის და დაავადებათა პრევენციის სანდო და განახლებად მონაცემთა ბაზებზე ხელმისაწვდომობა.

საქართველოს გამოცდილება ელექტრონული ჯანდაცვის მიმართულებით მოიცავს 2014 წლიდან საყოველთაო ჯანდაცვის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამებში ერთიანი ანგარიშგების ელექტრონულ სისტემას, 2015 წლიდან – კიბოს ეროვნულ რეგისტრს, ხოლო 2016 წლიდან - ანტენატალური და სამეანო სერვისების „დაბადების რეგისტრს“, (რომელშიც 5 წლამდე ბავშვების ჯანმრთელობის მონიტორინგიც ჩაერთო 2018 წელს); იმუნიზაციის რეგისტრს და აცრების მობილურ აპლიკაციას; 2017 წლიდან - ელექტრონული რეცეპტურის და 2019 წლიდან - ჯანმრთელობის ელექტრონული ისტორიის, ჯანდაცვის ელექტრონულ პორტალზე სამედიცინო სტატისტიკის ანგარიშგების განვითარებას, რასაც თან სდევდა სამედიცინო ქსელების, ჰოსპიტალური და ამბულატორიული დაწესებულებების მიერ ელექტრონული სამედიცინო ისტორიების საკუთარი სისტემების განვითარებაც. სადაზღვევო კომპანიებმა კი მართვის ელექტრონული სისტემების განვითარება გაცილებით ადრე, 2007-10 წლებიდან დაიწყეს. საქართველოში შემუშავებულია ელექტრონული რეგისტრის რამდენიმე სხვა ფორმაც - ეპილეფსიის, ნევროლოგიური დაავადებების, დერმატოლოგიური სკრინინგის. ტელემედიცინის გამოცდილება, ძირითადად, პილოტური პროექტებით შემოიფარგლებოდა - არითმიების მობილური ტელემონიტორინგი, არტერიული ჰიპერტენზიის ელექტრონული ტელემონიტორინგი, კანის კიბოს ტელედერმოსკოპიული მობილური სკრინინგი. 2019 წელს ჯანდაცვის

სამინისტროს წარედგინა ტელემედიცინის კლინიკის მოდელი და პროექტი პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციებში დასანერგად.

ევროკომისიის მთავარი დირექტორატის DG Near–ის (სამეზობლოსა და გაფართოების მიმართულება), 2017 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა მოკლევადიანი მაღალი ხარისხის შესწავლის პროექტი (HiQSTEP PROJECT) - აღმოსავლეთ პარტნიორობის ციფრული ბაზრების ჰარმონიზაცია, რომლის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენდა ელექტრონული ჯანდაცვის შესწავლა და ანგარიში[15]. ამ ანგარიშის შემდეგ, საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ელ-ჯანდაცვის მიმართულების კურატორ ქვეყნად შეირჩა და თბილისში და ბათუმში ჩატარდა პროექტის განვითარების სამი შეხვედრა, ამოქმედდა ელექტრონული ჯანმრთელობის ისტორიის პროგრამა. ამჟამად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში EU4Digital განზრახული აქვს დაეხმაროს საქართველოს როუმინგული ტარიფების ეტაპობრივ შემცირებასა და ევროკავშირის ტარიფებთან ჰარმონიზაციაში, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის გეგმის შემუშავებასა და დანერგვაში, ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებით განვითარების კუთხით ციფრული ჩარჩო პროგრამების ჰარმონიზაციაში, ასევე, ჯანმრთელობის, კიბერუსაფრთხოების და ციფრული უნარების ელექტრონულ ლოჯისტიკაში. კოვიდ-19–ი პანდემიის ფონზე, ევროკავშირმა უკვე აჩვენა თავისი სოლიდარობა და აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნებს 140 მილიონი ევროს სახით გამოუყო დახმარება. სასურველია ელექტრონული ჯანდაცვის და ტელემედიცინის კუთხით ევროკავშირთან თანამშრომლობის გაძლიერება, მით უფრო, რომ 2021 წლიდან იწყება ევროკომისიის ახალი 7-წლიანი ვრცელი ჩარჩო სამეცნიერო პროგრამა - Horizon Europe.

კორონავირუსის ეპიდემიამ თან მოიტანა ტელემედიცინის და დისტანციური სწავლების, ასევე, რიგ შემთხვევებში სამედიცინო პერსონალის დისტანციური მუშაობის მკვეთრი აუცილებლობა. McKinsey ანგარიშის თანახმად, პანდემიის გამო მომხმარებელთა დაინტერესება ტელეჯანმრთელობით 11%-დან 76%-მდე გაიზარდა, ხოლო პროვაიდერების მიერ ტელემედიცინის სხვადასხვა სერვისების მიწოდება – 75-150-ჯერ. ამ ფონზე აშშ ადმინისტრაციამ ტელეჯანმრთელობის დასაფინანსებლად გამოჰყო 200 მილიონი დოლარი და პანდემიის პერიოდში შეარბილა სატელემედიცინო მომსახურების გამოყენების მარეგულირებელი მოთხოვნები, რასაც შედეგად მოჰყვა სამედიცინო და მენტალური დახმარების სერვისების გაიაფება/ხელმისაწვდომობა და პაციენტთა კმაყოფილების ზრდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ტელემედიცინის სერვისების გაფართოება მოხუცებულთათვის, მათი კოვიდ-19 მიმართ მაღალი მოწყვლადობის გამო. ამის პარალელურად გამომჟღავნდა სერიოზული პრობლემებიც - ფართოზოლოვანი ინტერნეტზე, ხარისხიანი სერვისებსა და ინფრასტრუქტურაზე ტექნოლოგიური და ფინანსური ხელმისაწვდომობის, სათანადოდ მომზადებული სამედიცინო პერსონალის დეფიციტის და კიბერუსაფერთხოების კუთხით.[16]

პანდემიურ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა დისტანცირების დაცვას, ჰოსპიტლების, გადაუდებელი დახმარების განყოფილებების და ტესტირების

15 https://eufordigital.eu/library/harmonisation-of-the-digital-markets-in-the-eastern-partnership-ehealth-study-report/
16 https://www.brookings.edu/blog/techtank/2020/09/04/how-to-make-telehealth-more-permanent-after-covid-19/

ადგილების მაქსიმალურ განტვირთვას მომხმარებელთა სიმჭიდროვისგან და მედპერსონალთან არააუცილებელი კონტაქტირების შემცირებას. მოთხოვნადი გახდა ელექტრონული სერვისები პაციენტების ვიზიტების დაგეგმვის, დისტანციური ელექტრონული ტრიაჟის, ტესტირების კოორდინაციის, დისტანციური გამოკითხვის და ავტომატიზირებული ისტორიების შევსების, მობილური აპლიკაციებით სუნთქვის პრობლემების დისტანციური შეფასების, ბინაზე ტელემონიტორინგის და გადაუდებელი დახმარების განმყოფილებაში რიგების შემცირების, სპეციალისტთან დისტანციური რეფერალის, დანიშნულების მოდიფიცირების და ბინაზე წამლების და მოვლის საშუალებების მიტანის ელექტრონული და მობილური სერვისების კუთხით. პერსონალის მკვეთრი დეფიციტის დროს ხდებოდა პენსიაზე მყოფი, ან - ინფიცირებული, მაგრამ უსიმპტომო და თვითიზოლირებაში მყოფი - მედპერსონალის დისტანციურად დასაქმება კონსულტანტებად. ასევე - მომხმარებლის მხარეს ხელოვნურ ინტელექტზე დამყარებული იოლად შევსებადი აპლიკაციების გამოყენება. რამდენადაც გაიზარდა ჯანდაცვის სისტემის პოტენციურად საშიში გადატვირთვა, იმდენად მნიშვნელოვანი ან აუცილებელია ნებისმიერი ავტომატიზაცია და დისტანციური სერვისი, რომელიც სისტემის დროულ განტვირთვას მოახდენს.

პანდემიის დროს ხანგრძლივი იზოლირების, ახლობლებისაგან დისტანცირების, ცხოვრების ჩვეული რეჟიმის სწრაფად შეცვლის, გაურკვევლობის და შეზღუდული მობილობის გამო, განსაკუთრებით იმატა მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებმა - შფოთვების, მელანქოლიის, დეპრესიის, ინტერნეტდამოკიდებულების, ონლაინ-გეიმინგის, ონლაინ-გემბლინგის, ალკოჰოლიზმის, ოჯახური ძალადობის შემთხვევებმა. ამის პარალელურად გაიზარდა ტელეფსიქოლოგიის და ტელეფსიქიატრიის სერვისების მოთხოვნილება (მათ შორის, 24/7 რეჟიმის დახმარების ონლაინ სერვისები, ანონომური ჩეთბოქსები). აღნიშნული სერვისების დროული განვითარება და ხელმისაწვდომობა აუცილებელია საქართველოშიც, რადგან დასახელებული პრობლემები საკმაოდ მდგრადია და პოსტპანდემიურ პერიოდშიც შენარჩუნდება.

პანდემიის პერიოდში ევროკავშირმა მიიღო ელექტრონული ჯანდაცვის ხელშემწყობი რიგი დოკუმენტები. მაგალითად: კონტაქტების დადგენის და გაფრთხილების მობილური აპლიკაციების ინტერპერაბილობის გაიდლაინები, რომელიც გათვალისწინებულია მესამე ქვეყნების მიერ გამოყენებისთვისაც[17]. ასევე, ამ ტიპის და მსგავსი (სიმპტომების დისტანციური შემოწმების, ტელემედიცინის და სხვ.) აპლიკაციების გამოყენების დროს პირადი და კონფიდენციალური ინფორმაციის განუხრელად დაცვის სახელმძღვანელო[18], რომელშიც ხაზგასმულია რიგი მთავარი პრინციპები - მომხმარებელი აკონტროლებს საკუთარ მონაცემებს და აპლიკაციის ყოველ სერვისზე უნდა შეეძლოს დადასტურების განცალკევებულად მიცემა, პერსონალური მონაცემები უნდა იყოს მინიმალიზირებული (მხოლოდ აუცილებლობით გამართლებული), შენახული დაცულად და კოდირებულად და, არაუმეტეს იმ ხანგრძლივობისა, რაც გამართლებულია.

კორონავირუსის პირველი შემთხვევიდან უკვე ერთ კვირაში საქართველოს მთავრობამ შექმნა კოვიდ-19-თან ბრძოლის ღონისძიებების ვებ-პორტალი - www.

17 https://ec.europa.eu/health/sites/health/files/ehealth/docs/contacttracing_mobileapps_guidelines_en.pdf
18 https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_20_669

StopCov.ge, რომელიც 6 ენაზე ფუნქციონირებს და საქართველოს მოქალაქეებისა და უცხოელებისთვის იქცა პანდემიის საკითხებზე მრავალი რეკომენდაციის, გაიდლაინის, ელექტრონული სააპლიკაციო ფორმების თუ ფეიკ-ნიუსებთან და მითებთან ბრძოლის რესურსების რეპოზიტორიუმად. ძალიან მნიშვნელოვანი იყო დასახელებული პორტალის და ცხელი ხაზის (144) დახმარებით პირველადი ჯანდაცვის რგოლის მიერ მოსახლეობის მხრიდან ეპიდემიის და საკუთარი მდგომარეობის შესახებ შეკითხვების მკვეთრად გაზრდილი მოცულობის წარმატებული მართვა, ტესტირების და ცხელების შემთხვევების ეფექტიანი ტრიაჟი. პანდემიამ, ფიზიკურმა დისტანცირებამ, სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციონირების მნიშვნელოვნად შეზღუდვამ და „დარჩი სახლში!“ დევიზის განხორციელებამ საკარანტინო და საგანგებო მდგომარეობის პირობებში, საქართველოშიც აუცილებელი გახადა ტელესაკონსულტაციო და ტელედახმარების განვითარება. სამედიცინო ქსელებმა და ჰოსპიტლებმა, მრავალმა კერძო სადაზღვევო კომპანიამ, კლინიკებმა და საოჯახო მედიცინის ცენტრებმა, მოკლე დროში, წარმატებით განახორციელეს პაციენტთა ნაკადების და კომუნიკაციის მართვის, ანაზღაურების დოკუმენტაციის მოგროვების, დისტანციური კონსულტირების ელექტრონული პლატფორმების და საკუთარი სისტემების სწრაფი განვითარება/დახვეწა, რაც ოჯახის და პირადი ექიმების, ასევე რიგი სპეციალისტი კონსულტანტების მიერ სამუშაოს 60-90%-ის დისტანციურად ჩატარების წინაპირობა გახდა. მკაცრი შეზღუდვების პერიოდში ამან ხელი შეუწყო მოსახლეობის საკმაო ნაწილისათვის საკონსულტაციო, დიაგნოსტიკური და სამკურნალო სერვისების დისტანციურად მიწოდებას.

ევროკომისიის ციფრული განვითარების პორტალზე, EU4Digital.eu–ზე აღინიშნა საქართველოს მიერ ინოვაციური აპლიკაციის, “STOP COVID” (ავსტრიული პროგრამული უზრუნველყოფა - Novid-20)-ის უკვე აპრილიდან გამოყენება, რომლის მიზანი COVID-19-ის კონტაქტების ადრეული გამოვლენა და პრევენციაა. ერთმანეთთან 2 მეტრი დისტანციით კონტაქტისას შემდგომში რომელიმე პირის დაინფიცირების აღმოჩენისა და ინფიცირებულის მხრიდან შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში აპლიკაცია მასთან წინა დღეებში კონტაქტირებულ პირებს ატყობინებდა და უგზავნიდა სათანადო რეკომენდაციებს. უკვე 2 თვეში 200,000-ჯერ მოხდა ამ აპლიკაციის გადმოწერა, თუმცა, სავარაუდოდ, ინფექციის დაფიქსირების შემდეგ პირის მხრიდან ნებაყოფლობითი შეტყობინების გაგზავნა ხშირად არ ხდებოდა და მხოლოდ 10 ინფიცირებული დადგინდა. ასევე, ხაზი გაესვა მოსახლეობის რისკისქვეშ მყოფი ჯგუფებისათვის (მარტოხელა ხანდაზმულები და ქრონიკული დაავადებებით ავადმყოფები) ელექტრონული რეცეპტურის და საქართველოს ფოსტის სერვისების გამოყენებით ბინაზე წამლის დარიგების მნიშვნელოვან სოციალურ პროექტს.

უმნიშვნელოვანესი ინიციატივაა მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს მთავრობასთან ერთობლივად მაღალსიჩქარიანი (ფართოზოლოვანი) ინტერნეტიზაციის და ციფრული ეკონომიკის განვითარების $40 მლნ. პროექტის, Log-in Georgia[19]–ის დაანონსება, რომელიც ქვეყნის 1000-მდე სოფელს და 500,000 მოქალაქეს, მათ შორის, მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობას შესაძლებლობას მისცემს ფართოზოლოვან, მაღალი ხარისხის და მათთვის ხელმისაწვდომ ინტერნეტს დაუკავშირდეს და ისარგებლოს ისეთი ციფრული სერვისებით, როგორებიცაა:

19 http://documents1.worldbank.org/curated/en/316241571855041161/pdf/Concept-Project-Information-Document-PID-Log-In-Georgia-P169698.pdf

ელექტრონული ჯანდაცვა, დისტანციური სწავლება, ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული კომერცია. ადამიანური რესურსების სწრაფი განვითარების კუთხით დროული და მნიშვნელოვანია გაეროს განვითარების ფონდის და შვედეთის განვითარების სააგენტოს მიერ ონლაინ სწავლების პლატფორმის შექმნა 4000-მდე ქართველის ექიმის, ექთნისა და ადმინისტრაციული სამედიცინო პერსონალის გადამზადებისა და სერტიფიცირების მიზნით ინფექციური დაავადებების პრევენციისა და კონტროლის საკითხებში. საქართველოში 2016 წლიდან აშშ თავდაცვის საფრთხეთა შემცირების სააგენტოს დაფინანსებით დაიწყო BMJ Learning ელექტრონული განათლების პროექტი, რომელიც ქართველ მედიკოსებს British Medical Journal ინგლისურ და ქართულად თარგმნილ რესურსებზე უფასო წვდომის და საკუთარი განათლების დაგეგმვის და მართვის საშუალებას აძლევს. მნიშვნელოვანია ამ რესურსის საფუძველზე უწყვეტი განათლების ქმედითი სისტემის (კომპონენტების და სტიმულების) ჩამოყალიბება და განვითარება.

გამოწვევები:

ა) მაღალი სიჩქარის ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ხარვეზები საქართველოს მთიანი რაიონებისა და სოფლების დიდ ნაწილში;

ბ) საქართველოს კანონმდებლობა თითქმის არ არეგულირებს ტელემედიცინის სერვისებს და, ძირითადად განიხილავს ტელემედიცინას როგორც ტელეკონსულტაციას ორ სამედიცინო პირს შორის, დამატებითი მეორე (ექსპერტული) მოსაზრების მისაღებად. პანდემიის პერიოდში მკვეთრად გახშირდა ექიმსა და უშუალოდ პაციენტს შორის ტელესამედიცინო დახმარების მიწოდება და საჭირო გახდა რიგ შემთხვევებში გარკვეული რეგულირების განსაზღვრა.

გ) მნიშვნელოვანია ტელემედიცინის სერვისების (მაგ. პაციენტის გასინჯვის მინიმალური სტანდარტის) გაწერა, ხარისხის მართვის ინდიკატორების შემუშავება და შესაბამისი ასახვა საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა პროგრამებსა და ანგარიშებში. ასევე, ცალკეული სცენარების, ტერმინოლოგიის და შესაბამისი ფინანსური მხარის სათანადო ორგანიზება და რეგულირება;

დ) გადასაწყვეტია ტელემედიცინის რიგი სერვისების, მათ შორის - პრევენციული და ბინაზე ტელემონიტორინგის უცხოეთში ადაპტირებული ხარჯ-ეფექტური სერვისების და პროდუქტების იმპლემენტაცია სადაზღვევო პაკეტებში ინტეგრირების კუთხით;

ე) აუცილებელია ციფრული ნაპრალის პრობლემის გათვალისწინება - იმ პირთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა, რომელთაც ტელემედიცინის სერვისებით, ამჯერად მაინც, ვერ მოვიცავთ, ინფრასტრუქტურული ან ტექნოლოგიური შეზღუდვების გამო;

ვ) ელექტრონული ისტორიების და ელექტრონული დაზღვევის მკვეთრი გაფართოების ფონზე მილიონობით პერსონალური მონაცემი - გამოკვლევების შედეგები, ანალიზები, კონსულტაციები განთავსებულია ჯანდაცვის სამინისტროს პორტალზე და სხვადასხვა პროვაიდერების სერვერებზე - ვირტუალურ სივრცეში, რომელიც პოტენციურ სამიზნეს წარმოადგენს ფინანსური, რეპუტაციული თუ

პოლიტიკური ზიანის მიყენების მიზნით ჰაკერული და კიბერ-შეტევებისათვის. *კიბერსაფრთხეების ჰეაღობის დადასტურება იყო 2020 წლის 3 სექტემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაზე უცხო ქვეყნიდან განხორციელებული კიბერშეტევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და მის სტრუქტურულ ერთეულებში, მათ შორის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ჩიჩარდ ღუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზებში დაცული სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაციისა და პანდემიის მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და გამოყენება.*

ელექტრონული ჯანდაცვა, მობილური ჯანდაცვა და ტელემედიცინა წარმოადგენს საქართველოსთვის ჯანდაცვის სერვისების ოპტიმიზაციის და რეგიონებში ბალანსირებული მიწოდების, მედიკოსთა უწყვეტი პროფესიული განათლებისა და ხარისხის თანამედროვე მართვის სფეროში არსებული გამოწვევების სწრაფი დაძლევის, ინტეგრირებული ჯანდაცვის ამოცანების უკეთ გადაჭრის, ქრონიკული დაავადებებით ავადმყოფთა ხარჯ-ეფექტური ტელემონიტორინგის და მართვის, ევროკავშირის ქვეყნებთან სამედიცინო სერვისების ინტეროპერაბილობის და ჰარმონიზაციის, ევროკავშირის ციფრული ერთიანი ბაზრის სამედიცინო სეგმენტის ათვისებით სწრაფი ინოვაციური განვითარებისა და ეკონომიკური სარგებლის მიღების სისტემურ გადაწყვეტილებას. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს აღნიშნული სერვისების განვითარებისთვის საჭირო მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა, მაკროინფრასტრუქტურის ხელშეწყობა და მონაცემთა ბაზების და პლატფორმების უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმების შემუშავება.

რეკომენდაციები:

1. **ქვეყნის მასშტაბით ტესტირების გაფართოებული და მობილური ქსელის ფუნქციონირების, კონტაქტების დადგენის და გაფრთხილების მობილური აპლიკაციების გამოყენების, და ობიექტურ თვლად ინდიკატორებზე დამყარებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის დინამიური შეფასების სისტემის სრულყოფა** - პანდემიის პერიოდში შეზღუდვების პერიოდული გაძლიერებისა და შესუსტების ეფექტიანი მართვის ხელშეწყობის მიზნით;
2. **პანდემიის პერიოდში საზოგადოებასთან მუდმივი, ეფექტური კომუნიკაციის შენარჩუნება და გაფართოება ყველა ფორმის მედიასაშუალებების და სოციალური ქსელების გამოყენებით** - როგორც ბაზისური პრევენციული მეთოდების (პირბადე, დისტანცირება, დახურულ სივრცეში შეხვედრების მასშტაბის ლიმიტი, პირადი ჰიგიენის დაცვა), ასევე, სხვა გადაწყვეტილებებისა და განახლებადი რეკომენდაციების მაქსიმალურად სწრაფად და მასობრივად მისაწოდებლად, გამართული უკუკავშირის დინამიურად შესაფასებლად და სათანადო კორექტირების უზრუნველსაყოფად;
3. **პანდემიის პერიოდში საკანონმდებლო საკითხების რეგულირება.** საქართველოს კონსტიტუციასა და „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“

საქართველოს კანონში სასურველია ცვლილების შეტანა და ახალი ინსტიტუტის ჩამოყალიბება, პირობითი სახელწოდებით, ***საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის განსაკუთრებული ზომები.*** *განსაკუთრებული ზომები* გულისხმობს რეგულირების სპეციალური რეჟიმის შექმნას, რომელიც საგანგებო მდგომარეობის შესახებ არსებული რედაქციით გათვალისწინებულზე მსუბუქი ღონისძიებების შემოღებას მოიცავს (მაგალითად, დაშვებულია არჩევნების ჩატარება). განსაკუთრებული ზომების შესახებ მუხლში იქნება გათვალისწინებული კონსტიტუციით გარანტირებულ კონკრეტულ უფლებებში (საგანგებო მდგომარეობის დროს დაშვებული შეზღუდვების მცირე ნაწილი) ჩარევის შესაძლებლობა. ზომების გაფართოების საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელი იქნება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. განსაკუთრებული ზომების ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის პრეროგატივად განისაზღვრება, ხოლო, კონკრეტული რეგულირება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში გაიწერება. აღნიშნული ინიციატივა შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ ძირითადი უფლებების შეზღუდვის პროცედურულ სტანდარტებს.

4. **ბიოტექნოლოგიების (ტესტები, პერსონალური დამცავი აღჭურვილობა, ხოლო სამომავლოდ - ანტივირუსული მედიკამენტების, ანტისხეულების, ანტივირუსული ფაგების და ვაქცინების) განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის მომზადება.** როგორც ინფექციური, ასევე სხვა პოტენციური საფრთხეების დიაგნოსტირების მიზნით, ლაბორატორიული ტესტირების სპექტრის გაფართოებისა და მოცულობის ზრდის გათვალისწინება - როგორც საკუთარი მოთხოვნილების და რეზერვების დროულად დასაკმაყოფილებლად, ასევე, გრძელვადიან ჭრილში - ეკონომიკურად პერსპექტიული საექსპორტო წარმოების შესაქმნელად, ინოვაციური, ინტერსექტორული და საერთაშორისო თანამშრომლობის გამოყენებით;

5. **ჯანდაცვის უსაფრთხოების ტრენინგების, სიმულაციების და ქვეყნის მასშტაბით მზადყოფნის შემოწმების პერიოდული ვარჯიშების (National drill) სისტემის დაგეგმვა, დამტკიცება და განხორციელება,** როგორც ინფექციური, ასევე სხვა ტიპის კატასტროფული რისკების მიმართ - მიწისძვრა, წყალდიდობა, სამხედრო აგრესია, რადიაციული საფრთხეები (თავდაცვის უსაფრთხოების გეგმებთან მჭიდრო კოორდინაციით);

6. **ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გრძელვადიანი განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო გეგმის შემუშავება, როგორც სახელმწიფო სექტორში არსებული დაწესებულებების სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრის, ასევე - სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის მოკლე- და გრძელვადიანი თანამშრომლობის მიმართულებით** - საჯარო-კერძო თანამშრომლობის - PPP ურთიერთსასარგებლო კონტრაქტირების მოდელის აპრობირებით და ჯანდაცვის პროგრამებში კერძო არამომგებიანი დაწესებულებების საგადასახადო შეღავათების შესაძლო წახალისების კუთხით;

7. **პანდემიის გამოცდილების გათვალისწინებით, ინტეგრირებული ჯანდაცვის დაგეგმვაში ჰოსპიტალური, პირველადი ჯანდაცვის და სასწრაფო დახმარების**

კომპონენტების და დინამიური კოორდინაციის სტრატეგიის შემუშავება გადაუდებელი მდგომარეობების და სიტუაციების მოკლე- და გრძელვადიანი სცენარების სამართავად - ინფექციური და ინტენსიური განყოფილებებისა და საწოლების დინამიკაში ცვლადი საჭიროებების და მოდიფიცირების შესაძლებლობების, ტექნიკური აღჭურვილობით და დამატებითი ადამიანური რესურსებით სწრაფი უზრუნველყოფის, ფუნქციონალური ადაპტაციის, ასევე – შემთხვევების ინსტიტუციონალური და ბინაზე (ან - საკარანტინო სივრცეებში) დისტანციური მართვისა და კლინიკური პრაქტიკის განახლებადი გაიდლაინების დანერგვის კომპონენტებით;

8. **ჯანდაცვის ადამიანური რესურსების გრძელვადიანი განვითარების გეგმის მომზადება; სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის სრულყოფილი სისტემების და ინდიკატორების შემუშავება/დანერგვა, როგორც ამბულატორიული, ასევე ჰოსპიტალური სერვისების ფარგლებში; უწყვეტი განათლების ქმედითი პროგრამის სტრატეგიის, კომპონენტების და სტიმულების შემუშავება და ამოქმედება.** პანდემიის ფონზე გამოვლენილ დეფიციტურ სპეციალობათა და სხვა საჭიროებათა კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მოკლევადიანი გადამზადების (მათ შორის - ონლაინ სწავლების) პროგრამების განხორციელება, რეზიდენტურის გარკვეული მიმართულებების და საექთნო განათლების მიზნობრივი სუბსიდირების დახვეწა. რეგიონებში, მაღალმთიან და კონფლიქტისპირა რაიონებში სამედიცინო პერსონალის ანაზღაურების და ყოფითი სტიმულირების გაუმჯობესება. დაფინანსების მოცულობითი და რაოდენობრივი გაზრდა ახალგაზრდა ბიომედიკოსი სპეციალისტების და მეცნიერების გრძელვადიანი სტაჟირებისა და საქართველოში დაბრუნების წახალისების კუთხით (საერთაშორისო განათლების ცენტრის და უცხოური პროგრამების გამოყენებით): სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში 100%-იანი გრანტით, ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, გრანტის ტრანსფორმირებით კრედიტად, რომელიც რამდენიმე წელიწადში უნდა დაბრუნდეს;

9. **ჯანდაცვის განვითარების სტრატეგიასა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში პირველადი ჯანდაცვის (პჯდ) სისტემის კარიბჭის როლისა და პრევენციული კომპონენტის გაძლიერება და დაფინანსების დახვეწა.** პჯდ პრევენციული მიდგომის (მიმართვიანობა, იმუნიზაცია, ინფექციური და ქრონიკული არაინფექციური დაავადებების რისკების სკრინინგი და მართვა) და კარიბჭის ფუნქციის (დასაბუთებული რეფერალები სპეციალისტებთან და ჰოსპიტალურ სერვისებზე, რაციონალური ფარმაკოთერაპია) გაძლიერება. აღნიშნული კრიტერიუმების შესრულების მიხედვით, შედეგზე ორიენტირებული დაფინანსების გამოყენება და სახელფასო განაკვეთების ზრდის მექანიზმების შემუშავება უფრო ხარჯ-ეფექტური სერვისების განხორციელების მიზნით. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ცხოვრების ჯანმრთელი წესის და დაავადებათა პრევენციის პრიორიტეტულ მნიშვნელობაზე და სადაზღვევო სქემებში ინოვაციური პრევენციული მიდგომების და ინდიკატორების წახალისება, რაც მოსახლეობაში გაზრდის მოტივაციას, თავადაც გახდეს საკუთარი ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე აქტიურად მზრუნველი;

10. **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში გენერიკული წამლების მაქსიმალური და ხარჯ-ეფექტური გამოყენების ჯანმო-ს მიერ მხარდაჭერილი სტრატეგიის განხორციელება -** თავდაპირველად, უცხოეთში წარმოებული გენერიკული

მედიკამენტების სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებით. პჯდ სექტორში შედეგზედამყარებული დაფინანსებისთვის ერთ-ერთ ინდიკატორად ექიმის მიერ გენერიკული და ბრენდული წამლების დანიშვნის თანაფარდობის მაჩვენებლის ჩართვა, რაც იოლად გაკონტროლდება ელექტრონული რეცეპტის მეშვეობით და გაზრდის ექიმების მოტივაციას. სახელმწიფოს მიერ წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიების შესყიდვა და ამოქმედება, მათი საქმიანობის მკაცრი კონტროლით. ისევე როგორც საერთაშორისო GMP ინსპექტორატის ფუნქციონირების დაწყება, რაც წინაპირობა იქნება საქართველოში წარმოებული წამლების ხარისხის უზრუნველსაყოფად და საექსპორტო პოტენციალის გასაზრდელადაც. ადგილობრივ ბაზარზე გენერიკებზე მოთხოვნის ზრდის კვალობაზე გაჩენილი ინტერესის წახალისება მათი იაფად წარმოების თვალსაზრისით - საგრანტო მექანიზმის ან დროებითი საგადასახადო შეღავათების მეშვეობით;

11. **ფართოზოლოვანი (მაღალსიჩქარიანი) ინტერნეტის ხელმისაწვდომობა ელექტრონული ჯანდაცვის დაჩქარებული განვითარების ხელშესაწყობად** - დაშორებულ, მაღალმთიან, სასაზღვრო რაიონებში მაღალი სიჩქარის (ფართოზოლოვანი) ინტერნეტის უზრუნველყოფის და მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი სატარიფო პოლიტიკის კოორდინაცია. ასევე აღნიშნული რაიონების პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში და ჰოსპიტლებში ტელემედიცინის განსახორციელებლად აუცილებელი ტექნოლოგიური აპარატურის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;

12. **ელექტრონულ ჯანდაცვაში მონაცემთა დაცულობის, კონფიდენციალობის და კიბერუსაფრთხოების მაღალი სტანდარტით უზრუნველყოფა** - ტელემედიცინის არსებულ მოქმედ ელექტრონულ პროგრამებში, ელექტრონულ ისტორიებში და სადაზღვევო სერვისების პლატფორმებსა და კომუნიკაციურ სისტემებში პაციენტის მონაცემთა კონფიდენციალობის და უსაფრთხოების დონის შეფასება და სათანადო ცვლილებების განხორციელება ინფორმაციული სისტემების დაცვის ერთიანი მექანიზმების ჩამოყალიბების საფუძველზე, კიბერუსაფრთხოების თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით და აღნიშნული საკითხის ეროვნული კიბერუსაფრთხოების სტრატეგიულ გეგმაში ასახვით;

13. **ელექტრონული ჯანდაცვის, მობილური ჯანდაცვის და ტელემედიცინის განვითარების სტრატეგიული გეგმისა და სათანადო მარეგულირებელი ცვლილებების მომზადება და განხორციელება** *(შენიშვნა: პანდემიის ეტაპზე, მიზანშეწონილია, ხეგუღაციების ნაკღებად შემზღუდველი ხეჟიმის შენახჩუნება, სეხვისების მაქსიმაღუხი ეფექტის შესანახჩუნების მიზნით, მთავახია, მონაცემთა და ქსეღების უსაფხთხოების უზხუნვეღყოფა.);*

14. **ელექტრონული ჯანდაცვის, მობილური ჯანდაცვის და ტელემედიცინის მიმართულებით ევროკავშირთან თანამშრომლობის გაძლიერება** - როგორც პანდემიის მართვისას ელ.ჯანდაცვის აპლიკაციების და სისტემების დახვეწის და ეფექტურობის შეფასების კუთხით, ასევე იმ მთავარი მიმართულებებით, რომელიც ევროკომისიის დოკუმენტებში უკვე ჩამოყალიბებულია და, შეიძლება, საქართველოსთვის დასახელებული სფეროს რეგულირებისა და სამარშრუტო გეგმის კომპონენტებად იქნას განხილული. კერძოდ, ელექტრონული

ჯანდაცვის სისტემების საერთაშორისო ინტეროპერაბილობის, ელექტრონული ისტორიების სტანდარტების ჰარმონიზაციის, მონაცემთა ხარისხის, სანდოობის და უსაფრთხოების სტანდარტების, საზოგადოებრივ ჯანდაცვაში დიდი მონაცემების გამოყენების, ეპიდემიოლოგიური კონტროლის და კონტაქტების დადგენის აპლიკაციების, მობილური ტელემედიცინის და ტელემონიტორინგის სტრატეგიის და ოპერაციონალიზაციის, პერსონალური ელექტრონული ისტორიების ეფექტური და უსაფრთხო გამოყენების, მენტალური ჯანმრთელობის დისტანციური დახმარების ქსელის და რესურსების, ხელოვნური ინტელექტისა და სხვა ციფრული ინოვაციების მეშვეობით პაციენტზე ორიენტირებული ინტეგრირებული ელექტრონული ჯანდაცვის მაქსიმალურად დაჩქარებული განვითარების კუთხით;

15. **ევროკავშირის მომავალი გრძელვადიანი სამეცნიერო ჩარჩო პროგრამის - Horizon Europe პროგრამაში ჯანდაცვის უსაფრთხოების ხელმშემწყობი თანამედროვე აპლიკაციებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების ერთობლივი პროექტების მიმართულებით, საქართველოს სამეცნიერო და ბიზნეს პოტენციალის მაქსიმალური ჩართულობის ხელშეწყობა** - პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში ციფრული ჯანდაცვის და მოვლის, ტელემედიცინის, მობილური ჯანმრთელობის და სხვა მიმართულებით, საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საუნივერსიტეტო და სამეცნიერო ორგანიზაციების, ბიზნესის და ინოვაციური ტექნილოგიური გაერთიანებებისა და სტრუქტურების - ინფორმირების, მობილიზების, ქსელური თანამშრომლობისა და ევროკავშირთან თანამშრომლობის გრძელვადიან გეგმებში გათვალისწინების მეშვეობით.

როგორც დევიდ როკფელერი ამბობდა, ყოველი კატასტროფა შეიძლება აქციო ბრწყინვალე შესაძლებლობად. შეიძლება ითქვას, რომ გლობალური ჯანმრთელობის პანდემიური კრიზისი ჯანდაცვის სისტემებში როგორც პოზიტიური გამოცდილების პრაქტიკული აპრობირებით, ასევე - მოწყვლადი რგოლების გამოვლენის და პრობლემების აქცენტირების თვალსაზრისით, შესაძლებლობების ფანჯრის გაღების მოულოდნელი შემთხვევა გახდა. საქართველოსთვის აუცილებელია ამ შანსის მაქსიმალურად და ეფექტიანად გამოყენება.

**ვახტანგ ჭარაია, შოთა გულბანი, ოთარ ანგურიძე,
ლევან კოკაია, ბაქარ ფალავანდიშვილი**

ეკონომიკური უსაფრთხოება

შესავალი

მსოფლიოსა და საქართველოში მიმდინარე პანდემიურმა პროცესებმა დაადასტურა, რომ ტექნოლოგიური განვითარების პროცესებს ალტერნატივა არა გააჩნია, მათ შორის, საქართველოშიც და, განსაკურებით, წარმოების სფეროში. მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც გლობალურმა პანდემიურმა პროცესებმა მსოფლიოს ღირებულებებისა და შეხედულებების გადაფასება გამოიწვია და თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების საჭიროება კი უფრო მეტად წარმოაჩინა.

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციებს. მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) თანახმად, რომელიც ყველაზე კომპლექსური კვლევა გახლავთ, ირკვევა რომ: კვლევებისა და განვითარების კუთხით (R&D) საქართველოს - 75-ე ადგილი უჭირავს; იგივე მაჩვენებელის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით დანახარჯების თვალსაზრისით კი - 82-ა; ხოლო, ინოვაციურობის მხრივ - 91-ე. რაც გვიჩვენებს, რომ საქართველოს პანდემიამდეც სჭირდებოდა ამ მიმართულებით რეფორმირება და შესაბამისი განვითარება. ვინაიდან, თანამედროვე ეკონომიკა არ არსებობს კვლევებისა და განვითარების ძლიერი ბაზისის გარეშე.

შეუძლებელია, ვისაუბროთ ეკონომიკურ განვითარებაზე და არ ვისაუბროთ კვლევითი ინსტიტუტების პოტენციალზე (75-ე ადგილი, GCI 2019), უმაღლეს და პროფესიულ განათლებაზე, რომელიც დივერსიფიცირებული და კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალების (121-ე ადგილი) შექმნის შესაძლებლობას წარმოადგენს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ზრუნვა სამუშაო ძალის უნარების ამაღლების თვალსაზრისითაც, ვინაიდან, სამწუხაროდ, საქართველოს მიღწევები ამ მიმართულებითაც არ არის დამაჯერებელი. კერძოდ: თანამშრომლეთა გადამზადების კუთხით საქართველო 123-ე ადგილზეა; პროფესიული განათლების ხარისხით - 135-ზე; კურსდამთავრებულების უნარების თვალსაზრისით - 125-ზე; საზოგადოების ციფრული უნარებით - 107-ზე და კვალიფიციური მუშახელის მოძიების სიმარტივით კი - 120-ზე. სამუშაო ძალა კომპლექსურ რეფორმირებას მოითხოვს, რათა ეკონოკის განვითარების შესაბამისად, სისტემა მზად იყოს.

აღსანიშნავია, რომ სახარბიელო მდგომარეობა საქართველოში არც საფინანსო სისტემის მდგრადობის თვალსაზრისით არ არის, რადგან ჩვენი სახელმწიფო 141 ქვეყანას შორის 91-ე ადგილზეა, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების კუთხით - 83-ზე, ვენჩურულ კაპიტალზე ხელმისაწვდომობით - 109-ზე, ბაზრის კაპიტალიზაციით მშპ-სთან - 119-ზე, სადაზღვევო პრემიის მოცულობით მშპ-სთან - 112-ზე (GCI).

პანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდში საქართველოს ახალი შესაძლებელობების ფანჯარა ეხსნება, რომელიც ქვეყანამ სავალდებულო წესით უნდა გამოიყენოს, რისთვისაც ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევების აღმოფხვრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საბოლოო ჯამში, აღნიშნული საკითხები იმგვარადაა დალაგებული, რომ მათმა მოგვარებამ ხელი უნდა შეუწყოს ბიზნეს სექტორის გამოცოცხლებას, მისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური, საკადრო, კვლევითი და პრაქტიკული საკითხების მოსაგვარების გზით.

საფინანსო სექტორის გაძლიერება

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში სტაბილური და მდგრადი ფინანსური სისტემა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. ის ხელს უწყობს სიმდიდრისა და დოვლათის შექმნას, ვინაიდან, სწორედ, მისი მეშვეობით ხდება დანაზოგების გარდაქმნა ინვესტიციებად, რასაც, საბოლოო ჯამში, ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა მოჰყვება. შესაბამისად, არ იქნება გადაჭარბებული იმის მტკიცება, რომ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი ბაზისი, მათ შორის, სწორედ, ძლიერ საფინანსო სისტემაზე დგას.

ეკონომიკური უსაფრთხოება, რომელიც ფინანსურ უსაფრთხოებასაც მოიაზრებს, ისეთ სიტუაციას გულისხმობს, როდესაც რიგით მოქალაქეს სტაბილური შემოსავალი აქვს, რომლითაც შეუძლია ცხოვრების დონის გაუმჯობესება მიმდინარე და უახლოეს მომავალში. რაც უფრო მრავალია ქვეყანაში ფინანსურად დამოუკიდებელი მოქალაქე, მით უფრო სტაბილურია ამ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება.

აღსანიშნავია, რომ საფინანსო სისტემა გაცილებით უფრო ეფექტურად და ადეკვატურად პასუხობს ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მიზნებს მაშინ, როდესაც ის დივერსიფიცირებულია, ბაზარი ძლიერი საფინანსო ინსტუტუტებით არის წარმოდგენილი, ხოლო მათ შორის ბუნებრივი კონკურენციაა.

წინამდებარე დოკუმენტის ამ ნაწილის მიზანია, ერთი მხრივ, გააანალიზოს საფინანსო სექტორში არსებული რეალური პრობლემები და ერთგვარი „დიაგნოზიც დასვას“, ხოლო, მეორე მხრივ, გამოკვეთოს ის ვექტორები, რომელმაც ქვეყნის საფინანსო და, შესაბამისად, ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნებთან მაქსიმალურად უნდა დაგვაახლოვოს. პრიორიტეტულობის პრინციპით, გამოკვეთილია სამი ძირითადი მიმართულება, რომელზეც პოსტპანდემიურ პერიოდში ხელისუფლებამ იმაზე გაცილებით მეტი უნდა იმუშაოს, ვიდრე ოდესმე. ეს მიმართულებებია საბანკო სექტორი და კაპიტალის ბაზრები.

საქართველოს საფინანსო სექტორი კონკურენციის მაღალი ხარისხით არ გამოირჩევა. ბაზარი, ძირითადად, 15 კომერციული ბანკით არის წარმოდგენილი, რომელთა ჯამური აქტივები 49,1 მილიარდ ლარს შეადგენს, რაც 2020 წლის საპროგნოზო მშპ-ს 102%-ა, ხოლო საფინანსო სექტორის ჯამური აქტივების 92%–ია. ბაზარზე აგრეთვე წარმოდგენილია მიკროსაფინანსო სექტორი, 43 მიკროსაფინანსო ორგანიზაციით, რომელთა ჯამური აქტივები 2020 წლის საპროგნოზო მშპ-ს 4,3%-ს

შეადგენს. გარდა ამისა, ფუნქციონირებს 199 სესხის გამცემი სუბიექტი,[20] 853 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი; 2 საფონდო ბირჟა; 17 სადაზღვევო კომპანია და 4 საპენსიო სქემა, რომელთაგან ერთი სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საპენსიო სააგენტოა.

მსჯელობას კაპიტალის ბაზრის საკითხების განხილვით ვაგრძელებთ. მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებში საფონდო ბაზარი, ისევე როგორც საბანკო, ფინანსური სისტემის ორი უზარმაზარი სეგმენტია. ორივე „იბრძვის“ მოქალაქეების დანაზოგებისა და სხვა ინსტიტუციონალური ინვესტორების, ასევე – საინვესტიციო ფონდების თანხების მოზიდვის მიზნით.

საქართველოში არსებული საფონდო ბაზრის მოდელის მთავარი სუსტი მხარე, სწორედ, ამ პარადიგმაშია საძიებელი. ასეთ პირობებში, მარეგულირებლის მხრიდან ერთ მხარეს რაიმე სახის გადახრა და არაპროპორციული მიდგომა ერთ-ერთი სეგმენტის განვითარების მიმართ აუცილებლად გამოიწვევს მეორე სეგმენტის სტაგნაციას.

სტრატეგიული პარადიგმა, რომ საფონდო საქმიანობა და სადეპოზიტო, საკრედიტო და საანგარიშსწორებო, ანუ საბანკო საქმიანობა, მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული ერთმანეთისგან საკანონმდებლო დონეზე, ფინანსური ბაზრის პროპორციულად განვითარების მთავარ წინაპირობად მიიჩნევა. ამის ნათელი დასტურია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჯერ კიდევ 1933 წელს მიღებული ცნობილი გლას სტიგალის აქტი, რომლის მიხედვითაც, შეერთებულ შტატებში მკაფიოდ გაიმიჯნა საინვესტიციო და საცალო საბანკო საქმიანობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასესხო და საინვესტიციო ბაზრებზე, საფონდო ინდუსტრიასა და კომერციულ საბანკო სექტორს შორის სამართლიანი თამაშის წესები დამკვიდრდა. მოცემული აქტი 1999 წელს გაუქმდა, პრეზიდენტ ბილ კლინტონის მიერ ფინანსური სერვისების მოდერნიზაციის აქტზე ხელმოწერით. ამერიკის საფინანსო სისტემას განვითარების არსებული დონის მისაღწევად (საფონდო ბაზრის კაპიტალიზაცია მშპ-სთან 146%) საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდა, 66 წელი მოქმედებდა გლას სტიგალის აქტი, რაც საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს კონკურენციის მახინჯი გამოვლინების შესაძლებლობას არ აძლევდა.

ქართული საფონდო ბაზარიც, მიუხედავად განვითარების ძალიან დაბალი დონისა, აქტუალობას არ კარგავს. პოსტპანდემიურ პერიოდში, მაშინ, როდესაც ადგილობრივი წარმოების განვითარება განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს, ასევე დიდი როლი მიენიჭება ადგილობრივი დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებას და საბანკო სესხების გარდა, საფონდო ბაზრის სახით რეალური ალტერნატივის განვითარებას. ეს ხელს შეუწყობს სასესხო პროდუქტების გაიაფებას და გაზრდის ფინანსებზე წვდომას ბიზნესისთვის. თუმცა, ამის მისაღწევად, სფეროს მარეგულირებელ კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები არის განსახორციელებელი.

საქართველოს საფონდო ბირჟის დღეს არსებული ფინანსური მაჩვენებლები პოზიტიური მოლოდინის შექმნის საფუძველს არ გვიქმნის. ბირჟაზე წარმოდგენილი კომპანიების რაოდენობა სტაბილურად მცირდება. 2020 წლის ივნისის მონაცემების მიხედვით, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებულია 28

20 პირი, რომლის მიმართ, ერთდროულად, 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეს) აქვს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება.

კომპანიის ფასიანი ქაღალდი, რომელთა საერთო საბაზრო კაპიტალიზაციამ 1,834 მილიონი ლარი, 2020 წლის საპროგნოზო მშპ-ს 3,8%–ი შეადგინა, ხოლო საშუალო დღიურმა ბრუნვამ – 41 ლარი. ყველაზე წარმატებული ქართული კომპანიის, საქართველოს ბანკის აქციებზეც კი, რომელიც A კატეგორიის ლისტინგშია წარმოდგენილი, გარიგებები საშუალოდ 2-3 თვეში ერთხელ იდება. ბირჟის კაპიტალიზაციის მაჩვენებლის ზრდა, არც კაპიტალის ბაზრის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიაშია გათვალისწინებული. კერძოდ, 2025 წლის სამიზნე მაჩვენებლად საფონდო ბაზრის კაპიტალიზაციის მშპ-სთან ფარდობის 5%-მდე მიღწევა იგეგმება, მაშინ, როცა 2007 წელს, ეს მაჩვენებელი 14%-ს აღწევდა. ბირჟაზე გარიგებების განმახორციელებელი ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობა ბანკების მიერ დაფუძნებული შვილობილი საბროკერო კომპანიები არიან, კერძოდ, 6 საბროკერო კომპანიიდან, 5 კომერციული ბანკის შვილობილია, რაც ინტერესთა კონფლიქტის მატარებელია.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში საფონდო ინდუსტრიის განუვითარებლობის მიზეზების ძიებისას, მხოლოდ სუსტი ეკონომიკა და ემიტენტების მცირე რაოდენობა არ გვაძლევს რეალურ სურათს, ვინაიდან, 2007 წლამდე, საქართველოს ეკონომიკა გაცილებით უფრო სუსტი იყო, სახელმწიფო ინსტიტუციები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში, მშპ ერთ სულ მოსახლეზე მცირე, ინვესტიციები საფონდო ბირჟის დაფუძნებიდან 2007 წლამდე 3.3-ჯერ ნაკლები, ვიდრე 2007-19 წლებში. აგრეთვე, მთელი რიგი სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრების თვალსაზრისით, საქართველო, მიმდინარე პერიოდში, გაცილებით უფრო წარმატებულად პოზიციონირებს, ვიდრე 2007 წლმადე პერიოდში. თუმცა, მიუხედავად ამისა, 2007 წლამდე საფონდო ბირჟის კაპიტალიზაცია მშპ-სთან სტაბილურად იზრდება და 14%-ს აღწევს. ხოლო, 2007 წელს, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში შესული ცვლილებების შემდეგ, ბაზრის კაპიტალიზაცია მშპ-სთან სტაბილურად იკლებს და უკანასკნელი მონაცემების თანახმად, 3,8%-ს შეადგენს. ცხადია, ამგვარი ვითარება მეტყველებს მთელ რიგ ინსტიტუციონალურ ხარვეზებზე და, აგრეთვე, სფეროს მარეგულირებელი კანონის ლაფსუსებზე.

შემდეგი სექტორი, რომელიც ფინანსური უსაფრთხოების მისაღწევად ნებისმიერ საფინანსო სისტემაში ერთ-ერთი წამყვანი რგოლია, საბანკო სექტორია, რომლის გარეშეც სტაბილური და მდგრადი ფინანსური სექტორის ფუნქციონირება შეუძლებელია. ამ მხრივ საქართველოს საფინანსო სისტემა გამორჩეულია, ვინაიდან ის, პრაქტიკულად, კომერციული ბანკებით არის დაკომპლექტებული, საიდანაც თავად საბანკო სექტორის აქტივების 75%–ი ორ სისტემაფორმირებად ბანკშია კონცენტრირებული, რაც ბაზრის ოლიგოპოლიურ ხასიათზე მეტყველებს. საქართველოში საბანკო პროდუქტები თეორიულად საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ პრაქტიკულად ბიზნესისთვის სესხებთან წვდომა საკმაოდ შეზღუდულია, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ბანკები „იოლად ხელმისაწვდომ ხილზე“ ფოკუსირდებიან. აქ არსებობს ბევრი შემზღუდავი მოთხოვნები, რომელსაც ბანკები უყენებენ ბიზნეს სექტორს და ეს ძალიან ართულებს სასესხო პროდუქტებთან წვდომას. ბანკების მიერ მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსების უუნარობა პრობლემებს იწვევს ეკონომიკურ ზრდის თვალსაზრისით. ვითარება მცირედით შეიცვალა მას შემდეგ, რაც ეროვნულმა ბანკმა 2017 წელს სესხებთან მიმართებით შემოსავლების ადეკვატურობის კოეფიციენტები დააწესა, რამაც ბანკები აიძულა, სამომხმარებლო

დაკრედიტების ნაცვლად ბიზნეს სესხების დახვეწაზე ორიენტირებულიყვნენ.

ერთ-ერთი საკვანძო საკითხი, რომელიც ქართული საბანკო სექტორის ანალიზის დროს იპყრობს ყურადღებას, ბაზრის ორ ბანკზე კონცენტრაციაა, რასაც, შესაძლოა, გააჩნდეს როგორც დადებითი, ასევე – ნეგატიური ეფექტები. საბანკო მომსახურების ბაზრის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ბაზრის მაღალი კონცენტრაცია, ცალსახად უარყოფითად არ უნდა შეფასდეს. წამყვანი სისტემფორმირებადი ბანკები თავისებურ ბიზნეს ბარომეტრსაც წარმოადგენენ, როგორც სექტორში ინვესტორების მოზიდვის, ასევე ბაზრის სხვა მონაწილეებისთვისაც თამაშის წესების შეთავაზებით, ინოვაციური საბანკო პროდუქტების დანერგვისა თუ საბანკო პროდუქტებზე ფასწარმოქმნის თვალსაზრისით. თუმცა, მეორე მხრივ, ბაზრის მაღალი კონცენტრაცია საწარმოს მასშტაბის ეფექტიდან გამომდინარე გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს წამყვან ბანკებს კონკურენტებთან შედარებით და, პირველ რიგში, კლიენტებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, რაც კონცენტრაციასა და მომგებიანობას შორის პოზიტიური კორელაციის სახით გამოიხატება.

კრიზისულ პერიოდებში, ბაზრის მაღალი კონცენტრაციის პირობებში, რომელიმე სისტემფორმირებად საკრედიტო დაწესებულებაში წარმოქმნილი პრობლემები რისკების მართვის, მათ შორის, კლიენტურის სხვა ბანკებში გადანაწილებისა და საბანკო ოპერაციების წარმოების თვალსაზრისით, არასაკმარის ბუფერს ტოვებს, რისი განმაპირობებელი მიზეზიც ამ ბანკების მცირე კაპიტალია .

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბანკო სისტემა მომგებიანობის მაჩვენებლებით ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. კაპიტალზე და აქტივებზე უკუგების კოეფიციენტები (ROE; ROA), ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, სტაბილურად მზარდია და პანდემიამდელ პერიოდში, შესაბამისად, 20,3%-სა და 2,5%–ს შეადგენდა. პანმდემიამ, ცხადია, საბანკო სისტემის მომგებიანობის მაჩვენებელზეც უარყოფითად აისახა.

პოსტპანდემიურ პერიოდში, სასურველია, რომ საბაზრო კონცენტრაცია შემცირდეს წმინდა საბაზრო მექანიზმების გამოყენებით, როგორც ახალი მოთამაშეების ბაზარზე შემოყვანით, პირველ რიგში, წამყვანი ევროპული ბრენდების, ასევე – მეორე ეშელონისა და შედარებით მცირე ზომის ბანკების აქტივების გაზრდით, მათ შორის, მათი ნაწილის გაერთიანების შედეგად, ან სულაც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული განვითარების ბანკის მეშვეობით (სახელი პირობითია), რომელიც მსხვილი ინდუსტრიული საწარმოებისა და, ასევე, სტარტაპების დაფინანსების თვალსაზრისით აქტიურ როლს ითამაშებს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ მიაღწიოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, საფინანსო სისტემის ტრანსფორმაციითა და მისი დივერსიფიცირების გზით. მიუხედავად იმისა, რომ საფინანსო სექტორის ძირითადი მოთამაშეები კომერციული ბანკები არიან, რომლებიც არ წარმოადგენენ ეკონომიკის სწრაფი განვითარების „ლოკომოტივს“, არსებობს რეალური შესაძლებლობები იმისა, რომ მოხდეს კონკურენციის დონის ამაღლება, არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების როლის წინა პლანზე წამოწევით, რაც პოსტპანდემიურ პერიოდში მნიშვნელოვნად დააჩქარებს ეკონომიკის რეაბილიტაციის პროცესს.

რეკომენდაციები:

იმისათვის, რომ საქართველოს საფინანსო სექტორი განვითარების შემდეგ საფეხურზე გადავიდეს, აუცილებელია, საფონდო ბაზრის საკითხი მკაფიოდ გადაწყდეს. ამასთან, საფონდო ინდუსტრიაში რეალურ პროგრესს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაეყრება საფუძველი, თუკი სახელმწიფო შემდეგ რეკომენდაციებს გაითვალისწინებს:

- ჩამოყალიბდეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო და ის ეროვნული ბანკის ზედამხედველობიდან უნდა გამოიყოს;
- მარეგულირებელმა ორგანომ არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტებისთვის უნდა უზრუნველყოს კონკურენტული გარემო;
- უნდა გაიზარდოს ბირჟის გარეთ დაფიქსირებულ გარიგებებზე გადასახადი;
- აუცილებელია, ბირჟაზე, გარიგებებთან დაკავშირებული ტარიფების მაქსიმალური ლიბერალიზაცია და შემცირება;
- საქართველოს საფონდო ბირჟაზე ხელი უნდა შევუწყოთ მიმზიდველი ფასიანი ქაღალდების განთავსებას;
- სარეიტინგო კომპანიების ინსტიტუციონალური დაფუძნება;
- აუცილებელია ელექტრონული საბირჟო ვაჭრობის საკანონმდებლო რეგულირების შემუშავება;
- უნდა ჩამოყალიბდეს კორპორაციული მართვის კოდექსი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტებისათვის.

აღსანიშნავია, რომ თუკი საქართველოში ძლიერი კაპიტალის ბაზრები იფუნქციონირებენ, ეს ხელს აძლევთ კომერციულ ბანკებსაც, რომელთაც შესაძლებლობა ეძლევათ თავადაც განახორციელონ აქციების კოტირება ადგილობრივ ბირჟებზე და ამით საჭირო ფინანსური რესურსები მოიძიონ.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა

არსებობს მრავალი მოსაზრება, თუ რა აკლია საქართველოს იმისთვის რომ უფრო და უფრო მეტი მდგრადი უცხოური ინვესტიცია მოიზიდოს, მათ შორისაა: კვალიფიციური კადრების ნაკელებობა, სამუშაო ძალის ღირებულების დაბალი კონკურენტუნარიანობა, ბაზრის სიმცირე და ლოგისტიკური სირთულეები, სასამართლო სისტემის შემდგომი განვითარების საჭიროება, ცალკეული კომპანიების მხრიდან შემოტევების და, შედეგად, საერთაშორიშო რეპუტაციის დაზიანებისაგან თავის არიდება.

მიუხედავა ზემოთ ჩამოთვლილი სირთულეებისა, საქართველოს მხარეს არის მთელი რიგი მნიშვნელოვანი უპირატესობებიც, როგორიცაა: დაბალი გადასახადები, ბაზრის სიცარიელე, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმები, ბიზნესის კეთების სიმარტივე,

მეგობრული ბიზნესგარემო და მრავალი სხვა... რის შედეგადაც საქართველო, ყოველწლიურად, საკმაოდ სოლიდური მოცულობის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მათ შენარჩუნებასაც ახერხებს (2019 წელს რეინვესტირების მაჩვენებელი - 48%).

უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება საქართველოში არც თუ ისე დაბალია, რაც მისი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით იზომება. მაგალითად, 2018 წელს საქართველოს შედეგი გახლდათ - 6.9%–ი; ესტონეთისა - 3.8–ი; გერმანიის - 4.3%–ი; ისრაელის 5.6%–ი; ირლანდიის - 16.9%–ი).

2019 წლის მონაცემების თანახმად, წამყვან სამეულ ინვესტორ ქვეყნებზე (გაერთიანებული სამეფო, თურქეთი, ირლანდია) 49%-იანი, ხოლო წამყვან ათეულზე (სამეულს დამატებული აშშ, პანამა, ნიდერლანდი, რუსეთი, ჩინეთი, იაპონია და აზერბაიჯანი) - 80%-იანი დამოკიდებულება ფიქსირდება, რაც საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, განსაკუთრებით კორონომიკური კრიზისის დროს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი რისკების შემცველი იყოს და შეარყიოს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დარგობრივი ჩაშლა ცხადყოფს, რომ უცხოელი ინვესტორები ყველაზე ნაკლებად სოფლისმეურნეობით ინტერესდებიან (1%), იგივე ბედს იზიარებს ჯანდაცვაც (3%), ხოლო ყველაზე მეტად კი ტრანსპორტის დარგი (25%); პოპულარულია საფინანსო სექტორი (15%) და ენერგეტიკაც (11%).

არ არის სახარბიელო უცხოური ინვესტიციების რეგიონული განაწილებაც, სადაც თბილისსა (78%) და აჭარის რეგიონზე (10%), ჯამში - 88% მოდის. მთელ რიგ რეგიონებში კი FDI-ს, პრაქტიკულად, არც კი ჩაუღწევია. შესაბამისად, მაღალია დედაქალაქისკენ მიგრაციის მაჩვენებელი, ხოლო, მეორე მხრივ, კი რეგიონების დაცლის ტენდენცია.

განსხვავებით XX საუკუნის 90-იანი წლებისაგან, როდესაც უცოხური ინვესტიციების ლომის წილი საქართველოს ბუნებრივი რესურსების ათვისებაზე მოდიოდა, ბოლო ხუთი წლის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ უცხოელი ინვესტორები ამ ეტაპზე, ძირითადად, ადგილობრივი ბაზრით არიან დაინტერესებულნი, ამას კი, მათ შორის, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის გაუმჯობესებაც განაპირობებს. თუმცა, მომავალი - ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტიციებისაა. სახელმწიფომ უნდა სცადოს იმ ინვესტორების მოძიება, რომლებიც ადგილობრივი უპირატესობების გამოყენებით საერთაშორისო ბაზრების ათვისებას დაისახავენ მიზნად და გადადინების ეფექტით სარგებელს მოუტანენ მთლიანად ქართულ ეკონომიკას. ამისთვის კი მნიშნველოვანია საქართველოში კვლევებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პლატფორმის და პირობების ჩამოყალიებება.

პანდემიურ და განსაკუთრებით (გაურკვეველ) პოსტპანდემიურ პირიოდში, უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ არა მხოლოდ ის თუ რა სჭირდება საქართველოს, არამედ ისიც თუ რა სჭირდება ინვესტორს, რომელიც თავისი ბედის საქართველოსთან დაკავშირებას გადაწყვეტს. მოცემული კვლევის ავტორების მიერ მრავალწიანი დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებები, შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

1. ინსტიტუციური მხარე: ქვეყნის საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვის არარსებობა ან მისი ნაკლებობა; სასამართლო სისტემისადმი სისტემატური უნდობლობის ფაქტების გამოვლენა; სკოლის, უმაღლესი სასწავლებელებისა და პროფესიული სასწავლებლების სისუსტე; კვლევებისა და განვითარების კუთხით არსებული სირთულეები.

2. ბიზნესის მოქნილობა: კვალიფიცირებული კადრების ნაკლებობა და მისი სიძვირე; ფინანსურ რესურსებზე წვდომასთან დაკავშირებული სირთულეები და მისი სიძვირე; ლოგისტიკური სირთულეები და მისი სიძვირე; ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა; პოლიტიკური რისკების სიჭარბე.

3. სხვა ფაქტორები, რომლიც ქვეყნის დაბალ კონკურენტუნარიანობას განაპირობებს: დაბალი კუნკურენცია ან მისი არარსებობა დარგების უმრავლესობაში; დაფინანსების ალტერნატიული წყაროების არარსებობა (მაგ.: ქრაუდფანდინგი, კაპიტალის ბაზარი და სხვა); ინოვაციური ან/და ტექნოლოგიური კომპანიებისთვის არახელსაყრელი გარემო; კვლევითი ინსტიტუტების სისუსტე და R&D-ში რესურსების მიმართვის ინტერესის ნაკლებობა; დაბალი ინკლუზიურობა და რეგიონებს შორის დისბალანსი; ბაზრის სიმცირე, რომლის დასაძლევად თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმები არ არის საკმარისი და, საერთოდ, საკითხავია ეფექტიანია თუ არა ამ რეჟიმების არსებობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

არსებობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის უამრავი გზა. თუმცა, შუძლებელია ქვეყნის გრძელვადიან მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული შედეგის მიღება, სპონტანური საინვესტიციო ნაკადების, თუნდაც ეფექტიანი მართვით (იგულისხმება - მიმზიდველი ბიზნეს გარემო), მაშინ როდესაც ქვეყანას პრაქტიკულად არ გააჩნია: 1. საშუალო ან/და გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა; 2. „ბაზრის შეკვრის"/ კლასტერული განვითარების გეგმა და სხვა აუცილებელი საფუძვლები.

ტრადიციული უცხოური ინვესტიციებისაგან განსხვავებით, შინაარსით მსგავსი, თუმცა პრაქტიკით და ბიზნეს მოდელით აბსოლუტურად განსხვავებული - ციფრული ინვესტიციების ბაზრის განვითარება, საქართველოს ჯერ არც კი უცდია. აღნიშნული სფერო თავის თავში 3 ძირითად მიმართულებას აერთიანებს: ა) ცოდნა (ტალანტი, ტრენინგები და განათლება, სამეცნიერო კონცენტრაცია); ბ) ტექნოლოგიები (საკანონმდებლო ჩარჩო, კაპიტალი, ტექნოლოგიური ჩარჩო); გ) სამომავლო მზაობა (ადაპტაციის უნარი, ბიზნესის სისწრაფე, IT ინტეგრაცია).

საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, ციფრული ინვესტიციების მოსაზიდად საინვესტიციო გარემოს „ტრადიციული" სისუსტეების დაძლევა არ არის საკმარისი. მათ შორის, „ჩინეთიდან გამოქცეული" ტექნოლოგიური FDI-ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შემდეგი სამუშაოების გაწევა: 1. ადაპტაცია: ციფრული მთავრობის მექანიზმის დანერგვა და მუდმივი დახვეწა; სრული ინტერნეტიზაცია და ქვეყნის საერთაშორისო ციფრულ თანამეგობრობაში გაწევრიანება. 2. ბიზნესის სისწრაფე: ICT პროცესების შთანთქმა / გაზიარება; IOT და რობოტოტექნიკის განვითარების წახალისება; ინოვაციების წახალისება ტრადიციულ ბიზნესებში. 3. ტალანტი: განათლების სისტემის მოდიფიცირება ინოვაციური და ICT სისტემებზე განსაკუთრებული აქცენტით; ცოდნის გაზიარება პროგრამებში საერთაშორისო სტუდენტების და დიასპორის მონაწილეობით; განათლების დაფინანსების მნიშვნელოვანი გაზრდა; R&D კომერციალიზაციაში

მხარდაჭრა, გამოყენებითი კვლევების კომერციალიზაციის წახალისებით.

OECD კვლევების თანამხად, ციფრული საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებით და კონკრეტული ინვესტორების მოზიდვით მიღწევადია შემდეგი მიზნები: ქვეყნის ტრანსფორმაციას ინოვაციურ ჭრილში; ინოვაციური მართვის სისტემების დახვეწა და დანერგვა; გადადინების ეფექტს არსებული ტრადიცული ბიზნესების განვითარებისათვის; უცხოური ინოვაციური კომპანიების პროექტებში ჩართულობა და ადგილობრივი ინტელექტუალური რესურსის გაძლიერება განავითარებს ადგილობივ ინოვაციურ აქტიურობასაც.

ტრადიციული და ციფრული ინვესტიციების კომბინირებით საქართველო მიიღებს, როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ გაუმჯობესაბასაც, რაც, თავის მხრივ, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის საფუველი გახდება. მნიშვნელოვანია,საქართველომ ყურადღება მიაქციოს არამხოლოდ ტრადიციული აქტიურობების გამრავალფეროვნებას და დახვეწას, არამედ მსოფლიოს უახლეს გამოწვევებსა და უახლეს ტექნოლოგიებსაც აუწყოს ფეხი.

რეკომენდაციები:

- ონლაინ როუდ შოუების, თიზერების და ბრენდ ბუქების დამუშავება და წარდგენა;
- საინვესტიციო აგენტების ინსტიტუტის ჩამოყალიბება და წახალისება კონკრეტული ინვესტორის შემოყვანაზე;
- მოგების გადასახადის გაუქმება საქართველოში ბაზირებული ორგანიზაციისთვის, რომელიც მესამე ქვეყანაში ინვესტირებით იქნება დაინტერესებული შვილობრივი კომპანიის დასაფუძნებლად;
- კომპეტენტური და ეფექტური სამუშაო ძალის ჩამოყალიბება როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში;
- ახალი, მასშტაბური პროექტების წამოწყება;
- ერთი ფანჯრის პრინციპის და ინვესტორისთვის კონკრეტული პიროვნების მიმაგრება, რომელიც სახელმწიფოსთან არსებულ ყველა საკითხს ავტონომიურად მოაგვარებს;
- დაჩქარებული ტემპებით ციფრული საინვესტიციო ბაზრის განვითარება.

კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობა

ეროვნული წარმოების გასაძლიერებლად უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის დონეზე კვლევისა და განვითარების შესაძლებლობა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი აკისრია სახელმწიფოსაც, ბიზნეს სექტორსაც და აკადემიასაც (დიაგრამა 1). მათი ერთობლივი თანამშრომლობა საუკეთესო შედეგის გარანტიაა.

დიაგრამა 1. კვლევებისა და განვითარების პრაქტიკული სტრუქტურა

სახელმწიფო. სახელმწიფოს გადამწყვეტი როლი აკისრია ეროვნული წარმოების განვითარებისა და ხელშეწყობის კუთხით. სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრული სწორი პოლიტიკა ქმნის საფუძველს ბაზრის სწორი განვითარებისთვის. მათ შორის, ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება ინტელექტუალური საკუთრების დაცვას. 2019 წლის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის თანახმად, საქართველო ამ მიმართულებით - 94–ე პოზიციას იკავებს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და აფერხებს საქართველოში ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებას. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის თვალსაზრისით მნიშნელოვანია საფუძვლიანი რეფორმის გატარება საფუძვლის შექმნა იმისათვის, რომ საქართველოში წარმოდგენილი ადგილობრივი და საერთაშრისო ბრენდების უფლებები, მათ შორის, ციფრული ინვესტიციების კუთხითაც ხელშეუხებელი იყოს.

ფონდები. ბევრ ქვეყანაში ფონდები წარმოადგენენ ეკონომიკის სტიმულირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომლითაც შესაძლებელი ხდება ქვეყნის მრავალმხრივი განვითარება, მათ შორის, ინოვაციურიც. ხაზგასასმელია სახელმწიფოს როლი კვლევებსა და განვითარებაში, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში, სადაც, როგორც წესი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, კერძო სექტორის ინიციატივები უმნიშვნელოა და არასაკმარისი.

ფონდების სისტემას წამრატებით იყენებენ ევროკავშირის სახელმწიფოები (მაგ.: KFW გერმანიაში, ბიუჯეტით - 77.3 მლრდ ევრო; PFR - პოლონეტში; AFD საფრანგეთში, ბიუჯეტით - 11.4 მლრდ ევრო და სხვა), ირლანდია (ISIF), ისრაელი - (MIDF) და სხვები. ანალოგიურად, მნიშნელოვან საჭიროებას წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან, როგორც სამეცნიერო ინსტიტუტების კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა, ასევე

კერძო სექტორის ინოვაციური და ახალი ტექნოლოგიური საჭიროებებისათვის შესაბამისი კვლევების ხელშეწყობა და საბოლოო პროდუქტის შემუშავება, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესში. მნიშნელოვანია საქართველომაც განავითაროს მსხვილი ფონდების ინსტიტუტი, რომელიც იქნება ახალი და ინოვაციური იდეებისა თუ პროდუქტების შექმნაზე ორიენტირებული. მართალია, მსგავსი ინიციატივები, ხშირ შემთხვევაში, გრძელვადიან მიზნებზეა გათვლილი, თუმცა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გარეშე, შეუძლებელია ქვეყანა კონკურენტუნარიან სახელმწიფოდ გარდაიქმნას და მსოფლიო რუკაზე საინვესტიციოდ მიმზიდველი იმიჯი მოირგოს.

აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტები. აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტები წარმადგენენ მნიშნელოვან მაკოორდინირებელ ინსტიტუციას და განვითარებისათვის შესაბამისი, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის ცენტრს. სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა მეტი ფინანსური რესურსის მოძიება და კვლევითი საკმიანობის პოპულარიზაცია, რათა მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს და ქვეყანაში შეიქმნას კონკურენტუნარიან მკვლევართა რეალური ბირთვი. დღეისათვის, კვლევების დაფინანსება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, იუნესკოს თანახმად (R&D SPENDING BY COUNTRY რეიტინგი) მონაცემების მიხედვით: საქართველოში 0.2%-ს არ აღემატება (სულ 63.7 მილიონი აშშ დოლარი), მაშინ, როდესაც ფინეთში ის - 3.2%-ს შეადგენს (7.2 მილიარდი), იაპონიაში - 3.4%–ს (169 მილიარდი), ისრალეში კი - 4.2%-ს უდრის (11.7 მილიარდი დოლარი).

განათლება. განათლება წარმადგენს ეროვნული წარმოებისა და ქვეყნის განვითარების ძირითად ხერხემალს. მნიშვნელოვანია, არამხოლოდ სასკოლო ან უმაღლესი განათლების თანამედროვე მოთხოვნებზე მორგება, არამედ, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანიც კი იყოს პროფესიული განათლების კომპონენტის დახვეწა და შემდგომი განვითარება. ამ უკანასკნელი მიმართულებით, საჭიროა საქართველოში გაცემული დიპლომების საერთაშორისო აღიარების პრობლემის მოგვარება, რაც ჯერ კიდევ რჩება გამოწვევად. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ არ დაივიწყოს გაცემული პირობა განათლების ბიუჯეტი გახადოს სახელმწიფო ბიუჯეტის არანაკლებ 25%-ი, ხოლო GDP-თან მიმართებით კი – არანაკლებ 6%-ი. რაც საქართველოს მნიშნველოვანი რეფორმების შესაძლებელობას მისცემს ამ მიმართულებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ დაფინანსების მხოლოდ განათლებაში გაზრდა და მეცნიერების მივიწყება, საბოლოო ჯამში, ვერ იქნება ეფექტური, ამიტომ ამ მიმართულებითაც საჭიროა მუშაობა.

ბიზნეს სექტორი. საქართველოში კვლევებისა და განვითარების კუთხით აქტიურობის ნაკლებობა შეინიშნება, როგორც მცირე და საშუალო, ასევე მსხვილ ბიზნესშიც. ფონდების საჭიროება სწორედ ამ აქტიურობის წახალისებაშია, რაზეც საერთაშრისო პრაქტიკაც მეტყველებს. SME არის საკმაოდ მოწყვლადი კატეგორია, რომელიც საკუთარი ინიციატივით პრაქტიკულად არ ზრუნავს კვლევებზე, მაღალი დანახარჯებიდან გამომდინარე. ამასთან, კვლევებიდან მიღებული შედეგების დანერგვა უკავშირდება გრძელვადიან შედეგებს, რაც ნაკლებ პოპულარულია. იუნესკოს R&D SPENDING BY COUNTRY-ის თანახმად, საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებში კვლევისა და განვითარების კუთხით ბიზნეს სექტორი საერთოდ არ ფიგურირებს. კვლევაში R&D მიმართულებით მხოლოდ სახელწიფო და უმაღლესი სასწავლებლების აქტიურობა ფიქსირდება. რაც, შესაძლოა, სტატისტიკური

მონაცემების მოუწესრიგებლობაზეც მიუთითებდეს, თუმცა, ფაქტია, რომ კომპანიების განსაკუთრებული აქტიურობა ამ მიმართულებით ნამდვილად არ შეიმჩნევა.

საფინანსო ინსტიტუტები. იმისათვის, რომ გამოიძებნოს წარმოების განვითარებისათვის შესაბამისი რესურსები, აუცილებელია, ბიზნესმა, მთავრობამ და შესაბამისმა ინსტიტუტებმა მჭიდროდ ითანამშრომლონ პრიორიტეტული დარგების განსაზღვრისა და ხელშეწყობის კუთხით. მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს ხედვები და საბანკო და საფინანსო სექტორის მხრიდან განსაზღვრული პრიორიტეტები იყოს თანხვედრაში. ეს საკითხი უფრო დეტალურად იხილეთ მომდევნო თავში.

ამრიგად, მიგვაჩნია, რომ კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობის პროცესში ყველა სტრუქტურული რგოლის ჩართვა არის სასიცოცხლოდ მნიშნელოვანი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების მისაღწევად. რის მაგალითადაც, შეგვიძლია, განვიხლოთ მაღალგანვითარებული სახელმწიფოების შესაბამისი დანახარჯების წილი მშპ-სთან მიმართებით. თანამედროვე ტექნოლოგიები დანახარჯებისა და დანაკარგების შემცირების, ეკონომიკური პროცესების დაჩქარებისა და მაღალი სტანდარტების დასახვის შესაძლებლობას გვაძლევს, ეს კი სწორედ ისაა, რაც საქართველოს სჭირდება.

რეკომენდაციები:

- სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ეროვნული განვითარების გეგმა, რომლის შემუშავების პასუხისმგებლობა მოქმედ მთავრობას აქვს;
- აუციელებლია ქვეყანაში არსებობდეს და განვითარდეს კანონდებლობა ფონდების საქმიანობის წახალისების მიზნით;
- სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს პროფესიული სასწავლებლების განვითარებასა და მათი დიპლომების საერთაშორისო აღიარების პროცესების დაწყებას;
- ქვეყანაში კვლევითი ინსტიტუტების განვითარება არის აუცილებელი პროცესი, რისთვისაც საჭიროა კვლევითი გრანტების მხარდაჭერა;
- კომპანიებში კვლევებისა და განვითარების კომპონენტი არის დაბალი და ამ მიმართულებით, სახელმწიფოს მხრიდან, ფინანსურად წამახალისებელი პროექტებია შესამუშავებელი;
- აუცილებელია საფინანსო სექტორის რეგულირების სრულყოფა, რათა ბანკებმა მიზნობრივად მოახდინონ ეკონომიკის განვითარების სტიმულირება.

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება

გასულ წლებთან შედარებით საქართველოში გაიზარდა როგორც ელექტროენერგიის მოხმარების, ასევე მეზობელი ქვეყნებიდან ელექტროენერგიის იმპორტის მაჩვენებლები, რამაც, ბოლო 4 წელიწადში, საშუალოდ, ზრდის 73%–ი შეადგინა.

იმპორტირებული ელექტროენერგიის ესოდენ გაზრდილი მოცულობა სიმძლავრის საკუთარი გენერირების წყაროების მომრავლების აუცილებლობაზე უსვამს ხაზს, რაც გრძელ ვადაში, საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ხარისხს მნიშვნელოვნად აამაღლებს და საქართველოდან ელექტროენერგიის ექსპორტის შესაძლებლობებს გაზრდის.

დღევანდელი დღისთვის ელექტროენერგიის გენერაციისთვის საქართველოში არსებული ჰიდრორესურსის, დაახლოებით, 20%-ია ათვისებული. თანდათან, ჩნდება ინტერესი საქართველოში არსებული სხვა მწვანე, განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისების მიმართ.

იმისათვის, რომ რაციონალურად მოხდეს ენერგიის წყაროების ათვისება და საქართველო ელექტროენერგიის იმპორტზე ნაკლებად იყოს დამოკიდებული, მიზანშეწონილად მივიჩნევთ შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას;

- ცალკეული სახელმწიფო ინსტიტუტებმა განაახლონ საქართველოში არსებული ჰიდროლოგიური რესურსის რეესტრი და მათგან შესაბამისი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობისთვის ვარგისი წყაროები გამოყონ, რომელთა ათვისება გარემოზე მინიმალური ზიანის მომტანი იქნება. ამასთან, გამოთვალონ, სავარაუდოდ, რა სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის აშენება იქნებოდა ოპტიმალური ამათუ იმ მდინარეზე, სადაც მეტი აქციენტი უნდა გაკეთდეს მცირე და საშუალო დადგმულ სიმძლავრეებზე;

- ცალკეულ შერჩეულ წყაროზე, უშუალოდ, სახელმწიფო ინსტიტუტებმა განხორციელონ სხვადასხვა სახის კვლევითი სამუშაო, რომელთა მიზანი იქნება როგორც ეკოლოგიაზე შესაძლო გავლენის მოხდენის განსაზღვრა, აგრეთვე, საქართველოში არსებულ ელექტროენერგეტიკულ სისტემაში იმ შესაძლო სარგებლის გამოთვლა, რასაც ამათუ იმ მდინარეზე შესაბამისი დადგმული სიმძლავრის მქონე ჰიდროელექტროსადგურის აშენების შედეგად მიიღებდნენ. გარდა ამისა, ამავე კვლევის ფარგლებში პროექტის სავარაუდო საინვესტიციო ღირებულებაც უნდა განსაზღვრონ;

- განხორციელებული კვლევის შედეგები, რომელსაც სხვანაირად შეიძლება ვუწოდოთ, როგორც პოტენციური ენერგეტიკული საინვესტიციო საპროექტო წინადადებები უნდა გამოქვეყნდეს, ითარგმნოს და წარედგინოს სხვადასხვა ბიზნეს ასოციაციას, დაინტერესებულ პირს და, რაც მთავარია, მათ შესახებ პრეზენტაცია ჩაატარონ საქართველოს ფარგლებს გარეთ, საქართველოს საელჩოების აქტიური მხარდაჭერის საფუძველზე;

- თითოეული ადგილობრივი ან/და უცხოელი ინვესტორი/თანაინვესტორი, რომელიც განახლებადი ენერგიის განვითარების მიზნით საქართველოში ინვესტირებას განახორციელებს, გარკვეული საგადასახადო შეღავათებით უნდა სარგებლობდეს, ამავდროულად, საქართველოს მთავრობამ გენერირების ახალი ობიექტების მშენებლობის მიზნით, ყველა აუცილებელი ადმინისტრაციული პროცედურის ფარგლებში, ინვესტორთა პრაქტიკული მხარდაჭერა უნდა უზრუნველყოს;

- ჰიდროელექტროსადგურთა პარალელურად, ანალოგიური ღონისძიებები უნდა

განხორციელდეს საქართველოს თითოეულ იმ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, რომელიც ვარგისი იქნებოდა ქარის, მზის ან/და კომბინირებული ელექტროსადგურების ფუნქციონირების თვალსაზრისით.

განათლება

ხათუნა ბურკაძე

დისტანციური განათლების პანდემიური და პოსტპანდემიური ტენდენციები

შესავალი

კოვიდ–19-ის პანდემიამ განათლების სისტემას დიდი ზიანი მიაყენა. გლობალური პანდემია შეეხო 190-ზე მეტ ქვეყანას. საგანმანათლებლო დაწესებულებების დაკეტვა, მსოფლიოს მასშტაბით, სტუდენტების 94%-ის მდგომარეობაზე უარყოფითად აისახა.[21] უღარიბესი ქვეყნების 40%-მა ვერ შეძლო კოვიდ–19-ის პანდემიის შედეგად განათლების სისტემაში შექმნილი გამოწვევების დაძლევა.[22]

გლობალური კრიზისის მიუხედავად, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით საგანმანათლებლო სივრცის სწრაფმა ტრანსფორმაციამ, დისტანციური სწავლების პრაქტიკული მნიშვნელობა კიდევ ერთხელ შეახსენა თანამედროვე სამყაროს. სპეციალური პროგრამებისა და აპლიკაციების გამოყენებამ, ელექტრონული კომუნიკაციების სწორად წარმართვამ, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის უწყვეტობა უზრუნველყო.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ მოახერხეს პანდემიის პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ერთი მხრივ, დისტანციური სწავლების დანერგვა და, მეორე მხრივ, ამ პროცესის თანმდევი გამოწვევების დაძლევა, მათ შორის, ეკონომიკური პრობლემების, სპეციფიკური ციფრული უნარ-ჩვევების სიმწირისა და იმ გამოწვევების ფონზე, რომლებიც უკავშირდებოდა კომპიუტერთან და ონლაინ რესურსებთან წვდომას. კერძოდ, პანდემიის პერიოდში, დისტანციური განათლების დანერგვის კვალდაკვალ, მეტად აქტუალური გახდა შემდეგი საკითხები:

- ყველა მოწყვლადი ჯგუფის ფუნდამენტური უფლებების დაცვით სასწავლო პროცესის ისე წარმართვა, რომ ყველას ჰქონდეს განათლების მიღების შესაძლებლობა;
- წვდომა საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან, ინტერნეტთან, საგანმანათლებლო რესურსებთან, მათ შორის, ელექტრონულ წიგნებთან, ონლაინ ლექციებთან;
- ყველა საგნის დისტანციურად წარმართვის შესაძლებლობები იმ ფონზე, როდესაც არსებობს არაერთი ისეთი საგანი, რომელიც მეტ კრეატიულ გარემოსა და უშუალო ინტერაქციას მოითხოვს;
- დისტანციური სწავლების ხანგრძლივობა, პერიოდულობა და მისი გავლენა ინდივიდის პროფესიულ განვითარებაზე;
- დისტანციურ სწავლებასა და ტრადიციულ სწავლებას შორის ბალანსის დაცვის შესაძლებლობები.

21 Policy Brief: Education During COVID-19 and Beyond. United Nations. Executive Summary. August 2020. p.2.
22 იქვე. გვ.8.

ზემოთ აღნიშნული აქტუალური საკითხების პანდემიის პერიოდში განხილვა დისტანციური განათლების დანერგვის საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზების საჭიროებას განაპირობებს. სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს გამოცდილების შესწავლა კი, დისტანციური სწავლების როგორც შესაძლებლობების, ასევე თანმდევი გამოწვევების გამოკვეთის აუცილებლობაზე მიანიშნებს. აღნიშნული გარემოება ხელს შეუწყობს საქართველოს დისტანციური განათლების უკეთ განვითარების მიზნით რეკომენდაციების შემუშავებასა და განათლების სისტემაში საინფორმაციო ტექნოლოგიების როლის ახლებურ აღქმა–გააზრებას.

პანდემიის პერიოდში დისტანციური განათლების დანერგვის საერთაშორისო პრაქტიკა

1.3 მილიონიანი მოქალაქისგან შემდგარმა ესტონეთის სახელმწიფო სისტემამ მაღალტექნოლოგიური ციფრული მიდგომებით მსოფლიო ლიდერების, სწავლულებისა და ბიზნესის სექტორის წარმომადგენელთა ყურადღება მიიპყრო. აღსანიშნავია, რომ ესტონეთში საზოგადოებრივი მომსახურების 99%-ი, ინტერნეტრესურსების გამოყენებით, 24 საათის განმავლობაშია ხელმისაწვდომი. ასევე, Covid-19-ის პანდემიის დაწყებამდე, სკოლების 99%-ი ონლაინ–სწავლების კომპონენტებს იყენებდა.[23]

ინტერნეტის მომხმარებელთა ზრდის მიზნით, ესტონეთის მთავრობამ შეიმუშავა ინიციატივა, რომელიც, საწყის ეტაპზე, მოსახლეობის 10%-ისთვის უფასო კომპიუტერული ტრენინგების შეთავაზებას გულისხმობდა. საერთო ჯამში, ესტონეთში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 2000 წელს 29 %-მდე გაიზარდა, ხოლო 2016 წელს – 91%-ს მიაღწია.[24]

2014 წლიდან ესტონეთმა შეიმუშავა გრძელვადიანი სწავლების სტრატეგია, რომელიც ციფრული ტრანსფორმაციის პროგრამასაც მოიცავს. პროგრამის იდეაა ხელი შეუწყოს როგორც მასწავლებლების, ასევე სტუდენტების ციფრული კომპეტენციების, უნარ-ჩვევების განვითარებას. საინფორმაციო ტექნოლოგიების თვალსაზრისით წარმოებული ტრენინგები და შესაბამისი ინსტრუქციები მიზნად ისახავენ ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში.[25]

ესტონეთმა 2015 წელს ყველა საგანმანათლებლო მასალის ციფრულ სივრცეში გადატანა გადაწყვიტა. საბოლოო ჯამში, ესტონეთის ციფრული განათლების სისტემის წარმატება განაპირობა როგორც საგანმანათლებლო ტექნოლოგების განვითარებამ, ასევე საგანმანათლებლო სივრცის მონაწილეთა რეგულარულად გადამზადებამ. ამავდროულად, ესტონეთმა განათლების სისტემაში ისეთი ინსტრუმენტები დანერგა, როგორებიცაა: ციფრულ მონაცემთა ბაზები, ციფრული სახელმძღვანელოები, ელექტრონული სწავლების მასალები, ციფრული კლასის

23 How did Estonia become a new role model in digital education? May 3, 2020. Education Nation. https://www.educationnation.ee/how-did-estonia-become-a-new-role-model-in-digital-education (გადმოტვირთულია: 10/08/2020).
24 იქვე.
25 იქვე.

დღიურები, ციფრული სწავლების აპლიკაციები.[26]

ესტონეთის მთავრობის მხარდაჭერით განათლების სფეროში შეიქმნა ორი ფონდი: 2003 წელს ფონდი „Innove“ დაფუძნდა განათლებისა და კვლევების სამინისტროს მხარდასაჭერად, ხოლო 2013 წელს დაარსდა საინფორმაციო ტექნოლოგიების ფონდი განათლებისთვის (HITSA), რომელიც განათლების სფეროში ციფრული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა და ესტონეთის ციფრული რესურსების ცენტრალიზებაში მთავარი როლი შეასრულა.[27]

ესტონეთში ციფრული რესურსების ძირითადი წყარო არის E-Koolikott ("E -Schoolbag") - ონლაინ პლატფორმა, რომელიც, ქვეყნის მასშტაბით, ელექტრონული ბიბლიოთეკის ფუნქციას ასრულებს და მოიცავს 20 000-ზე მეტ საგანმანათლებლო რესურსს. განათლებისა და კვლევის სამინისტრომ 2016 წელს განავითარა E-Schoolbag-ი, რომელსაც ამჟამად, Innove–სა და HITSA ფონდები მართავენ. შესაბამისი დარგების მიხედვით, შექმნილია ექსპერტთა ჯგუფები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან აღნიშნული რესურსების ხარისხზე. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მასწავლებლებს გაკვეთილების შესაბამისად შეუძლიათ აღნიშნული რესურსების გამოყენება და შეცვლა. მშობლებსა და მეურვეებს კი, ბავშვების სახლში სწავლების ხელშეწყობის მიზნით, წვდომა აქვთ E-Schoolbag-ის პლატფორმასთან.

E-Schoolbag-ის მეშვეობით ონლაინ სახელმძღვანელოების მოძიება შესაძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმის საკვანძო კომპეტენციის (მაგალითად, კომუნიკაცია), საგნის ან ურთიერთდაკავშირებული სასწავლო თემის (მაგალითად, გარემო და მდგრადი განვითარება) მითითებით. 2015 წლიდან საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა ყველა ახალი სახელმძღვანელოს ციფრული ფორმით არსებობის აუცილებლობა, შესაბამისად, სახელმძღვანელოების გამომცემლობებმა ციფრული რესურსების ბმულები E-Schoolbag-ის დახმარებით უზრუნველყვეს. ზოგიერთი გამომცემელი ციფრული რესურსების გამოყენებისთვის საფასურს ითხოვს, ზოგიერთი უფასო დაშვების შესაძლებლობას ითვალისწინებს.[28]

დისტანციური სწავლების ადმინისტრაციული ასპექტების მართვის მიზნით, ესტონეთის სკოლების უმეტესობა იყენებს ონლაინ პლატფორმას, სახელწოდებით E-Kool („ელექტრონული სკოლა”). პანდემიის დაწყებამდე E-School სკოლების 85 %-ში გამოიყენებოდა. E-School საშუალებას აძლევს მასწავლებლებს ჩაიწერონ სტუდენტთა დასწრება და შეფასებები; განათავსონ სტუდენტთა დავალებები და გაუგზავნონ შეტყობინებები სტუდენტების მშობლებსა და მეურვეებს ონლაინ პლატფორმის საშუალებით, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის.[29]

დისტანციური განათლების საჭიროებებს საფრანგეთი, გარკვეულწილად, მომზადებული შეხვდა. 2016 წელს საფრანგეთმა განათლების მიმართულებით ციფრული გეგმა შეიმუშავა. ასევე, ციფრული რესურსების ბანკის შექნის მიზნით

26 იქვე.
27 Monica Pfister. A Step Ahead: Estonia Emerges as a Leader in Worldwide Distance Learning Experiment. Apr 30, 2020. National Centre on Education and The Economy. https://ncee.org/2020/04/a-step-ahead-estonia/ (გადმოტვირთულია: 9/08/2020).
28 იქვე.
29 იქვე.

საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოდულების გარდაქმნა დაიწყო. გარდა ამისა, საფრანგეთს აქვს დისტანციური სწავლების ეროვნული ცენტრი (CNED).[30]

პანდემიის გამო დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისთანავე საფრანგეთში განხორციელდა პროექტი „ჩემი კლასი სახლში". ის გულისხობდა გაკვეთილების ჩატარებას და დავალებების შესრულებას ვიდეოკონფერენციების დახმარებით. ამასთანავე, ეროვნული განათლებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და უმაღლესი განათლების სამინისტროს ვებსაიტები მდიდარ ციფრულ მასალას უზრუნველყოფდა. გარდა ამისა, თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეეძლო დამატებითი რესურსების საკუთარ საიტებზე ატვირთვა. გლობალური კრიზისის პერიოდში აკადემიური პერსონალის ახალ რეალობასთან შეგუების მიზნით არაერთი ციფრული ტრენინგი ჩატარდა. სოციალური ქსელების მეშვეობით ვრცელდებოდა სტუდენტების, მასწავლებლებისა და მშობლების მიერ შეთავაზებული წინადადებები/ინიციატივები დისტანციური სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.[31]

2020 წლის 14 მარტს, გლობალური პანდემიის გამო, ლატვიის მთავრობამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის ერთ-ერთი პირველი გამოწვევა იყო სტუდენტების შეზღუდული წვდომა ციფრულ ტექნოლოგიებთან. ლატვიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2020 წლის მარტში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა დაახლოებით 3%-ს არ ჰქონდა არც კომპიუტერი და არც „სმარტფონი", რის გამოც ისინი დისტანციური სწავლების პროცესში ჩართულები არ იყვნენ.[32] ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ლატვიის ერთ-ერთ უმსხვილეს მობილურ ოპერატორთან ერთად, მოსწავლეები საჭირო ინსტრუმენტებით უზრუნველყო, მათ შორის, უფასო ინტერნეტით.[33]

კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად ლატვიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ტელეკომპანიებთან თანამშრომლობის საფუძველზე შექმნა ვიდეოები, რომლებმაც მასწავლებლების, სტუდენტებისა და მათი მშობლების დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართულობას შეუწყო ხელი. თავდაპირველად, ორკვირიან პერიოდში, ონლაინ გაკვეთილებს 370 000-ზე მეტმა ადამიანმა მოუსმინა. ვებგვერდს - https://www.tavaklase.lv/ ეწვივნენ როგორც ლატვიაში მცხოვრები მოქალაქეები, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრები ლატვიელები და უცხოელები. ამ პროექტის მეშვეობით გაიზარდა ცნობადობა ლატვიური ენისა და კულტურის შესახებ ქვეყნის ფარგლებს გარეთ.[34] იგეგმება ელექტრონული გაკვეთილების შენახვა და გაუმჯობესება, რათა მათი გამოყენება მომავალშიც იყოს შესაძლებელი. ამასთანავე, მასწავლებლები ამ ვიდეომასალებს თავიანთ კლასებში ისე გამოიყენებენ, როგორც სასწავლო პროცესის დამატებით, დამხმარე მასალას.[35]

---

30 World Education Blog. Coronavirus: la France a appelé à la continuité pédagogique. 15 April 2020. GEM Report. https://gemreportunesco.wordpress.com/2020/04/15/coronavirus-la-france-a-appele-a-la-continuite-pedagogique/ (გადმოტვირთულია: 21/08/2020).

31 იქვე.

32 Nina Linde. Latvia social briefing: The coronavirus pandemic has become a challenge for the Latvian education system: distance learning implementation experience. April 2020. Vol. 28, No. 3 (LVA). p.1.

33 იქვე.

34 Project 'Tava klase' (Your class) – lessons on TV. Ministry of Education and Science of Latvia. https://www.izm.gov.lv/en/highlights/4166-project-tava-klase-your-class-lessons-on-tv (გადმოტვირთულია: 22/08/2020).

35 იქვე.

გერმანიის ფედერაციულმა მთავრობამ ჯერ კიდევ პანდემიამდე, 2019 წლის დასაწყისში, საშუალო სკოლებში ციფრული ტექნოლოგიების განვითარების მიზნით 5 მილიარდი ევროს ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა სკოლების უმეტესობამ ვერ შეძლო ამ თანხის დახარჯვა რთული ბიუროკრატიული პროცედურების გამო, რომელიც წინ უძღვოდა ფინანსური რესურსების ხარჯვით ნაწილს. ასევე, ეს პროცესი შეაფერხა საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი კონცეფციების განვითარების საჭიროებამ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოეყენებინათ ტექნოლოგიები სწავლის პროცესში.[36]

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დისტანციური განათლების პლატფორმების უზრუნველყოფის მიზნით, ძირითადად, ორ სცენარს/ორ მიდგომას მიმართავენ: პირველი სცენარი უკავშირდება უნივერსიტეტების ღია ქსელებს, რაც გულისხმობს ონლაინ კურსებისა და დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული მასალების ხელმისაწვდომობას თავად უნივერსიტეტების პლატფორმების გამოყენებით. აღნიშნული სცენარი უფრო მიწოდებაზე ორიენტირებული მიდგომაა. ამასთანავე, განვითარდა მეორე სცენარიც, რომელიც მოთხოვნაზეა ორიენტირებული და გულისხმობს ცენტრალიზებული პლატფორმების ხელშეწყობას.[37]

იტალიის საგანმანათლებლო სისტემაში ჯერ კიდევ 2000 წლიდან დაიწყეს ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა. 2012 წლიდან აქტიურად იყენებდნენ ციფრული რეგისტრაციის პროცედურას, ხოლო 2015 წელს სკოლების გაციფრულების ეროვნული გეგმა შეიმუშავეს. გლობალური კრიზისის დროს იტალიის განათლების სამინისტრომ სკოლებისთვის შექმნა ვებგვერდი, რომელიც პანდემიის პერიოდში ეხმარებოდა სკოლებს დისტანციური სწავლების პროცესის უზრუნველყოფაში. კერძოდ, აღნიშნულ გვერდზე მომხმარებლებისთვის განთავსდა ბმულები, რათა მათ წვდომა ჰქონოდათ ონლაინ პლატფორმებზე. ამასთანავე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა გაითვალისწინეს.[38]

ურთულესი ეპიდვითარების დროს მასობრივი, ღია ონლაინკურსები (Moocs) იტალიას სწავლის პროცესის უწყვეტობის შენარჩუნებაში დაეხმარა. იტალიის საუნივერსიტეტო სისტემა უმოკლეს პერიოდში გადავიდა სწავლების ახალ ფორმატზე. ონლაინ სივრცეში გადაიტანეს როგორც კურსები, ასევე გამოცდები. შეიქმნა მოკლე, გამარტივებული ონლაინკურსები, რომლებსაც მომხმარებლები ადვილად იყენებდნენ. ამასთანავე, უნივერსიტეტებმა ერთმანეთს შესთავაზეს თავიანთი ონლაინ საგანმანათლებლო რესურსები.[39]

ნიდერლანდების სამეფომ 2,5 მილიონი ევროს ოდენობის თანხა დააბანდა იმ მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის, რომლებსაც არ ჰქონდათ წვდომა

36 Michael Kerres. Against All Odds: Education in Germany Coping with Covid-19. 4 May 2020. Nature Public Health Emergency Collection. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC7198090 (გადმოტვირთულია: 22/08/2020).
37 Scalability of Online Education in Germany; a National Platform? Hochschulforum Digitalisierung. https://hochschulforumdigitalisierung.de/de/scalability-online-education-germany-national-platform (გადმოტვირთულია: 22/08/2020).
38 Anna Cristina D'Addio. Francesca Endrizzi. Covid-19: How is Italy coping with school closure? GEM Report. 2 April 2020. https://gemreportunesco.wordpress.com/2020/04/02/covid-19-how-is-italy-coping-with-school-closure (გადმოტვირთულია: 7/08/2020).
39 Valentina Reda. Ruth Kerr. Moocs have helped Italy keep teaching during the pandemic. 31 March, 2020. https://www.timeshighereducation.com/blog/moocs-have-helped-italy-keep-teaching-during-pandemic (გადმოტვირთულია: 21/08/2020).

საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე და რომელთა შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფაც ვერ შეძლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, მუნიციპალიტეტებმა. ასევე, გაითვალისწინეს იმ მშობლების ინტერესები, რომლებიც დასაქმებულნი არიან ისეთ კრიტიკულად მნიშვნელოვან სამსახურებში, როგორიცაა: ჯანდაცვა და პოლიცია. ეპიდვითარებიდან გამომდინარე, მათი შვილებისთვის სკოლა, შესაძლოა, ხელმისაწვდომი ყოფილიყო, ანალოგიური პრინციპით იხელმძღვანელეს იმ სტუდენტებთან მიმართებითაც, რომლებიც სახლის პირობებში, დისტანციური განათლების პროცესში არ იყვნენ ჩართულები.[40]

იაპონიის განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტრო დაეხმარა განათლების ადგილობრივ საბჭოებს უზრუნველეყოთ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება დისტანციური სწავლების ხელშეწყობის მიზნით. ასევე, იაპონიის განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტრომ შექმნა სასწავლო პროცესის მხარდამჭერი საჯარო პლატფორმა, რომელზეც განთავსდა ინფორმაცია დისტანციური სწავლების ეფექტიანად წარმართვასთან დაკავშირებული რეკომენდაციების თაობაზე, რჩევები საგნების მიხედვით, უფასო საგანმანათლებლო რესურსები და ვიდეოები. ამასთანავე, ვებგვერდის მეშვეობით გააზიარეს ინფორმაცია სხვადასხვა სკოლისა და განათლების საბჭოების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ.[41]

პანდემიის პერიოდში საქართველოში დისტანციური განათლების დანერგვის გამოცდილება

კორონავირუსის პანდემიის გამო, სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოც გადავიდა დისტანციური სწავლების ფორმატებზე. როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაინერგა სინქრონული და ასინქრონული კომუნიკაციის საშუალებები. დისტანციური სწავლების პროცესში გამოიყენეს სხვადასხვა პლატფორმა: Microsoft Teams, Zoom, Moodle და Google Classroom. საგნების მიხედვით შეიქმნა ვიდეოგაკვეთილები, გაიზარდა წვდომა ელექტრონულ საგანმანათლებლო მასალებზე. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს გამომცემლობებმა გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ელექტრონულ ვერსიებზე უფასო წვდომა შესთავაზეს.

2020 წლის 30 მარტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საქართველოს პირველ არხთან თანამშრომლობის საფუძველზე პროექტი „ტელესკოლა“ დაიწყო. პროექტი ყველა მოსწავლეს, განურჩევლად იმისა, ჰქონდა თუ არა წვდომა ინტერნეტთან, საინტერესო გაკვეთილების ყველა საგანში მოსმენის შესაძლებლობას აძლევდა.[42]

---

40 A framework to Guide an Education Response to the COVID-19 Pandemic of 2020. OECD. p.13.
41 იქვე. გვ.12.
42 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დისტანციური სწავლების მეთოდებს აძლიერებს. http://mes.gov.ge/content.php?t=srch&search=%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AA&id=10271&lang=geo&fbclid=IwAR3WexLb_3n5R8jo08xjtxBCZIJh0m6wgSCY-6OS4AE818QufLkgCIoSX18Q (გადმოტვირთულია: 26/08/2020).

საეთერო ბადე (გაკვეთილების ცხრილი) ყველა კლასის საგანს მოიცავდა. ეროვნული სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ტელეგაკვეთილებს სხვადასხვა საგნის გამოცდილი პედაგოგები ატარებდნენ როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორიდან და მოსწავლეებს „ტელესკოლის“ ფორმატს მორგებულ სასწავლო პროგრამას სთავაზობდნენ.[43]

გარდა ამისა, დისტანციური სწავლების მიმართულებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ (EMIS) სკოლებს დისტანციური სწავლების ხელშეწყობის მიზნით Microsoft-ის 15-ზე მეტი პროდუქტის გამოყენების შესაძლებლობა შესთავაზეს, რომელიც მათ ონლაინ ინტერაქტიული გაკვეთილების წარმართვაში დაეხმარება.[44]

Microsoft TEAMS-ში შეიქმნა ვირტუალური საკლასო ოთახები ყველა სკოლის კლასებისა და საგნებისთვის; განვითარდა/შემუშავდა საჯარო სკოლების მხარდამჭერი ვიდეო და ტექსტური ინსტრუქციები, რომლებიც https://email.mes.gov.ge და el.ge.[45] პორტალებზე გამოქვეყნდა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (The Organization for Economic Co-operation and Development – OECD) COVID-19-ის პანდემიის შედეგად განათლების სფეროში შექმნილი გამოწვევების დაძლევის მიზნით ჩარჩო დოკუმენტი გამოაქვეყნა. მასში 98 ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს გამოცდილებაა გაანალიზებული. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „ტელესკოლის“ პროექტს. აღნიშნულ დოკუმენტში აგრეთვე განხილულია საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „თიმსის“ პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებული საკითხები და ასახულია სტატისტიკური მონაცემები. ამ მონაცემების თანახმად, 2020 წლის 23 აპრილის მდგომარეობის გათვალისწინებით, „თიმსს“ 138 698 მომხმარებელი ჰყავდა.[46]

სწავლის პროცესის ციფრული ტრანსფორმაციის მიზნით, საკანონმდებლო დონეზეც გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. კერძოდ, 2020 წლის 12 ივნისს, „ზოგადი განათლების“ და „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონებში ცვლილებები შევიდა. ზემოთ აღნიშნულ კანონებს დაემატა ჩანაწერები დისტანციური სწავლების შესახებ. ამ ცვლილებების თანახმად, დისტანციური სწავლება არის ორგანიზებული, დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართული, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილას მოსწავლის/სტუდენტისა და ზოგადსაგანმანათლებლო/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ერთდროულად ყოფნას. დისტანციური სწავლების განსახორციელებლად აუცილებელია კურიკულუმის სათანადოდ დაგეგმვა, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვის

43 იქვე.
44 იქვე.
45 იქვე.
46 A framework to Guide an Education Response to the COVID-19 Pandemic of 2020. OECD. p.12.

შესაბამისი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება.[47]

„უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების აპლიკაციის/პლატფორმის შერჩევასა და გამართულად გამოყენებას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ინტერაქტიულად წარმართვა. ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიმუშავებს შერჩეული დისტანციური სწავლების აპლიკაციის/პლატფორმის გამოყენების ინსტრუქციას/ვიდეოგზამკვლევს და უზრუნველყოფს სტუდენტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალისთვის მის გაცნობას.[48]

მიუხედავად დისტანციური სწავლების დანერგვის თვალსაზრისით განხორციელებული ინიციატივებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესს თან ახლავს გამოწვევები, მათ შორის, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ონლაინრესურსების წვდომასთან დაკავშირებული ხარვეზები. სამწუხაროდ, თანამედროვე საქართველოში 78 000-მდე სოციალურად დაუცველ მოსწავლეს არ აქვს ინტერნეტი. ინტერნეტზე წვდომის ფუნდამენტური უფლების უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება პროექტი „ჩართე“. მისი მიზანია, დონორი ორგანიზაციების მეშვეობით, სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების კომპიუტერითა და ონლაინ რესურსებით უზრუნველყოფა.[49] გარდა ამისა, გამოიკვეთა როგორც მასწავლებლების/ლექტორების, ასევე მოსწავლეების/სტუდენტების ციფრული უნარ-ჩვევების განვითარების აუცილებლობა. ამასთანავე, პანდემიის შედეგად წარმოქმნილმა ეკონომიკურმა გამოწვევებმა სტუდენტებს პრობლემები შეუქმნა სწავლის საფასურის გადახდის თვალსაზრისითაც.

საქართველოში დისტანციური განათლების განვითარების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები

1. აუცილებელია 2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის განახლება. დღევანდელი ეპიდვითარებისა და მომავალი საფრთხეების გათვალისწინებით, მოქმედი განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია არ პასუხობს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დისტანციური განათლების დანერგვისთვის აუცილებელ კონცეპტუალურ მიდგომებს. მით უფრო იმ ფონზე, რომ 2020 წლის 12 ივნისს, „ზოგადი განათლების“ და „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონებში შევიდა ცვლილებები დისტანციური სწავლების თაობაზე. განახლებულ და შემდგომ სტრატეგიებში მკაფიოდ უნდა აისახოს, თუ როგორია სახელმწიფოს კონცეპტუალური ხედვა განათლების ციფრული ტრანსფორმაციის შესახებ.

47 „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. 12/06/2020. https://matsne.gov.ge (გადმოტვირთულია: 26/08/2020).
48 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. 12/06/2020. https://matsne.gov.ge (გადმოტვირთულია: 26/08/2020).
49 პროექტი „ჩართე“. https://charte.ge/ge/ (გადმოტვირთულია: 26/08/2020).

სასურველია, დოკუმენტში განისაზღვროს დისტანციური სწავლების პრინციპები, მეთოდოლოგია, დისტანციური სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპები, ასევე, დისტანციური განათლების თანმდევი გამოწვევები, მათი დაძლევის საშუალებები, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელოვნური ინტელექტის დანერგვისა და განათლების ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ჰიბრიდული/შერეული სწავლების პროცესის შესაძლებლობების გამოკვეთაც. ასეთი მიდგომა ტრადიციული და დისტანციური სწავლების ფორმებს შორის, გარკვეულწილად, ბალანსის დაცვას შეუწყობს ხელს.

2. სამშვიდობო პოლიტიკის ფარგლებში უნდა მომზადდეს სპეციალური პაკეტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. დისტანციური სწავლების ხელშემწყობი სამშვიდობო პაკეტის მიზანი იქნება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების მაქსიმალური ინტეგრირება დისტანციური სწავლების შესაბამის პროგრამებში, ასევე, მათთვის უფასო ინტერნეტპაკეტების შეთავაზება და საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა.

3. აუცილებელია საყოველთაო ინტერნეტიზაციასთან დაკავშირებული პროექტების ეფექტიანი იმპლემენტაცია. ყველა რეგიონს უნდა ჰქონდეს წვდომა ინტერნეტთან. ასევე, მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისთვის შესაბამისი სოციალური პაკეტების შემუშავება, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს კომპიუტერი და ონლაინ რესურსები. ეს პროცესი ხელს შეუწყობს დისტანციური განათლების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებასა და ინდივიდის ფუნდამენტური უფლებების დასაცავად სათანადო გარემოს შექმნას.

4. სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ციფრული მმართველობის განვითრების მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ესტონეთის გამოცდილება, რადგან ესტონეთის ციფრული განათლების სისტემის წარმატება განაპირობა როგორც საგანმანათლებლო ტექნოლოგების განვითარებამ, ასევე საგანმანათლებლო სივრცის მონაწილეთა რეგულარულად გადამზადებამ. ამავდროულად, ესტონეთმა განათლების სისტემაში ფართოდ დანერგა ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: ციფრულ მონაცემთა ბაზები, ციფრული სახელმძღვანელოები, ელექტრონული სწავლების მასალები, ციფრული კლასის დღიურები, ციფრული სწავლების აპლიკაციები. მეტიც, ესტონეთმა განაცხადა, რომ მზად არის დაეხმაროს სხვა ქვეყნებს და მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ შექმნილი ციფრული განათლების ხელშემწყობი პლატფორმების შესახებ. ამდენად, შესაძლებელია, საქართველოსა და ესტონეთს შორის დისტანციური განათლების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით ორმხრივი შესაბამისი ფორმატი შეიქმნას.

5. მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული პირის ციფრული უნარ-ჩვევების რეგულარულად განვითარება, რათა მათ შეძლონ განათლების სივრცის ციფრულ ტრანსფორმაციასთან ეფექტიანი ადაპტირება. ამ მიმართულებით, შესაძლოა, შეიქმნას დისტანციური სწავლების

განვითარების მუდმივმოქმედი პლატფორმა, რომელშიც ჩაერთვებიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. საჯარო და კერძო სექტორის ერთობლივი ჩართულობით შექმნილი პლატფორმის მიზანი იქნება განათლების სივრცეში საინფორმაციო ტექნოლოგიების მიღწევების განხილვა და დონორების მეშვეობით, განათლების ციფრულ ტრანსფორმაციაზე ცნობადობის ამაღლების მიზნით, შესაბამისი ტრენინგ-მოდულების ჩატარება. ამასთანავე, ამ პლატფორმის მეშვეობით საგანმანათლებლო დაწესებულებები ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთი დისტანციური სწავლების პრაქტიკას.

6. მნიშვნელოვანია ცენტრალიზებული ონლაინ პლატფორმების შექმნა, რაც გაადვილებს საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომას. შესაძლოა, ქვეყნის მასშტაბით შეიქმნას ცენტრალიზებული ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც საგნებისა და თემატიკის მიხედვით განთავსდება ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები, ვიდეოლექციები. ავტორებმა, გამომცემლობებმა, შესაძლოა, ელექტრონულ წვდომაზე გარკვეული საფასური დააწესონ ან საზოგადოებას საგანმანათლებლო მასალები გარკვეული პერიოდის განმავლობაში უფასოდ შესთავაზონ. ამასთანავე, უმნიშვნელოვანესია აღნიშნული პლატფორმის შექმნის დროს ყველა ჯგუფის ინტერესის გათვალისწინება, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების.

7. აუცილებელია, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხელოვნური ინტელექტის როლი გამოიკვეთოს, რაც ხელს შეუწყობს მთელი რიგი ინფორმაციის მიმართ ავტომატიზირებული მიდგომის დანერგვას. „ჩეთბოტები“- ციფრული თანამშრომლები, შემუშავებული ინსტრუქციების საფუძველზე, დაინტერესებულ პირებს დისტანციური სწავლების შესაბამისი აპლიკაციების გამოყენების წესს განუმარტავენ, უპასუხებენ ხშირად დასმულ შეკითხვებს და ელექტრონულ მმართველობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციებსაც შეასრულებენ.

8. საინფორმაციო ტექნოლოგიების მზარდი განვითრების ფონზე და დისტანციური სწავლების საჭიროებებიდან გამომდინარე, დღევანდელი მოცემულობა მოითხოვს კიბერჰიგიენისა და კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობადობის ამაღლებას. ამ თვალსაზრისით, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აუცილებელია შესაბამისი სასწავლო საგნებისა და კურსების შემუშავება. მათი მიზანი იქნება მოსწავლეებისთვის დაცული ელექტრონული სერვისების, ვებგვერდების, უსაფრთხო ონლაინ პროექტების, საგანმანათლებლო ქსელების დაცვის სტანდარტებისა და კიბერჰიგიენის სხვა საკითხების შესახებ სათანადო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა. ხოლო, სტუდენტები, კიბერინციდენტების ტიპების, კიბერშეტევების მახასიათებლების, პერსონალური მონაცემების კიბერსივრცეში დაცვის საერთაშორისო პარამეტრებისა და კიბერუსაფრთხოების სხვა თემების შესახებ გაიღრმავებენ ცოდნას.

9. სასურველია, შეიქმნას ონლაინ კურსების ბანკი, რომელიც სფეროების მიხედვით (სამართალი, დიპლომატია, ჯანდაცვა, განათლება და ა.შ.) გააერთიანებს ონლაინ

სასწავლო კურსებს. ასევე, ამ პლატფორმის გამოყენებით შესაძლებელია ერთობლივი ონლაინ პროგრამის შემუშავება საქართველოს სახელმწიფო ან კერძო უნივერსიტეტისა და სხვა ქვეყნის ცნობილი უნივერსიტეტის მონაწილეობით. პროექტის განხორციელება შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით.

10. Microsoft-თან კიდევ უფრო მეტად უნდა გაღრმავდეს თანამშრომლობა. Microsoft-ი საქართველოს წამყვანი პარტნიორია ქვეყნის განათლების სივრცის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში. შესაბამისად, მასთან თანამშრომლობის გაძლიერებით, შესაძლებელია, ქართულ რეალობაზე ორიენტირებული ისეთი ახალი საგანმანათლებლო პროგრამებისა და აპლიკაციების შექმნა, რომლებიც უფრო გააადვილებენ დისტანციური სწავლების პროცესს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

11. აუცილებელია, შეიქმნას დისტანციური სწავლების ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა. მისი მიზანი იქნება იმ სტანდარტებისა და პარამეტრების განსაზღვრა, რომლებიც დისტანციური სწავლების ეფექტიანად განხორციელების მიზნით ხელს შეუწყობენ სკოლებისა და უნივერსიტეტების შესაბამისი აპარატურითა და სხვა საშუალებებით აღჭურვას.

12. უმნიშვნელოვანესია პანდემიის შედეგად დაზარალებულ სტუდენტთა ფინანსური დახმარების პაკეტის შემუშავება. კოვიდ-19-ის გამო წარმოქმნილმა ეკონომიკურმა გამოწვევებმა პრობლემები შეუქმნა სტუდენტებს, რის გამოც ისინი სწავლის საფასურს ვერ იხდიან. აღნიშნული გეგმის მიზანი იქნება, დონორებისა და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერის საფუძველზე, პანდემიის შედეგად დაზარალებულ სტუდენტებს მატერიალური თვალსაზრისით დაეხმაროს.

ოლეგ (ბაჩო) თორთლაძე

პერსონალური მონაცემების დაცვა დისტანციური სწავლებისას

ადამიანის უფლებების დაცვა ციფრულ სივრცეში თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოწვევაა. პანდემიის გავრცელების შემდეგ, სოციალური დისტანცირების გლობალური პოლიტიკის ფონზე, პრაქტიკულად ყველა დარგი კომუნიკაციის/საქმიანობის ელექტრონულ ფორმატზე გადაერთო. სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც დისტანციურ რეჟიმში მოუწია აკადემიური სასწავლო წლის წარმართვა. გამოიკვეთა პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები. მიუხედავად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა, რომელიც მიზნად ისახავს COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ სწორი ინსტრუქციის განსაზღვრას, მრავალი საკითხი რჩება ეფექტური რეგულირების მიღმა. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შემუშავებული რჩევებიც ელექტრონული სწავლების შესახებ არ მოიცავს მრავალ საკვანძო საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულება აკისრია, ვინაიდან დისტანციური შეხვედრების ფარგლებში არსებული გამოწვევები იდენტურია, ამდენად, სკოლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოწვევებს ერთ ჯგუფად განვიხილავთ. პრობლემების ჩამონათალი შემდეგია:

- არ არსებობს ერთგვაროვანი სტანდარტი დისტანციური გაკვეთილების/ ლექციების წარმართვისთვის საჭირო პროგრამის შესარჩევად;
- სახელმწიფოს მხრიდან ლოკალურად არ არის განსაზღვრული პროგრამის შექმნის მიზანშეწონილობა, ან ავტორიზებული პროგრამის შემქმნელ ორგანიზაციასთან კოოპერაციის შესაძლებლობა;
- არ არსებობს საგაკვეთილო/სალექციო პროცესში მოსწავლეების/სტუდენტების მხრიდან ვიდეოკამერისა და მიკროფონის გამოყენების ერთიანი სტანდარტი;
- არ არსებობს მოსწავლეების/სტუდენტების მიერ გაკვეთილის/ლექციის აუდიო/ ვიდეო ჩანაწერის გაკეთების ერთიანი სტანდარტი;
- არ არის დადგენილი მოსწავლის/სტუდენტის მიერ აუდიო/ვიდეო ჩანაწერის გავრცელების/გაზიარების სტანდარტი და საშუალებები.

რეკომენდაციები:

- უწყებათშორისმა ჯგუფმა, რომელიც დაკომპლექტდება განათლების სამინისტროს, კიბერუსაფრთხოების ბიუროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებისგან უნდა შეაფასოს ყველაზე გამოყენებადი ელექტრონული პროგრამები და განსაზღვროს მათი უსაფრთხოებისა და ეფექტურობის ხარისხი. აუცილებელია დადგინდეს სახელმწიფოს მიერ ავტორიზებული ციფრული პროგრამების სია. სკოლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა გაიწეროს პრიორიტეტული პროგრამების ნუსხა ინდივიდუალური აღწერილობით, რათა საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცეთ ინფორმირებული არჩევნის გაკეთების შესაძლებლობა. დოკუმენტი ბრძანების სახით უნდა გამოსცეს განათლების მინისტრმა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ერთიანი სტანდარტის მოქნილი შესაძლებლობებით დანერგვა;
- უწყებათშორისი კომისიის შეფასებების საფუძველზე ლოკალურად უნდა განისაზღვროს პროგრამის შექმნის მიზანშეწონილობა, მათ შორის, ხარჯთეფექტურობის ნაწილში. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აუცილებელია, რომ შემოდგომის სემესტრშივე გაიშვას პროგრამის საცდელი ვერსია. ავტორიზებული პროგრამების გამოყენების შემთხვევაში, სასურველია, სახელმწიფომ მოლაპარაკებები აწარმოოს პროგრამების შემქმნელ ორგანიზაციებთან ქვეყნისთვის სპეციფიკური

დატვირთვის ფუნქციონალების დამატების შესახებ;

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციების საფუძველზე, განათლების მინისტრის ბრძანების თანახმად, საგაკვეთილო/სალექციო პროცესში მოსწავლეების/სტუდენტების მხრიდან ვიდეო კამერისა და მიკროფონის გამოყენების ერთიანი სტანდარტი უნდა განისაზღვროს.

ეროვნული თავდაცვა და უსაფრთხოება

გიორგი ანთაძე

რეკომენდაციები თავდაცვის სისტემის განვითრების შესახებ

საქართველოს უსაფრთხოების გარემო განსაკუთრებულ რეალობას ქმნის, რომელიც პოსტკოვიდ სამყაროში კიდევ უფრო კომპლექსური გახდება. პანდემიამ ნათლად დაანახა სახელმწიფოებს ეროვნული შესაძლებლობების განვითრების აუცილებლობა არა ერთი მიმართულებით. ამასთან ერთად, ყარაბაღის ირგვლივ განვითარებული მოვლენები აუარესებს რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარემოს. უკვე არსებულ საშინაო და საგარეო გამოწვევას, მნიშვნელოვანი ცვლილებები დაემატება საერთაშორისო არენაზე. რეგიონში განახლებული ყარაბაღის კონფლიქტი ახალ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარემოზე ნეგატიურად მოქმედებს. შექმნილი რეალობა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურისგან, განსაკუთრებულ სტაბილურობას და შესაძლებლობების განვითარებას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად რეგიონალური და გლობალური კონტექსტისა, თავდაცვის სისტემის განვითარების სტაბილურობა მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საქართველოში. მაგალითისთვის, "თავდაცვის დაგეგმვის შესახებ" საქართველოს კანონში ნახსენები ეროვნული თავდაცვის სტრატეგია ქვეყანას დღესაც არ აქვს დამტკიცებული. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პარლამენტის, როგორც ქვეყანაში პოლიტიკის განმსაზღვრელი უმაღლესი ორგანოს, როლი ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში არ გახლავთ საკმარისი.

ამასთან ერთად, როგორც გლობალურმა პანდემიამ და რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, თვითკმარი შესაძლებლობების განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს, მათ შორის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს შავი ზღვის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატებში თვისობრივად ახალ საფეხურზე ასასვლელად, მსჯელობის საგანი უნდა გახდეს სამხედრო-საზღვაო ძალების აღდგენის საკითხიც, თუნდაც მცირედი კომპონენტით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სასურველია, რომ ქვემოთ მოცემული სამი საკითხი, განხილულ და გაანალიზებულ იქნას სახელმწიფოს მიერ და მიღებულ იქნას შესაბამისი ცვლილებები.

1. სასურველია, საქართველოს ეროვნული თავდაცვის სტრატეგია დამტკიცებულ იქნას საქართველოს პარლამენტის მიერ. დოკუმენტი უნდა ფარავდეს მინიმუმ 10 წლიან პერიოდს და აუცილებლად უნდა შეიცავდეს კანონით გათვალისწინებული ამოცანების გარდა, სტრატეგიის იმპლემენტაციისათვის საჭირო ფინანსურ გათვლებსა და მათი უზრუნველყოფის ვადებს. აღნიშნული ცვლილება აამაღლებს პარლამენტის ჩართულობას ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკის განსაზღვრაში. შექმნილი ეროვნული უსაფრთხოების გარემოს

გათვალისწინებით, წლების განმავლობაში ზემოთაღნიშნული დოკუმენტის და მასზედ დამყარებული დაგეგმვის **პროცესის არ ქონა მნიშვნელოვნად ასუსტებს ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას.** შესაბამისი ცვლილებები იქნება საჭირო კანონმდებლობაშიც.

2. სასურველია, მეტი ინვესტიციები ჩაიდოს ეროვნული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განსავითარებლად. მათ შორის გაიზარდოს სსსტც „დელტა“-ს დაფინანსება. აუცილებელია სხვადასხვა ტიპის დრონებზე, უნივერსალური პლატფორმების წარმოებაზე, შეიარაღებასა და სამხედრო ეკიპირებაზე აქცენტის გაკეთება. ასევე, სასურველია, თავდაცვის ძალების კვების კუთხით, ადგილობრივი პროდუქციის მაქსიმალურად გამოყენება.
3. საქართველოს შავი ზღვის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატებში თვისობრივად ახალ საფეხურზე ასასვლელად, მიზანშეწონილია საზღვაო ძალების აღდგენა და მისი კომპონენტების განვითარება.

ხათუნა ბურკაძე

ჰიბრიდული საფრთხეები

შესავალი

ტექნოლოგიური მიღწევები არის გასაღები საზოგადოების განვითარებისთვის. თუმცა საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პირობებში მზარდი ჰიბრიდული საფრთხეები განაპირობებენ უსაფრთხოების პოლიტიკის მიდგომების შეცვლას. მით უფრო იმ ფონზე, როდესაც კომპიუტერული ქსელების გამოყენებით შესაძლებელია ომის თანამედროვე ფორმით წარმოებაც. მეტიც, მომავალში სახელმწიფოები ალბათ კიბეროპერაციებს სპეციალური რობოტების მეშვეობითაც განახორციელებენ.

კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხე ტრადიციული საფრთხეებისგან განსხვავებით არ არის შემოფარგლული კონკრეტული პოლიტიკური და გეოგრაფიული საზღვრებით.[50] კიბერშეტევები, ჩვეულებრივი თავდასხმებისგან განსხვავებით, შეიძლება განხორციელდეს მშვიდობიან პერიოდშიც. ამასთანავე, კიბერშეტევების მეშვეობით მიზანი მიიღწევა არა იარაღის, არამედ კომპიუტერული ქსელების გამოყენებითა და სისტემაში უნებართვოდ შეღწევით, მონაცემების დაზიანებით, განადგურებით ან მანიპულირებით.[51]

მზარდი ტექნოლოგიური მიღწევების გამო კიბერშეტევები უფრო იხვეწება და იკარგება კონტროლი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე.

2007 წელს ესტონეთისა და 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა კიბერშეტევებმა თვალსაჩინო გახადა კიბერთავდაცვითი

50 Michael Schmitt. ‘Computer Network Attack and the Use of Force in International Law: Thoughts on a Normative Framework’. 37 Columbia Journal of Transnational Law. 888 (1998-1999).
51 იქვე.

შესაძლებლობების განვითარების აუცილებლობა. ესტონეთისგან განსხვავებით 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ კიბერშეტევები ტრადიციული საომარი მოქმედებების პარალელურად განხორციელდა. აღნიშნული ჰიბრიდული გამოწვევის წინაშე საქართველო დგას დღემდე, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ 2019 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი კიბერშეტევა, რომელიც გულისხმობდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სასამართლო სისტემის, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოების, სახელმწიფო, კომერციული და მედია ორგანიზაციების ვებ-გვერდებისა და სერვერების ფუნქციონირების შეფერხებას. საბოლოო ჯამში, კიბერშეტევის შედეგად ხსენებული ორგანიზაციების სერვერები და მართვითი სისტემები დაზიანდა.[52]

აღნიშნული კიბერშეტევის მიზანი იყო საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფა, საქართველოს მოსახლეობისთვის ზიანის მიყენება და საზოგადოებაში მღელვარების დათესვა სხვადასხვა ორგანიზაციის, მათ შორის სახელისუფლებო სტრუქტურების ფუნქციონირების შეფერხებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, 2020 წლის 1 სექტემბერს საქართველო კვლავ აღმოჩნდა კიბერშეტევის სამიზნე. კერძოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაზე განხორციელდა კიბერშეტევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და მის სტრუქტურულ ერთეულებში, მათ შორის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზებში დაცული სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაციისა და პანდემიის მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და გამოყენება.[53]

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ თბილისში გაავრცელა განცხადება 2020 წლის პირველ სექტემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე განხორციელებული კიბერშეტევის შესახებ. „COVID-19 პანდემიის დროს ლუგარის ცენტრმა საქართველოს საპასუხო ქმედებებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ეხმარება რა ქართველ ხალხს ჯანმრთელობის დაცვასა და სიცოცხლის გადარჩენაში. ამერიკის შეერთებული შტატები გმობს ამ უგუნურ და საშიშ თავდასხმას. კიბერსივრცის უსაფრთხოება დამოკიდებულია სახელმწიფოთა პასუხისმგებლიან ქმედებაზე. ჩვენ, საერთაშორისო საზოგადოების სხვა თანამოაზრეებთან ერთად შევასრულებთ კიბერსივრცეში სახელმწიფოთა პასუხისმგებლიანი ქცევის საერთაშორისო სისტემის ვალდებულებებს. ჩვენ მათ, ვინც ამ სისტემის მიღმა მოქმედებს, ვალდებულებების შესრულებისა და

52 საგარეო უწყება - საქართველოში 2019 წლის 28 ოქტომბერს კიბერშეტევა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მიერ განხორციელდა. 20.02.2020. https://www.interpressnews.ge/ka/article/586222-sagareo-ucqeba-sakartveloshi-2019-clis-28-oktombers-kibersheteva-rusetis-sheiaragebuli-zalebis-generaluri-shtabis-mier-ganxorcielda/ (გადმოტვირთულია: 15/10/2020).

53 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება. 03-09-2020. https://police.ge/ge/saqartvelos-shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/13926 (გადმოტვირთულია: 15/10/2020).

საზიანო ქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტისკენ მოვუწოდებთ“, - აღნიშნულია განცხადებაში.[54]

შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების ერაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჰიბრიდულ გამოწვევებთან გამკლავება და ამ კონტექსტში მშვიდობიანი, უსაფრთხო კიბერსივრცის განვითარება აუცილებელი წინაპირობაა ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების უზრუნველსაყოფად. მით უფრო, რომ თანამედროვე ეპოქაში ეროვნული უსაფრთხოება მოიცავს არა მხოლოდ საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო თავდაცვით კომპონენტებს, არამედ კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას. მეტიც, კიბერსივრცე არ არის შემოფარგლული კონკრეტული საზღვრებით, რაც კიბერსივრცის თანმდევ გამოწვევებს მასშტაბურ ხასიათს სძენს. შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოებისგან კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს საერთო, კოორდინირებული მიდგომების გასავითარებლად.

ამდენად, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პირობებში მზარდი ჰიბრიდული საფრთხეები კიბერინციდენტების, კიბერშეტევების, დეზინფორმაციული კამპანიებისა თუ ანტიდასავლური პროპაგანდის სახით განაპირობებენ სახელმწიფო დონეზე ერთიანი ხედვის შემუშავებისა და ჰიბრიდული გამოწვევების დაძლევის ინსტიტუციური მექანიზმების განვითარების საჭიროებას.

ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის მიმართულებით შემუშავებული რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1 - საქართველოში ჰიბრიდული გამოწვევების დაძლევის სისტემური ხედვის განვითარება და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის სტრატეგიის მიღება

საკანონმდებლო დონეზე, სასურველია, ახალი მოწვევის პარლამენტმა მიიღოს რეზოლუცია ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის შესახებ. აღნიშნული რეზოლუცია, ერთი მხრივ, გამოკვეთს ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის სისტემური ხედვის შემუშავების მნიშვნელობას და, მეორე მხრივ, განსაზღვრავს კიბერინციდენტებისა და კიბერშეტევების, დეზინფორმაციის, პროპაგანდისა და სხვა ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებებს. მოქმედი კანონმდებლობისა და „ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის საფუძველზე საქართველოს მთავრობა ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის სტრატეგიას მიიღებს.

ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის სტრატეგია შეეხება თანამედროვე ჰიბრიდული საფრთხეების ტიპებს, მათ შორის, დეზინფორმაციას, პროპაგანდას, კიბერინციდენტებს, საბოტაჟს. დოკუმენტი მკაფიოდ წარმოაჩენს ჰიბრიდული

54 აშშ-ის საელჩოს განცხადება 2020 წლის 1-ელ სექტემბერს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროზე განხორციელებული კიბერშეტევების შესახებ. 03-09-2020. https://ge.usembassy.gov/ka/u-s-embassy-statement-on-september-1-2020-cyberattack-against-georgian-ministry-of-health/ (გადმოტვირთულია: 15/10/2020).

გამოწვევების არასამხედრო მახასიათებლებს, ტაქტიკას, გაანალიზებს მათ შესაძლო გავლენას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ პროცესებზე და მათთან ბრძოლის გზებს გამოკვეთს.

ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის სტრატეგია ასახავს აღნიშნულ გამოწვევებთან ბრძოლის სამკომპონენტიან მექანიზმს (ეს ეფუძნება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გამოცდილებას):[55]

- **ჰიბრიდული საფრთხეებისთვის მომზადება, რაც გულისხმობს შესაძლო ჰიბრიდული აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზსს, ასევე, გადაწყვეტილებების მიმღებთა აღჭურვას შესაბამისი მონაცემებითა და ცოდნით;**
- **ჰიბრიდული საფრთხეების შეკავება, რაც ნიშნავს შესაბამისი სამთავრობო უწყებების ინსტიტუციურ გაძლიერებას, რათა მათ დროულად და ეფექტიანად შეძლონ ჰიბრიდული გამოწვევის შესაძლო ნეგატიური, დესტრუქციული შედეგის თავიდან აცილება;**
- **თავდაცვა - თუ შეკავების პოლიტიკამ ვერ მიაღწია სასურველ სტრატეგიულ მიზანს, აუცილებელია ჰიბრიდულ საფრთხეებთან სწრაფი რეაგირების შესაძლებლობების განვითარება.**

სასურველია, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ფარგლებში ჰიბრიდული საფრთხეებისა და გამოწვევების იდენტიფიცირების, შეფასების, ანალიზისა და პროგნოზირების მიზნით შესაბამის სამთავრობო უწყებებს შორის რეგულარული კოორდინაციის გაძლიერება.

მნიშვნელოვანია, შემუშავდეს ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის სტრატეგიის ორი ვარიანტი: ერთი - ფართო საზოგადოებისთვის (ადაპტირებული ვერსია), მეორე - საიდუმლო ნაწილი, რომელშიც გააანალიზებენ შიდა და გარე ფაქტორების როლს ჰიბრიდული საფრთხეების, მათ შორის, დეზინფორმაციული აქტივობების ხელშეწყობის თვალსაზრისით და განსაზღვრავენ მათთან გამკლავების, დროული რეაგირების გზებს, ინსტრუმენტებს.

სასურველია, სტრატეგიის საჯარო ვერსიის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო საზოგადოების, დიპლომატიური კორპუსისა და საექსპერტო წრეების წარმომადგენლებმა.

რეკომენდაცია N2 - ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის სტრატეგიის საფუძველზე, კიბერუსაფრთხოების სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს. სასურველია, აღნიშნული გეგმა შემდეგ ინიციატივებს მოიცავდეს:

- **კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის როგორც საკანონმდებლო ბაზის განვითარებას, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით, დაცვის დამატებითი სტანდარტების, მექანიზმების შემუშავებას;**
- **კიბერუსაფრთხოების სფეროში დამოუკიდებელი კვლევითი ლაბორატორიის**

55 NATO's response to hybrid threats. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_156338.htm (გადმოტვირთულია: 08/09/2020).

შექმნას, რომლის მიზანი იქნება უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვისთვის შესაბამისი კვლევების განხორციელება;

- კიბერსაფრთხეების ანალიზის მიზნით, კიბერუსაფრთხოების პოლიტიკაზე პასუხისმგებელ უწყებებში შესაბამისი ანალიტიკური ჯგუფების განვითარებას და გამოწვევების ანალიზისას სათანადო მეთოდოლოგიის დანერგვას, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების გამოყენებითაც;
- უფრო მეტი სიხშირით ერთობლივი სიტუაციურ სცენარებზე მორგებული ტრენინგებისა და კიბერსავარჯიშოების ჩატარებას პარტნიორ ქვეყნებთან, მათ შორის ამერიკელ, ესტონელ კოლეგებთან. ასევე, ამ მიმართულებით ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ურთიერთობების გაღრმავებასა და ერთობლივი პროექტების განხორციელებას;
- კიბერინციდენტებზე სწრაფი რეაგირებისა და კიბერკრიზისების ეფექტიანად მართვის მიზნით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- საჯარო და კერძო სექტორის აქტორების ჩართულობით სახელმწიფო დონეზე კიბერუსაფრთხოების მუდმივმოქმედი პლატფორმის საბოლოოდ ჩამოყალიბებას;
- კიბერუსაფრთხოების სფეროში ადამიანური კაპიტალის განვითარების მიზნით, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განვითარებასა და შესაბამისი სპეციალისტების, მკვლევარების მომზადებას;
- კიბერმედეგობის გაზრდის მიზნით, საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტების მეტი სიხშირით განხორციელებას.

რეკომენდაცია N3 - დეზინფორმაციასთან, როგორც ჰიბრიდულ გამოწვევასთან ბრძოლის თვალსაზრისით, აუცილებელია სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება. ისინი შესაძლოა შემდეგ კომპონენტებს მოიცავდნენ:

- როგორ უნდა ავიცილოთ დეზინფორმაცია;
- როგორ გამოვავლინოთ დეზინფორმაცია;
- როგორ შევაფასოთ მისი გავლენა აუდიტორიაზე;
- როგორ შევქმნათ ფაქტებზე დაფუძნებული ნარატივი დეზინფორმაციის შედეგად გამოწვეული ნეგატიური, დესტრუქციული გავლენის დასაძლევად;
- როგორ მივიტანოთ ფაქტებზე დაფუძნებული ნარატივი აუდიტორიამდე;
- როგორ განვახორციელოთ მონიტორინგი შედეგის გასაანალიზებლად;
- როგორ დავგეგმოთ სამომავლო აქტივობები დეზინფორმაციის მოსალოდნელი შემდეგი ციკლის თავიდან ასაცილებლად.

ამასთანავე, დეზინფორმაციის გავლენების შესასწავლად მნიშვნელოვანია ანალიტიკური საშუალებების, მათ შორის, შესაბამისი პროგრამების განვითარება,

რათა მოცულობითი ციფრული მონაცემები დროულად დამუშავდეს.[56] **ასევე, უწყებებს შორის აუცილებელია დეზინფორმაციული კამპანიების შესახებ ინფორმაციის დროული გაცვლა.**[57]

დეზინფორმაციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, საზოგადოებრივი მედეგობის უზრუნველყოფა გულისხმობს სპეციალიზებული ტრენინგების, საჯარო კონფერენციებისა და დებატების რეგულარულად ჩატარებას. **ასევე, განსაკუთრებული ყურადღებაა გასამახვილებელი მედიაწიგნიერების პროექტების გაძლიერებაზე.**[58] ფაქტების დამოუკიდებელი გადამმოწმებლები და მკვლევარები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ დეზინფორმაციასთან ბრძოლის პროცესში. შესაბამისად, აუცილებელია ისეთი ციფრული პლატფორმების დაფინანსება, რომლებიც გააერთიანებენ დამოუკიდებელ მულტიდისციპლინურ ჯგუფებს. აღნიშნული ქსელები ხელს შეუწყობენ, ფაქტების შემოწმების გზით, დეზინფორმაციის დადგენასა და გამოვლენას.[59]

საბოლოო ჯამში, **კოორდინირებული და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება უზრუნველყოფს ჰიბრიდულ გამოწვევებთან ბრძოლის მდგრადი ინსტიტუციური მექანიზმის ფორმირებას და ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაცვას. ასევე, სიტუაციური ცოდნა (არსის გაგება) და საზოგადოების ინფორმირება თანამედროვე გამოწვევებთან მიმართებით ქვეყნის მედეგობას გააძლიერებს.**

---

56 'Action Plan against Disinformation'. European Commission. 2018. p. 5-6.
57 იქვე. გვ. 7-8.
58 იქვე. გვ. 10.
59 იქვე.

ავტორთა ბიოგრაფიები

ვიქტორ ყიფიანი ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ თავმჯდომარეა. მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობები, უსაფრთხოება, მმართველობა, გლობალური წესრიგის საქართველოსა და მის მიმდებარე რეგიონთან დაკავშირებული საკითხები, მაკროეკონომიკა. იგი რეგულარულად აშუქებს აღნიშნულ თემატიკას როგორ ქართულ, ასევე უცხოურ მედიასაშუალებებში; რეგულარულად აკეთებს საქართველოში არსებული პოლიტიკური და გლობალური გეოპოლიტიკური ტენდენციებისა და მოვლენების ანალიზს; მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში სპიკერისა და პრეზენტატორის ამპლუაში.

ვიქტორ ყიფიანი ხელმძღვანელობს სხვადასხვა სფეროს მაღალკვალიფიციური ექსპერტებისა და მკვლევარებისაგან შემდგარ გუნდს, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს მაღალი დონის ექსპერტულ ცოდნას, გამჭვირვალე, მიუკერძოებელ და მკაფიო რეკომენდაციებს სთავაზობს.

ანალიტიკური საქმიანობის გარდა, ვიქტორ ყიფიანი დაკავებულია იურიდიული საქმიანობით - იგი თბილისში მოქმედი იურიდიული ფირმის, „ემ ქეი დი“-ს დამფუძნებელი და უფროსი პარტნიორია. მისი იურიდიული პრაქტიკა მოიცავს სამეწარმეო და სახელშეკრულებო სამართლის, საპროექტო ფინანსირების, კაპიტალის ბაზრის, საბანკო, ენერგეტიკის, ბუნებრივი რესურსების, ტელეკომუნიკაციებისა და საკორპორაციო სამართლის სფეროებს.

ვიქტორ ყიფიანი საქართველოს სამართლებრივი სისტემისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ქართულ და უცხოურ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული არაერთი სტატიისა და კვლევის ავტორია. იგი ყველა ძირითადი საერთაშორისო ცნობარისა და გამოცემის (IFLR, Chambers Global, Chambers Europe, Who’s Who Legal, The Legal 500) მიერ საქართველოში ერთ-ერთ წამყვან კერძო იურისტადაა აღიარებული.

ვიქტორ ყიფიანი გახლავთ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი; სამოქალაქო და ეკონომიკური რეფორმების ქართული ინსტიტუტის დამფუძნებელი; დამოუკიდებელ დირექტორთა ასოციაციის საბჭოს წევრი; ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მრჩეველთა საბჭოს წევრი.



ზვიად კირტავა არის მედიცინის აკადემიური დოქტორი, თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) შინაგან სნეულებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ა(ა)იპ „პარტნიორები ჯანმრთელობისათვის“ გამგეობის თავმჯდომარე და ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ მკვლევარი.

თბილისის ახ. სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შედეგ გაიარა ასპირანტურა მოსკოვში, რევმატოლოგიის ინსტიტუტში, შემდეგ - მრავალჯერადი სამეცნიერო სტაჟირება მალმოს საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში (შვედეთი). გავლილი აქვს ტრენინგები სამედიცინო ინფორმატიკაში (ემორის უნივერსიტეტი, აშშ), ტელემედიცინასა და ელექტრონულ ჯანდაცვაში (ტრომსოს უნივერსიტეტი, ნორვეგია და მერილენდის უნივერსიტეტი, აშშ) და ჯანდაცვის ადმინისტრირებაში (ჯორჯიის შტატის უნივერსიტეტისა და სკრენტონის უნივერსიტეტის პროგრამებით).

წარსულში ზვიადი მუშაობდა ატლანტა-თბილისის ჯანმრთელობის პარტნიორული პროგრამის კოორდინატორად, ჯანდაცვის ქართულ-შვედური (SIDA-ს) პროექტის კოორდინატორად, ეროვნული საინფორმაციო სასწავლო ცენტრის დირექტორად, ჩაფიძის გულის ცენტრის ელექტრონული ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწედ, კლინიკების განვითარების კომპანიის სამედიცინო პროექტების მენეჯერად. იყო საქართველოს წარმომადგენელი ევროსაბჭოს ჯანმრთელობის ევროპულ კომიტეტში (2002-11), ამავე კომიტეტის ბიუროს წევრი და თავმჯდომარე. 2000-04 წლებში British Medical Journal-ის (BMJ) სარედაქციო საბჭოს წევრი გახლდათ. ის არის ევროკომისიის ექსპერტი ელექტრონულ და მობილურ ჯანდაცვაში, მონაწილეობდა ევროკავშირის სამეცნიერო პროგრამების (FP4, FP6, FP7, Horizon2020) პროექტების შეფასებაში, ასევე - ევროკომისიის COST პროგრამის 4 პროექტში (2005-2020). ზვიადი გახლავთ 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი და 40-მდე საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე.

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ვახტანგ ჭარაია 2014 წლიდან ხელმძღვანელობს თსუ–ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრს, რომელიც, ბოლო წლების განმავლობაში, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (შვეიცარია) ერთად-ერთი პარტნიორი ორგანიზაციაა საქართველოში. 2018 წლიდან ვახტანგ ჭარაია იკავებს საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას. სხვადასხვა დროს ის მუშაობდა მრავალ ქართულ, ბრიტანულ, შვედურ, გერმანულ და ამერიკულ კვლევით ორგანიზაციებში.

2018 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ვახტანგი აღიარა საქართველოს საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერად. უფრო ადრე კი, 2016 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ვახტანგ ჭარიას ახალგაზრდა მკვლევარის სტატუსი მიანიჭა. სხვადასხვა დროს, განათლების და სტაჟირების მიზნით, ვახტანგი იმყოფებოდა: ინდოეთის, გერმანიის, რუსეთის, ესტონეთის, ჩინეთის, ისრაელისა და აშშ-ის უნივერსიტეტებში.

შოთა გულბანი - საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორანტი.

შოთა გულბანი 2012 წლიდან მოღვაწეობს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია - აფბა–ში, მკვლევარ-ანალიტიკოსის პოზიციაზე, ხოლო 2015-2020 წლებში იკავებს ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის პოსტს. „აფბა“-ში მისი ხელმძღვანელობით მრავალი აქტუალური ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის პროექტები განხორციელდა.

2012-2020 წლებში ის არის ერთადერთი ქართულენოვანი ყოველკვირეული ეკონომიკური გაზეთის - „ბანკები და ფინანსების“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და მვლევარ-ანალიტიკოსი.

2020 წლის დასაწყისიდან, თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის გამგეობის წვერი. მისი ავტორობით გამოცემულია 50-ზე მეტი პუბლიკაცია ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით.

დოქტორანტურაში მისი კვლევის სფეროს წარმოადგენს ფინანსური ბაზრები საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებში.

ოთარ ანგურიძე 2015 წლის თებერვლიდან – თსუ–ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარეა. მისი სამუშაო გამოცდილება იწყება 2005 წლიდან და მოიცავს სხვადასხვა პოზიციებზე – არასამთავრობო, კერძო და სახელმწიფო სამსახურში მოღვაწეობის წლებს. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებსა და ფორუმებში. ფლობს მრავალწლიან ჟურნალისტურ გამოცდილებას. 2016 წელს გაიარა სტაჟირება ესტონეთის ტარტუს უნივერსიტეტში. ამჯამად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორანტია. ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. ოთარ ანგურიძეს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით.

ლევან კოკაია - სამართლის მაგისტრი, სახელმწიფო მართვის მაგისტრი.

გააჩნია 13 წლიანი პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში. ამჟამად, ერთ-ერთი ელექტროენერგეტიკული კომპანიის კორპორაციულ იურისტად მოღვაწეობს. 2013 წლიდან - დღემდე კითხულობს ლექციებს და ატარებს ტრენინგებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში. ლევანი ასწავლის სამართლის საფუძვლებს, ბიზნესის სამართალს და კორპორაციულ მართვას. ბატონი ლევანი კომერციული სამართლის სპეციალისტი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი გახლავთ.

მიმდინარე პერიოდში, ლევანის ავტორობით გამოქვეყნებულია 40-ზე მეტი პუბლიკაცია, რომელიც, ძირითადად, კორპორაციული სამართლისა და კორპორაციული მართვის, აგრეთვე – კაპიტალის ბაზრებისა და საინვესტიციო ფონდების სამართლებრივ რეგულირებას, ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის ცალკეული პროექტის და ელექტროენერგიით ვაჭრობის სამართლებრივ საკითხებს, საინვესტიციო და საერთაშორისო კერძო სამართალს, ანტიმონოპოლიურ და საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალს მოიცავს.



ბაქარ ფალავანდიშვილი გახლავთ 10 წლიანი გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი იურისტი ქართულ იურიდიულ ფირმაში, MKD Law–ში. იგი, ასევე, "ჯეოქეისის" მთავარი იურიდიული მრჩეველი და გამგეობის წევრია. 2019 წელს ბატონი ბაქარი Legal 500–მა მომავალი თაობის იურისტად დაასახელა.

ბაქარ ფალავანდიშვილს მოპოვებული აქვს სამართლის ბაკალავრის ხარისხი კავკასიის უნივერსიტეტში, სამართლის მაგისტრის ხარისხი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი – თავისუფალ უნივერსიტეტში. იგი, ასევე, სწავლობდა ინგლისურ სამართალს ჩესტერის უნივერსიტეტში (გაერთიანებული სამეფო).

ბაქარ ფალავანდიშვილს, აგრეთვე, ეკავა საქართველოს სარეკლამო ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის პოზიცია. იგი, ასევე, მოწვეული ლექტორი გახლდათ კავკასიის უნივერსიტეტში. ბატონი ბაქარი არის ავტორი რამდენიმე პუბლიკაციისა ისეთი პერიოდული გამოცემებისათვის, როგორიცაა „Thomson Reuters", „LexisNexis", „Data Guidance", „Georgia Today".

სამართლის დოქტორი, პროფესორი ხათუნა ბურკაძე ფოკუსირებულია საგარეო პოლიტიკის კომპლექსურ საკითხებზე, მათ შორის, სტრატეგიული კომუნიკაციების გამოწვევებზე. პროფესორ ხათუნა ბურკაძეს აქვს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაში მუშაობის გამოცდილება. კერძოდ, ხათუნა ბურკაძე მუშაობდა საქართველოს პარლამენტში, მთავრობის ადმინისტრაციაში, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და უზენაეს სასამართლოში. პროფესორმა ბურკაძემ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით განახორციელა პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საქართველოს მოქალაქეებს შორის ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის შესახებ ცნობადობის ამაღლებას.

ხათუნა ბურკაძემ ტაფტის უნივერსიტეტის ფლეტჩერის სამართლისა და დიპლომატიის სკოლა დაამთავრა. იგი გახლდათ ფულბრაიტის პროგრამის ფარგლებში მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტის საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მკვლევარი, ამასთანავე, კოლუმბიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის, ბარდ კოლეჯისა და ფლეტჩერის სკოლის მიწვეული პროფესორი.

პროფესორმა ბურკაძემ წარმატებით დაასრულა ჰარვარდის უნივერსიტეტის მოლაპარაკებებისა და ჯორჯ მარშალის ევროპული უსაფრთხოების საკითხთა კვლევითი ცენტრის უსაფრთხოების გაღრმავებული სწავლების ლიდერთა პროგრამები. ქალბატონი ხათუნა არის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამის კურსდამთავრებული ამერიკის საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. ხათუნა ბურკაძე იყო 2018 წლის ევროპული კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფის წევრი ჰარვარდში.

ხათუნა ბურკაძე არაერთი სამეცნიერო სტატიის ავტორია. მისი სტატიები „ფლეტჩერ ფორუმშიცაა“ გამოქვეყნებული და ციტირებულია “Harvard National Security Journal”-ში. იგი კითხულობს შემდეგ სალექციო კურსებს: საერთაშორისო საჯარო სამართალი, ამერიკის საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები, ძალის გამოყენების სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო სამართალში, კიბერსამართალი.

გიორგი ანთაძე დაიბადა ქალაქ თბილისში, 1982 წლის 15 ივლისს. დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია, დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „გორგასალი“ და „IB ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის“ მაგისტრატურა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებითა და ეროვნული უსაფრთხოების სპეციალობით. წლების განმავლობაში მუშაობდა IB ევრო-კავკასიურ უნივერსიტეტთან არსებულ სტრატეგიული კვლევების ცენტრში. 2013-2020 წლებში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი გახლდათ. 2020 წლის იანვრიდან პარლამენტის კვლევითი ცენტრისა (თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების მიმართულებით) და ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ მკვლევარია. ბატონი გიორგი ვებპორტალ strate.ge-ს ავტორი და დამფუძნებელი გახლავთ. ასევე, არაერთი ნაშრომისა და პუბლიკაციის ავტორი – თავდაცვის, ეროვნული უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ურთიერთობების განხრით.

ოლეგ (ბაჩო) თორთლაძე ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ნებართვებისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი, კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი და ანალიტიკური ორგანიზაციის „ჯეოქეისი“ მკვლევარია.

წარსულში ოლეგი მუშაობდა კონსულტანტად და იურისტად გაეროს განვითარების პროგრამაში, საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში, სამედიცინო კორპორაციებსა და ქართულ-ერაყულ ავიაკომპანიაში.

ოლეგ თორთლაძემ სამართალმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხი კავკასიის უნივერსიტეტში მოიპოვა, ხოლო საერთაშორისო საჯარო სამართლის მაგისტრის დიპლომი - გრონინგენის უნივერსიტეტში (ნიდერლანდების სამეფო). 2018 წლიდან ოლეგ თორთლაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტია – საერთაშორისო სამართლის მიმართულებით.

მას გამოქვეყნებული აქვს სტატიები ქართულ და ინგლისურ ენებზე: საერთაშორისო სამართლის, კონსტიტუციური სამართლის, ევროკავშირის სამართლისა და საჯარო მმართველობის თემებზე.

ოლეგი კავკასიის უნივერსიტეტის, გრონინგენის უნივერსიტეტისა და განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტია. ამავდროულად, განათლების საერთაშორისო ცენტრის საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამების კომისიის წევრია.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისი“
T: +995 32 2555755
E: info@geocase.ge
www.geocase.ge

დოკუმენტი წარმოადგენს ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ ინტელექტუალურ საკუთრებას და დაცულია კანონით. დოკუმენტი და მისი ნაწილი არ უნდა იქნას გამოყენებული ნებისმიერი ფორმით ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ წერილობითი თანხმობის გარეშე.

© 2021 „ჯეოქეისი“

Geocase

ჯეოქეისი
2021 წ.
www.geocase.ge

GeocaseGeo GeoCase1 Geocase geocase_official